

**Rainer Maria
RILKE
(1875-1926)**

RAINER MARIA
RILKE

Die Sonette an Orpheus

Geschrieben als ein Grab-Mal
für Wera Ouckama-Knoop

(Château de Muzot im Februar 1922)



ହାଇନ୍‌ର ମାରିଆ

ରିଣ୍ଡକ୍ଟି

ସନ୍ଦେଶୀଳି
ଅନ୍ତର୍ଗତିକାରୀ

ଧାର୍ଯ୍ୟକାରୀ ପ୍ରକାଶକ
ସାମାଜିକ ପରିବାର

(ମୁଖ୍ୟକାରୀ ପରିବାର 1922 ଫେବୃଆରୀରେ ପ୍ରକାଶିତ)



გერმანულიდან თარგმნა
ლულუ დადიანმა

Ins Georgische übersetzt
von Lulu Dadiani

ISBN 978-99928-70-88-4

© ლულუ დადიანი. თარგმანი. 2009

რაინერ მარია რილკე (1875-1926) XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მწერალი და ლირიკოსია. იგი ლიტერატურის ისტორიაში შევიდა, როგორც საერთო ევროპული კულტურის ჭეშმარიტი და სრულად გამორჩეული წარმომადგენელი, ღრმა სულიერებით აღბეჭდილი პოეტი, რომელმაც მშობლიურ გერმანულ ენას საოცარი მოქნილობა და სინატიფე შესძინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რილკემ წარსული საუკუნის ლიტერატურაზე უდიდესი გავლენა იქონია და დღემდე გაუნელებლად იყვრობს როგორც პოეტების, ასევე ლიტერატურის მცოდნებთა, ფილოსოფოსთა, მთარგმნელებისა და მკითხველთა ყურადღებას, და არა მარტო იპყრობს, არამედ, მისეულ მაღალ პოეზიასთან შეხებისას თავადვე ამდიდრებს მათ, „მარადოული“ თემების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ორიგინალური გააზრებისა და იდუმალებით დაღდას მსული ფანტაზიის წყალობით;

მისი შემოქმედების მწვერვალს, „დუინურ ელეგიებთან“ ერთად წარმოადგენს ლირიკული ციკლი — „სონეტები ორფეესისადმი“, რაც რამდენიმე დღის განმავლობაში შეიქმნა 1922 წლის თებერვალში, მიუზოს კოშკში (შვეიცარია). ციკლის შექმნას წინ უსწრებდა, მიუნხენელი მრეწველოსა და მეცნიატის ქვრივის, გერტრუდ რუკამა-კნოობის წერილი, რომელიც პოეტს თავისი 19 წლის ქალიშვილის ვერას გარდაცვალებას აუწყებდა; ამ სამწუხარო ამბავშა, სიკვდილის ფენომენთან ისედაც ღრმა სულიერი ვიბრაციებით დაკავშირებულ პოეტში მძაფრი იმპულსები აღძრა, რაც ახალი შედევრის, „სონეტების“ შექმნით დაგვირგვინდა. ეს ლირიკული ციკლი, პოეტმა უდროოდ გარდაცვლილ ვერა ოუკამა-კნოობას — უნიჭიერეს მოცეკვავეს, მუსიკოსსა და მხატვარს მიუძღვნა; ვერა 19 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეიკმიით, ისევე, როგორც შემდგომ 1926 წლის დეკემბერში რილკე.

„სონეტები“ ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი 26-ს, მეორე კი, 29 სონეტს მოიცავს.

პოეტი ამ ციკლში ქველბერძნული მითოლოგიიდან — ორფევსისა და ევრიდიკეს მითის ფონზე, განიხილავს იმ პრობლემებს, პოეტისა და პოეზიის დანიშულებას, ზოგადად პოეტურ შემოქმედებას რომ უკავშირდება. ორფეესისადმი მიძღვნილი სონეტების ამოსავალი წერტილია პოეტი-მაგის სახე, რომელიც მიცვალებულთა საუფლოში ყოფნის შემდეგ, ამქეცებიურ სამყაროს უბრუნდება, სიკვდილ-სიცოცხლისა და წარმავლობის შესახებ სრულიად ახალი, მიღმური ცოდნით გამდიდრებული; ორფევსი, რილკესთან პოეტის განზოგადებული პირველსახე-სიმბოლოა, ხოლო „სონეტები“, — მისდამი მიძღვნილი სახოტბო ჰიმნები.

მთარგმნელი

ERSTER TEIL

I

Da stieg ein Baum. O reine Übersteigung!
O Orpheus singt! O hoher Baum im Ohr!
Und alles schwieg. Doch selbst in der Verschweigung
ging neuer Anfang, Wink und Wandlung vor.

Tiere aus Stille drangen aus dem klaren
gelösten Wald von Lager und Genist;
und da ergab sich, daß sie nicht aus List
und nicht aus Angst in sich so leise waren,

sondern aus Hören. Brüllen, Schrei, Geröhr
schien klein in ihren Herzen. Und wo eben
kaum eine Hütte war, dies zu empfangen,

ein Unterschlupf aus dunkelstem Verlangen
mit einem Zugang, dessen Pfosten beben, –
da schufst du ihnen Tempel im Gehör.

პირველი ნაწილი

I

ხე აღიმართა, ო, წმიდაო ცადამაღლებავ!
ორფევსი მღერის! ო, მაღალი ხე ერწყმის სმენას!
მდუმარებაა ირგვლივ, თუმცა დუმილის ენა
გულისხმობს საწყისს, გარდასახვას და განახლებას.

წამოიშალნენ მხეცნი ჩუმი, ხალვათი ტყიდან,
ბუდე-ბუნაგი დაუტევეს და მყის გაცხადდა,
რომ განაბულნი შიშის ძრწოლამ როდი დასცადა,
ან ნამარდობამ, არამედ ოდენ მოდენილან

ისინი სმენად. მათ მყვირალობას, ბრდლვინვა-ლრიალს,
ლრმად გულისგულში მიყუჩებულს, თითქოს ჩანავლილს,
რასაც არასდროს არ ებადა ადგილიც მცირე,

თავშესაფარი, ქვებუდანურ წადილის მწირის,
რომლის ნაშურიც ირყევა და დაიქცეს ლამის,
აუგე იქვე მათ ტაძარი შენ სმენის წიალ.

II

Und fast ein Mädchen wars und ging hervor
aus diesem einigen Glück von Sang und Leier
und glänzte klar durch ihre Frühlingsschleier
und machte sich ein Bett in meinem Ohr.

Und schlief in mir. Und alles war ihr Schlaf.
Die Bäume, die ich je bewundert, diese
fühlbare Ferne, die gefühlte Wiese
und jedes Staunen, das mich selbst betraf.

Sie schlief die Welt. Singender Gott, wie hast
du sie vollendet, daß sie nicht begehrte,
erst wach zu sein? Sieh, sie erstand und schlief.

Wo ist ihr Tod? O, wirst du dies Motiv
erfinden noch, eh sich dein Lied verzehrte? –
Wo sinkt sie hin aus mir? ... Ein Mädchen fast ...

II

გოგონა იყო იგი ლამის, აქ მოვლენილი,
ქნარის და ჰანგის შეწყვილებით წარმოჩენილი,
ვინც გაიელვა გაზაფხულის პირსაბურველით
და ჩემ სმენაში დაიგულა ნავსაყუდელი.

და ჩაეძინა ჩემს სიღრმეში. და მისი ძილი
ჩემს სათაყვანო ტევრს იტევდა, სიმრავლეს ხეთა,
ნაგრძნობ ველსა და შორეთს, გრძნობით
მოსახელთებელს,
გაოცებასაც, რაც ოდესმე მქონდა განცდილი.

ძილით შეიცნო მან სამყარო. ღმერთო მღერალო,
რა სრულქმნილებას აზიარე, რომ გაღვიძება
არც კი ეწადა? ხედავ, იშვა და განაგრძო ძილი.

სიკვდილი მისი სადღა არის? ო, შენ ამ გვრინის
ინებებ შეთხზვას, ჰანგი შენი ვიდრე მიწყდება?-
საით მიიღტვის ჩემგან იგი?... გოგონა ლამის...

III

Ein Gott vermagt. Wie aber, sag mir, soll
ein Mann ihm folgen durch die schmale Leier?
Sein Sinn ist Zwiespalt. An der Kreuzung zweier
Herzwege steht kein Tempel für Apoll.

Gesang, wie du ihn lehrst, ist nicht Begehr,
nicht Werbung um ein endlich noch Erreichtes;
Gesang ist Dasein. Für den Gott ein Leichtes.
Wann aber *sind* wir? Und wann wendet *er*

an unser Sein die Erde und die Sterne
Dies *ists* nicht, Jüngling, daß du liebst, wenn auch
die Stimme dann den Mund dir aufstößt, – lerne

vergessen, daß du aufsangst. Das verrinnt.
In Wahrheit singen, ist ein anderer Hauch.
Ein Hauch um nichts. Ein Wehn im Gott. Ein Wind.

III

ღმერთმა შეიძლო. გადაკვეთა მიღმური ზღვარი,
ადამიანმა ვით შეპბედოს ბჭეს ვიწრო ქნარის?
მისი არსია გულთა გაყრა, გახლეჩა, ბზარი.
გულთშესაყარზე აპოლონის არ დგას ტაძარი.

სიმღერა, როგორც გვიქადაგებ, არ ნიშნავს წყურვილს,
მეტადრე ხმობას, საბოლოოდ მიღწეულისთვის;
სიმღერა არის არსებობა. იოლი – ღვთისთვის.
ჩვენ კი ვართ როდის? იგი როდის გაიღებს სურვილს

მიუსადაგოს ჩვენ არსობას მიწა და ზეცა?
ეს ის არ არის, შენ რომ გიყვარს ყმაწვილო ჯერაც,
თუმცა მოარღვევს შენს პირბაგეს ძალუმი ბგერა, –

სიმღერა უნდა დაივიწყო, ფუჭია ქნარი.
ჭეშმარიტების ამღერება სულ სხვა ქროლაა.
არარას ჟრუოლა, ღმერთში ქროლა, ნიავი, ქარი.

IV

O Ihr Zärtlichen, tretet zuweilen
in den Atem, der euch nicht meint,
laßt ihn an euren Wangen sich teilen,
hinter euch zittert er, wieder vereint.

O ihr Seligen, o ihr Heilen,
die ihr der Anfang der Herzen scheint.
Bogen der Pfeile und Ziele von Pfeilen,
ewiger glänzt euer Lächeln verweint.

Fürchtet euch nicht zu leiden, die Schwere,
gebt sie zurück an der Erde Gewicht;
schwer sind die Berge, schwer sind die Meere.

Selbst die als Kinder ihr pflanztet, die Bäume
wurden zu schwer längst; ihr trüget sie nicht.
Aber die Lüfte ... aber die Räume ...

IV

ო, სათუთებო, შეაღწიეთ უამიუამ სუნთქვას,
თქვენ რომ არასდროს გგულისხმობდათ თანამეწილედ,
მიეცით ნება თქვენს ღანვებზე გადანაწილდეს,
თუმც თქვენს ზურგსუკან დედდება და თრთის შენივთული.

ო, თქვენ ნეტარნო, სრულყოფილნო, მარადი მწენი
და ყველა გულის ხართ საწყისი მანათობელი.
სამიზნეცა ხართ, მშვილდისარიც, დაუნდობელი,
სამარადჟამოდ ბრწყინავს ცრემლით ღიმილი თქვენი.

არ შეგეშინდეთ, სიმძიმილის, ურვა-წუხილის,
კვლავ დაუბრუნეთ დედამიწას უსაზმნო წონა;
მძიმეა ზღვები, მძიმე, მთებიც ცადაზიდული,
ყმაწვილნო ხენიც, თქვენ რომ რგავდით უმანკოებო,
საჯილდაოდაც რახანია დამძიმებულან;
თუმცა ჰაერნი... თუმცა სივრცის უსაზღვროება...

V

Errichtet keinen Denkstein. Laßt die Rose
nur jedes Jahr zu seinen Gunsten blühn.
Denn Orpheus ists. Seine Metamorphose
in dem und dem. Wir sollen uns nicht mühn

um andre Namen. Ein für alle Male
ists Orpheus, wenn es singt. Er kommt und geht.
Ists nicht schon viel, wenn er die Rosenschale
um ein paar Tage manchmal übersteht?

O wie er schwinden muß, daß ihrs begrifft!
Und wenn ihm selbst auch bangte, daß er schwände.
Indem sein Wort das Hiersein übertrifft,

ist er schon dort, wohin ihrs nicht begleitet.
Der Leier Gitter zwängt ihm nicht die Hände.
Und er gehorcht, indem er überschreitet.

V

ძეგლს ნუ აღმართავთ, დაე ისევ ივარდოს ვარდმა
მისად საოხად, იყვავილოს ყოველ წელს დამდეგს,
გარდასახული ორფევსია იგი რადგანაც,
სამარადისოდ, აქ და იქაც. ნუ იღწვით ამდენს

სხვა სახელისთვის, ორფევსია ოდითგან მხოლოდ,
იგი, ვინც მღერის. მო-და მიდის, სიმღერის ფარდი.
თუმცა არ კმარა ესეც განა, თუკი ორიოდ
დღითაც ხანდახან არ ნებდება მჭენარობას ვარდის?

ო, უნდა გაჰქრეს, რათა ჩაწვდეთ, იგი მიღმიერ!
თუმცა თავადვე განქარების შიში აქვს მწველი.
თუ სიტყვა მისი აღემატა ყოფნას მიწიერს,

იქაა უკვე, თანამდევი აღარ ჰყავს სადაც.
იქ, სადაც ქნარის გისოსები ვერ ბოჭავს ხელებს.
და მორჩილებით გადალახავს ყოველგვარ სამანს.

VI

Ist er ein Hiesiger? Nein, aus beiden
Reichen erwuchs seine weite Natur.
Kundiger böge die Zweige der Weiden,
wer die Wurzeln der Weiden erfuhr.

Geht ihr zu Bette, so laßt auf dem Tische
Brot nicht und Milch nicht; die Toten ziehts –
Aber er, der Beschwörende, mische
unter der Milde des Augenlids

ihrer Erscheinung in alles Geschaute;
und der Zauber von Erdrauch und Raute
sei ihm so wahr wie der klarste Bezug.

Nichts kann das gültige Bild ihm verschlimmern;
sei es aus Gräbern, sei es aus Zimmern,
rühme er Fingerring, Spange und Krug.

VI

მიწიერია განა იგი? არა, არც ოდეს,
ორთავ საუფლოს წიაღიდან ამოიზარდა
ბუნება მისი უსამანო. ტირიფის ტოტებს
უკეთ მოიწვდის ის, ვინც ფესვის აზრს ჩაუღრმავდა.

ძილად მისვლისას, გარდასულთა სულს რომ იზიდავს –
რე ანდა პური, არ დატოვოთ სუფრაზე არსად;
შემლოცველი კი ქუთუთოთა სილბოს სილრმიდან
აზავებს ლანდთა მოახლებას ხილულთა დასად;

და გრძნეულებას ტეგანის და კვამლას ნახშირის
მიიჩნევს იგი როგორც ნათელ, უცხადეს კავშირს
და აღარაფერს ძალუძს ავნოს ჭეშმარიტ სურათს;

და თუნდაც იყოს ეს სურათი აკლდამებიდან,
ან თუნდაც იყოს სენაკთა, თუ ოთახებიდან,
დიდებას სწირავს იგი ბეჭედს, ბალთას და სურას.

VII

Rühmen, das ists! Ein zum Rühmen Bestellter,
ging er hervor wie das Erz aus des Steins
Schweigen. Sein Herz, o vergängliche Kelter
eines den Menschen unendlichen Weins.

Nie versagt ihm die Stimme am Staube,
wenn ihn das göttliche Beispiel ergreift.
Alles wird Weinberg, alles wird Traube,
in seinem fühlenden Süden gereift.

Nicht in den Grüften der Könige Moder
straf't ihm die Rühmung lügen, oder
daß von den Göttern ein Schatten fällt.

Er ist einer der bleibenden Boten,
der noch weit in die Türen der Toten
Schalen mit rühmlichen Früchten hält.

VII

აი, დიდების ხოტბად ქმნილი! წარმომავალი
ქვის დუმილიდან, მადნის ლექი, ძარღვი ძირძველი.
გული კი მისი, საწნახელი ო, წარმავალი,
კაცთა მოდგმისთვის ულევ ღვინის შემომწირველი.

ხმა არ უმტყუნებს გარდასახულს ნემტის სახებად,
თუ მას მონუსხავს მარტვილობის ღვთიური ხატი.
მაშინ ყოველი, ზვარად, მტევნად დაისახება,
მომწიფებული მისი გრძნობის სამხრეთულ ხვატით.

ვერა, მეფეთა ხრწნილი ნაშთი სარკოფაგების,
ვერ ათქმევინებს მას პირმოოთნე ქება-დიდებას,
ან თუნდაც ის, რომ, ღვთაებათა ეცემა ჩრდილი.

იგია ერთი მაცნეთაგან, მარადიული,
სულეთის ბჭეთა მიღმა უკვე შორს შეღწეული
და ხელთ უპყრია ლანკანებით დიდების ხილი.

VIII

Nur im Raum der Rühmung darf die Klage
gehn, die Nymphe des geweinten Quells,
wachend über unserm Niederschlage,
daß er klar sei an demselben Fels,

der die Tore trägt und die Altäre. –
Sieh, um ihre stillen Schultern fröhlt
das Gefühl, daß sie die jüngste wäre
unter den Geschwistern im Gemüt.

Jubel *weiß*, und Sehnsucht ist geständig, –
nur die Klage lernt noch; mädchenhändig
zählt sie nächtelang das alte Schlimme.

Aber plötzlich, schräg und ungeübt,
hält sie doch ein Sternbild unsrer Stimme
in den Himmel, den ihr Hauch nicht trübt.

VIII

გოდებას მხოლოდ ხოტბის სივრცის შეღწევა ძალუძს,
ცრემლით შობილი, წყაროს ნიმფა თვალფხიზლად იცავს,
რომ არაფერი შეერიოს ჩვენს ნალექ-ნაჟურს,
რომ გამჭვირვალედ ილივლივოს იმავე კლდისთავს,

საკურთხეველთა კარიბჭე რომ უტვირთავს წმინდა. –
შეხედე, უმალ ეუფლება, მის მხრებს მდუმარეთ,
შეგრძნება თითქოს, რომ უმრნემეს გოდებად ვლიდა
ყველა სულიერ და-ძმას შორის, ნიმფა მწუხარე.

განცხრომამ იცის, მონატრება კი ინანიებს, –
მხოლოდ გოდება სწავლობს ისევ; ყოველდამიერ
ქალწულებრივი ხელით ითვლის ძველ ბედით წუთებს.

თუმც კი ანაზდად, ალმაცერად და გაუწვრთნელად,
ცაზე ჩვენი ხმის ზოდიაქოს კვლავ ინარჩუნებს,
მისი ოდნავი მიმოქროლვით რომ არ იმღვრევა.

IX

Nur wer die Leier schon hob
auch unter Schatten,
darf das unendliche Lob
ahnend erstatten.

Nur wer mit Toten vom Mohn
aß, von dem ihnen,
wird nicht den leisesten Ton
wieder verlieren.

Mag auch die Spiegung im Teich
oft uns verschwimmen:
Wisse das Bild.

Erst in dem Doppelbereich
werden die Stimmen
ewig und mild.

IX

და მხოლოდ ლირა ვინც ააუღერა
აჩრდილთ სავანეს,
ბედავს გუმანით ხოტბის სიმღერას
და ჰკვეთს სამანებს.

გარდასულებთან ხაშხაშის ღერის
ვინც შესვა ხსენი,
არ დაუსხლტება იოტაც ბგერის
ძლივს მოსასმენი.

თუმც ჩვენს ანარეკლს, გუბურის სარკე
ტალღებად არხევს:
უწყოდე სახე.

ორთავ საუფლოს წიაღი აქცევს
ხმებს ლბილ-საამოდ,
დაუსაბამოდ.

X

Euch, die ihr nie mein Gefühl verließt,
grünß ich, antikische Sarkophage,
die das fröhliche Wasser römischer Tage
als ein wandelndes Lied durchfließt.

Oder jene so offenen, wie das Aug
eines frohen erwachenden Hirten,
– innen voll Stille und Bienensaug –
denen entzückte Falter entschwirrten;

alle, die man dem Zweifel entreißt,
grünß ich, die wiedergeöffneten Munde,
die schon wußten, was schweigen heißt.

Wissen wirs, Freunde, wissen wirs nicht?
Beides bildet die zögernde Stunde
in dem menschlichen Angesicht.

X

თქვენ, ანტიკურო სარკოფაგნო, მოგესალმებით,
ვერ შელევიხართ ჩემს შეგრძნებას, მიდიან წლები,
რომაულ დღეთა მორაკრაკე, მედინი წყლები,
მოხეტიალე სიმღერებად გესალბუნებათ.

განხმულნო ისე, ვით უეცრად გაღვიძებული,
მავანი მწყემსის გახელილი ფართოდ თვალები,
ნიაღალვისილნო, ჭინჭრისდედით და მდუმარებით –
გაგეცლებიან ფარვანები აღტაცებული.

ყველას, ყოველგვარ ეჭვს და ყოყმანს გარიდებულებს,
თქვენ, კვლავგანხმულნო პირბაგენო მოგესალმებით,
ვინც უკვე უწყით, რას ნიშნავდა თვით მდუმარება.

ჩვენ აკი ვიცით მეგობრებო, არ ვიცით განა?
ორსავე პასუხს ადამიანთ იერსახეზე,
სახავს ანაზდად, მერყევი და მყოვარი ხანი.

XI

Sieh den Himmel. Heißt kein Sternbild ›Reiter‹?
Denn dies ist uns seltsam eingeprägt:
dieser Stolz aus Erde. Und ein Zweiter,
der ihn treibt und hält und den er trägt.

Ist nicht so, gejagt und dann gebändigt,
diese sehnige Natur des Seins?
Weg und Wendung. Doch ein Druck verständigt.
Neue Weite. Und die zwei sind eins.

Aber sind sie's? Oder meinen beide
nicht den Weg, den sie zusammen tun?
Namenlos schon trennt sie Tisch und Weide.

Auch die sternische Verbindung trügt.
Doch uns freue eine Weile nun
der Figur zu glauben. Das genügt.

XI

ახედე ცამყარს. ცთომილთ არც ერთ ქარგას არ ჰქვია
განა “მხედარი”? ჩვენ უცნაურ დამღად გვაჩინია:
ეს მიწიერი ქედმაღლობა. და სხვაც, ვინც ხედნის,
და თან იურვებს რაშს, რომელიც იტვირთავს მხედარს.

ყოფიერების ძარღვიანი ბუნებაც განა,
არ განსჯის ასე? ალაგმვა სდევს მუდამ ჭენებას,
გზა, მოსახვევი. გეშით მგრძნობი აღვირის ენა.
ახალი სივრცე. და ერთდება ორი ერთ ცნებად.

არიან კია? თუ იზრახეს ის გზა და გეზი
ორივე ასე ერთსულოვნად რომ შესდგომია?
მათ უკვე მიჯნავს იალაღი, სუფრა-ტრაპეზი.

წუთისოფლისთვის ვარსკვლავედის ქარგაც მცდარია.
თუ გავიხარებთ წამიერი რწმენით მისდამი,
ეს ჩვენმიერი სიხარულიც კი საკმარია.

XII

Heil dem Geist, der uns verbinden mag;
denn wir leben wahrhaft in Figuren.
Und mit kleinen Schritten gehn die Uhren
neben unserm eigentlichen Tag.

Ohne unsern wahren Platz zu kennen,
handeln wir aus wirklichem Bezug.
Die Antennen fühlen die Antennen,
und die leere Ferne trug ...

Reine Spannung. O Musik der Kräfte!
Ist nicht durch die läßlichen Geschäfte
jede Störung von dir abgelenkt?

Selbst wenn sich der Bauer sorgt und handelt,
wo die Saat in Sommer sich verwandelt,
reicht er niemals hin. Die Erde *schenkt*.

XII

ვადიდოთ სული, სიყვარულით რომ გვამთლიანებს;
ჩვენ ჭეშმარიტად ბედისწერით ვარსებობთ რადგან.
და საათი კი, კვლავ მოზომილ ნაბიჯებს ადგამს,
ჩვენი ნამდვილი ცისმარე დღის მემატიანე.

თუმცა არ ვუწყით რა ადგილი ვიგულვოთ ჩვენად,
მაინც ნამდვილი მიმართებით ვიღწვით ნიადაგ.
ანტენებს გრძნობენ ანტენები, ქცეულნი სმენად,
და ცარიელმა სივრცემ ზიდა, ზიდა ზვიადად....

ეს წმინდა ძაბვა. ო, მუსიკა ძალთახმევისა!
განა შენმიერ, შეფერხება ყველა რხევისა
არ დაიძლევა საქმით, რაიც დასაშვებია?

თვით მაშინაც კი, როცა გლეხი თესავს, ირჯება,
და როცა თესლი, მყის ზაფხულის სახედ იშლება,
დუმს გლეხის ალღო. ჭირნახული – მიწით იშვება.

XIII

Voller Apfel, Birne und Banane,
Stachelbeere ... Alles dieses spricht
Tod und Leben in den Mund ... Ich ahne ...
Lest es einem Kind vom Angesicht,

wenn es sie erschmeckt. Dies kommt von weit.
Wird euch langsam namenlos im Munde?
Wo sonst Worte waren, fließen Funde,
aus dem Fruchtfleisch überrascht befreit.

Wagt zu sagen, was ihr Apfel nennt.
Diese Süße, die sich erst verdichtet,
um, im Schmecken leise aufgerichtet,

klar zu werden, wach und transparent,
doppeldeutig, sonnig, erdig, hiesig –:
O Erfahrung, Fühlung, Freude –, riesig!

XIII

დამწიფებული ვაშლი, მსხალი, კენკრა, ბანანი...
ნუგბარი ხილი ჩამოთვლილი, ჩვენს პირბაგეზე
სიკივიდილ-სიცოცხლეს ამეტყველებს... ასე მგონია...
ამოიკითხავთ ამ შეგრძნებას ბავშვის სახეზეც,

როცა ის ნაყოფს შეექცევა. შორს მოწეული,
გვერწყმის თანდათან, უსახელოდ ჩვენ პირის წიაღ?
იქ, სადაც სიტყვის ვანი იყო, შანარნი დიან,
ხილის სხეულით გასაოცრად თავდაღწეული.

ვაშლს რას უწოდებთ, აგვისენით, თქვით გაბედულად.
ამ სიტყბოს, რაიც დასაწყისში ბლანტია მხოლოდ,
რათა ჭაშნიკით ნება-ნება აღზევდეს ბოლოს,

გამომზეურდეს, გამჭვირვალედ ცინცხალი გემო,
ორაზროვანი, მიწიერი, მზისცვარდაკრული:
ო, განცდით წვდომა, ნეტარება, ვერმოსაზღვრული!

XIV

Wir gehen um mit Blume, Weinblatt, Frucht.
Sie sprechen nicht die Sprache nur des Jahres.
Aus Dunkel steigt ein buntes Offenbares
und hat vielleicht den Glanz der Eifersucht

der Toten an sich, die die Erde stärken.
Was wissen wir von ihrem Teil an dem?
Es ist seit lange ihre Art, den Lehm
mit ihrem freien Marke zu durchmärken.

Nun fragt sich nur: tun sie es gern? ...
Drängt diese Frucht, ein Werk von schweren Sklaven,
geballt zu uns empor, zu ihren Herrn?

Sind *sie* die Herrn, die bei den Wurzeln schlafen,
und gönnen uns aus ihren Überflüssen
dies Zwischending aus stummer Kraft und Küssen?

XIV

ჩვენ თავს ვევლებით ვაზის ფოთოლს, ნაყოფს და ყვავილს,
მხოლოდ წლიური ენით როდი გვანდობენ სათქმელს.
მწუხრი წარმოშობს თვალსაჩინო, ნაირფერ სამხილს,
რაც ალბათ ამხელს გარდაცვლილთა ეჭვების არილს,

ძარღვსა და ძალას რომ მატებენ მინის დიდებას.
რა წილხვედრი აქვთ მათ მინიერ ნაყოფთა ხვავში?
დიდიხანია, უსამანო მათივე ნაშთით,
თიხნარი მინა ნოყივრდება და იწინდება.

იკითხეთ მხოლოდ: არის მათთვის ეს მოსაწონი?...
მძიმე კირთებით მსხვილ მუშტებად აკინძულ ნაყოფს
ნუთუ ამქვეყნად მოგვაგებენ, მათ დიდბატონებს?

თუ თვით არიან ბატონები, ფესვებთან ახლოს
მძინარენი და მათი ხვავით მოგვემადლება
უტყვი ძალასა და ამბორსშუა იდუმალება?

XV

Wartet ..., das schmeckt ... Schon ists auf der Flucht.
... Wenig Musik nur, ein Stampfen, ein Summen –:
Mädchen, ihr warmen, Mädchen, ihr stummen,
tanzt den Geschmack der erfahrenen Frucht!

Tanzt die Orange. Wer kann sie vergessen,
wie sie, ertrinkend in sich, sich wehrt
wider ihr Süßsein. Ihr habt sie besessen.
Sie hat sich köstlich zu euch bekehrt.

Tanzt die Orange. Die wärmere Landschaft,
werft sie aus euch, daß die reife erstrahle
in Lüften der Heimat! Erlühte, enthüllt

Düfte um Düfte. Schafft die Verwandtschaft
mit der reinen, sich weigernden Schale,
mit dem Saft, der die Glückliche füllt!

XV

ჯერ შეიცადეთ... ნუგბარია... ნებდება წარსულს.
...დაირხა ნელი მუსიკის ხმა, ზუზუნი ხემის –
დაძერწეთ როკვით, ნაჭაშნიკევ ნაყოფის ხსენი,
ასულნო ბაგემდუმარენო, თბილო ქალწულნო!

ასახეთ ცეკვით ფორთოხალი. ნიადაგ გვახსოვს,
როგორ ინთქმება თავის თავში და ექიშპება
ის მტკარადყოფნას. ან თქვენია მასზედ უფლება.
დაურვებული, თავს თქვენშივე ნუგბარად აქსოვს.

ასახეთ ცეკვით ფორთოხალი. თბილი, სადაგი,
მიდამო თქვენგნით მიაგებეთ, რათა სჭვიოდეს
სიმწიფე მათი, მშობლიური ალმურით სავსე!

სურნელი შლილი სურნელებდეს. მიუსადაგეთ
წმინდა ნაყოფის ნაჟურს, ურჩი ქერქი – ბადია,
რასაც უებრო ნეტარება – ნექტარი ავსებს!

XVI

Du, mein Freund, bist einsam, weil ...
Wir machen mit Worten und Fingerzeigen
uns allmählich die Welt zu eigen,
vielleicht ihren schwächsten, gefährlichsten Teil.

Wer zeigt mit Fingern auf einen Geruch?
Doch von den Kräften, die uns bedrohten,
ühlst du viele ... Du kennst die Toten,
und du erschrickst vor dem Zauberspruch.

Sieh, nun heißt es zusammen ertragen
Stückwerk und Teile, als sei es das Ganze.
Dir helfen, wird schwer sein. Vor allem: pflanze

mich nicht in dein Herz. Ich wüchse zu schnell.
Doch *meines* Herrn Hand will ich führen und sagen:
Hier. Das ist Esau in seinem Fell.

XVI

მოყვასო ჩემო, ეული ხარ სრულიად რადგან...
სიტყვებითა და საჩვენებლად გაწვდილი ხელით
დავისაკუთრეთ ჩვენსამყარო თანდათან, მთელი,
მისი სუსტი და სახიფათო ნაწილი ალბათ.

ვინ მიგვანიშნოს, მითითებით რაიმ სურნელი? –
თუმც იმ ძალთაგან, რაც გვაფრთხობდა, გიგრძვნია
ბევრი...

მიცვალებულთა არსიც უწყი, სიკვდილის კევრიც,
და მაგიური სახვრა გზარავს შენც, შიშისმგვრელი.

ხედავ, ვიტვირთოთ უნდა ერთად ჩვენი წილხვედრი,
თუნდ ნაწილ-ნაწილ, აკინძული ისე, ვით მთელი,
მაგრამ იცოდე, შენი შველა იქნება ძნელი.

გულში ნუ ჩამრგავ, რადგან უმალ ვიზრდები – გვედრი.
მსურს მაინც შენსკენ მოვმართო ჩემი ღვთაების ხელი,
ვთქვა: აქ. ეს არის, ფაჩვნიერი თავად ესავი.

XVII

Zu unterst der Alte, verworrn,
all der Erbauten
Wurzel, verborgener Born,
den sie nie schauten.

Sturmhelm und Jägerhorn,
Spruch von Ergrauten,
Männer im Bruderzorn,
Frauen wie Lauten ...

Drängender Zweig an Zweig,
nirgends ein freier ...
Einer! O steig ... o steig ...

Aber sie brechen noch.
Dieser erst oben doch
biegt sich zur Leier.

XVII

ფსკერზე – მხცოვანი, შეუცნობელი,
ყველა ქმნილების ფესვი ძირძველი,
წყარო ყველასთვის მიუწვდომელი,
თვალმოუკრავი და საკვირველი.

მარეკთა ბუკი და მუზარადი,
ხანდაზმულების ღრმა ანდაზები,
კაცთა და ძმათა შუღლი მარადი,
ქალნი ვით ბარბით-ფიანდაზები...

ტოტი ტოტს იხვევს უსურვაზივით,
არ ყელყელაობს ლალად არცერთი...
მხოლოდ ის კენტი! ო...ო... აღზევდი...

ტყდებიან რტონი, არ ინდობს ქარი.
თუმც მოიქნება ისე ვით ქნარი
ზეალმართული, ის ერთადერთი.

XVIII

Hörst du das Neue, Herr,
dröhnen und bebен?
Kommen Verkünder,
die es erheben.

Zwar ist kein Hören heil
in dem Durchtobtsein,
doch der Maschinenteil
will jetzt gelobt sein.

Sieh, die Maschine:
wie sie sich wälzt und rächt
und uns entstellt und schwächt.

Hat sie aus uns auch Kraft,
sie, ohne Leidenschaft,
treibe und diene.

XVIII

გესმის უფალო ახალი ხანის,
გრგვინვა, ზრიალი?
მახარებელნიც კი მოგვეახლნენ,
გააქვთ გრიალი.

თუმც ყურთასმენა წაჰგვარა ყველას
ამ გახელებამ,
დაზგა კი მაინც ხოტბას ელის,
ქებით ხსენებას.

უცქირე, ცბიერ ქცევას მანქანის:
ბრუნავს, ტრიალებს, გვიმრუდებს სახეს,
შურისგებასაც არ დაახანებს.

ჩვენგანვე იწოვს ის ძალისხმევას,
და უსულგულოდ აგრძელებს რხევას,
გვარგებდეს თითქოს ბრუნვა მანქანის.

XIX

Wandelt sich rasch auch die Welt
wie Wolkengestalten,
alles Vollendete fällt
heim zum Uralten.

Über dem Wandel und Gang,
weiter und freier,
währt noch dein Vor-Gesang,
Gott mit der Leier.

Nicht sind die Leiden erkannt,
nicht ist die Liebe gelernt,
und was im Tod uns entfernt,

ist nicht entschleiert.
Einzig das Lied überm Land
heiligt und feiert.

XIX

თუნდ ღრუბლებივით მყის იცვლიდეს სამყარო სახეს,
დაუსრულებლად,
არსი ყოველი სრულყოფილი, კვლავ პირველსახეს,
შინ უბრუნდება.

სახეცვლასა და უამთა სვლაზეც კი ზეაღნაგი,
უვრცესი, ლალი,
ჯერ სუფევს ისევ შენეული წინარე-ჰანგი,
ღვთაებავ ჩანგით.

ვნებათა ღელვა დაგვრჩა მაინც შეუცნობელი,
ჯერ სიყვარულიც, აქამომდე ვერ შევისწავლეთ,
და სიკვდილმიაც რა გვაშორებს, ასე ულმობლად

ერთმანეთისგან, რჩება ესეც ამოუხსნელი.
ქვეყნიერებას კი აკურთხებს და თავს ევლება
სიმღერა მხოლოდ, მოზეიმე და მომნუსხველი.

XX

Dir aber, Herr, o was weih ich dir, sag,
der das Ohr den Geschöpfen gelehrt? –
Mein Erinnern an einen Frühlingstag,
seinen Abend, in Rußland –, ein Pferd ...

Herüber vom Dorf kam der Schimmel allein,
an der vorderen Fessel den Pflock,
um die Nacht auf den Wiesen allein zu sein;
wie schlug seiner Mähne Gelock

an den Hals im Takte des Übermuts,
bei dem grob gehemmten Galopp.
Wie sprangen die Quellen des Rossebluts!

Der fühlte die Weiten, und ob!
Der sang und der hörte –, dein Sagenkreis
war *in* ihm geschlossen. Sein Bild: ich weih's.

XX

სამაგიერო რა მოგიძლვნა, მარქვი მე ღმერთო,
ყველა ქმნილებას ყურთასმენა რომ გაუწვრთენი? –
მინდა შეგკადრო მოგონება მე ერთადერთი,
რუსეთი –, ბინდი გაზაფხულის და ერთი ცხენი...

სოფლის კიდიდან მოგელავდა ლეგა სულ მარტო,
წინა ფეხზე კი თან დასთრევდა ხის ავარტანი,
და ლამე იყო ველზე მისი თავშესაფარი,
ხვიარ ტალღებად ევლებოდა კისერს ფაფარი,

იმეორებდა შმაგ რიტმულ სვლას მომწყვდეულს ტაქტში,
თითქოს სადავით შეჯერებულს იწყებდა ჯირითს.
ბორგნეულს სისხლი ჭეშმარიტი უდუღდა ძარღვში.

გრძნობდა სივრცეებს უსასრულოდ, გრძნობდა,
თან რარიგ!
იგი მღეროდა და ისმენდა –, და სიტყვა-თქმანი
შედედდა მასში შენეული. გიძღვნი ვით ტარიგს.

XXI

Frühling ist wiedergekommen. Die Erde
ist wie ein Kind, das Gedichte weiß;
viele, o viele ... Für die Beschwerde
langen Lernens bekommt sie den Preis.

Streng war ihr Lehrer. Wir mochten das Weiße
an dem Barte des alten Manns.
Nun, wie das Grüne, das Blaue heiße,
dürfen wir fragen: sie kanns, sie kanns!

Erde, die frei hat, du glückliche, spiele
nun mit den Kindern. Wir wollen dich fangen,
fröhliche Erde. Dem Frohsten gelingts.

O, was der Lehrer sie lehrte, das Viele,
und was gedruckt steht in Wurzeln und langen
schwierigen Stämmen: sie singts, sie singts!

XXI

დაბრუნდა ისევ გაზაფხული. ამ დედამიწამ
ზეპირად იცის ბავშვებივით, ლექსები თითქოს;
ბევრი, ო, ბევრი... თუმც ბეჯითი შეგირდი იმჩამს
მძიმე გარჯისა და სწავლისთვის მიიღებს ჯილდოს.

მასწავლებელი იყო მკაცრი. მაინც გვიყვარდა
ხნიერი კაცის თეთრი წვერის ქათქათა ფერი,
რა უნდა ერქვას ლურჯს ან მწვანეს, ვიკითხოთ ახლა,
გვაქვს ამის ნება: მან უწყის, უწყის, ეს ყველაფერი!

თავისუფალი ხარ და ლალი, ნეტარო მიწავ,
გვწადია ბავშვებს ეს თამაში: გვსურს მოგიხელთოთ,
მხოლოდ უსაზღვროდ ლალს თუ ძალუძს დაჭერა შენი.

ო, რაც მოძღვარმა შეასწავლა, ღრმა ცოდნა მისცა,
და რაც ფესვებში ჩაიტვითრა და მძიმე ხეთა
ხანგრძლივ მოდგმაში: მიწაც იგივეს მღერის და მღერის!

XXII

Wir sind die Treibenden.
Aber den Schritt der Zeit,
nehmt ihn als Kleinigkeit
im immer Bleibenden.

Alles das Eilende
wird schon vorüber sein;
denn das Verweilende
erst weiht uns ein.

Knaben, o werft den Mut
nicht in die Schnelligkeit,
nicht in den Flugversuch.

Alles ist ausgeruht:
Dunkel und Helligkeit,
Blume und Buch.

XXII

ჩვენ ვართ სულსწრაფნი, მოუთმენელნი.
მაგრამ დრო, ნაბიჯ-ნაბიჯ მედინი,
დაუსაბამოდ შთენილებისთვის
წვრილმანი არის შეუმჩნეველი.

ყოველივე კი, მსრბოლი და სწრაფი,
განწირულია კვდომისთვის ბოლოს;
ჩვენდა კურთხევად რადგან, ისწრაფვის
დახანებული ოდითგან მხოლოდ.

ო, ყმაწვილებო, სისწრაფის განცდას –
ლტოლვას უცნაურს, ნუ მიეცემით,
არ სცადოთ ფრენა, დალახვა ცისა.

ირგვლივ ყოველი დაწყნარდა, დაცხრა:
ნათლიერება და უკუნეთი,
დუმილი წიგნის და ყვავილისა.

XXIII

O erst *dann*, wenn der Flug
nicht mehr um seinetwillen
wird in die Himmelstillen
steigen, sich selber genug,

um in lichten Profilen,
als das Gerät, das gelang,
Liebling der Winde zu spielen,
sicher, schwenkend und schlank, –

erst, wenn ein reines Wohin
wachsender Apparate
Knabenstolz überwiegt,

wird, überstürzt von Gewinn,
jener den Fernen Genahte
sein, was er einsam erfliest.

XXIII

ო, მხოლოდ მაშინ, ოდეს გაფრენა
არც კი აჰყვება თავნება ნებას
შეხსნას კამარა მდუმარე ზეცას,
სცადოს თვითკმარი მან აღმაფრენა,

რათა ნაკვთებში შუქთა ციალით,
ხელსაწყო თავად, მიჯნურად იქცეს,
გაითამაშოს ქართა ტრფიალი,
ირაოს ხიბლით, ნატიფად, მტკიცედ, —

მხოლოდღა მაშინ, როდესაც წმინდა
„საითკენ“ ლტოლვის ეს აპარატი,
ყმაწვილურ ჟინსა და ქედმაღლობას

გადალახავს და მოგებით დიდად
აღტკინებული, იფრენს სულ მარტო,
იქცევა თავად სივრცის ახლობლად.

XXIV

Sollen wir unsere uralte Freundschaft, die großen
niemals werbenden Götter, weil sie der harte
Stahl, den wir streng erzogen, nicht kennt, verstoßen
oder sie plötzlich suchen auf einer Karte?

Diese gewaltigen Freunde, die uns die Toten
nehmen, rühren nirgends an unsere Räder.
Unsere Gastmähler haben wir weit –, unsere Bäder,
fortgerückt, und ihre uns lang schon zu langsamen Boten

überholen wir immer. Einsamer nun aufeinander
ganz angewiesen, ohne einander zu kennen,
führen wir nicht mehr die Pfade als schöne Mäander,

sondern als Grade. Nur noch in Dampfkesseln brennen
die einstigen Feuer und heben die Hämmer, die immer
größern. Wir aber nehmen an Kraft ab, wie Schwimmer.

XXIV

დიად ღმერთებთან მეგობრობა ჩვენი ძირძველი,
უარვყოთ განა, თუ ისინი ჩვენ ნაწრთობ ფოლადს,
სულ არ იცნობენ, საგანგებოდ დაწინდულს ბრძმედით,
ანთუ ვეძიოთ ის ანაზდად რუკაზე მხოლოდ?

ძლევამოსილი მეგობრები, მკვდრებს გვარიდებენ,
არ ეხებიან ბორბლებს ჩვენსას არასდროს არსად.
შორს დავიჭირეთ განაპანვანი და ნადიმები,
და მათ ზედმეტად ზანტ მაცნეთა გადასწრებასაც

ვახერხებთ ისევ, ახლა კი ვართ მარტოეულნი
და ერთმანეთზე მინდობილნი, თუმცა უცხონი,
არ მივსდევთ ბილიკს არასოდეს კლაკნილს და ეულს,

ვარჩიეთ შარა. კვლავ გიზგიზებს პირველი ცეცხლი
ორთქლის ქვაბებში, აღიძვრიან კვლავ მძლე ურონი.
ჩვენ კი გვდალატობს მოცურავის მკლავი თუ ღონი.

XXV

Dich aber will ich nun, Dich, die ich kannte
wie eine Blume, von der ich den Namen nicht weiß,
noch ein Mal erinnern und ihnen zeigen, Entwandte,
schöne Gespielin des unüberwindlichen Schrei's.

Tänzerin erst, die plötzlich, den Körper voll Zögern,
anhielt, als göß man ihr Jungsein in Erz;
trauernd und lauschend-. Da, von den hohen Vermögern
fiel ihr Musik in das veränderte Herz.

Nah war die Krankheit. Schon von den Schatten bemächtigt,
drängte verdunkelt das Blut, doch, wie flüchtig verdächtigt,
trieb es in seinen natürlichen Frühling hervor.

Wieder und wieder, von Dunkel und Sturz unterbrochen,
glänzte es irdisch. Bis es nach schrecklichem Pochen
trat in das trostlos offene Tor.

XXV

შენ გიხმობ ახლა, ყვავილის დარს, ასე გიცნობდი,
შენ, ვინც უცნობი, უსახელო იყავი ჩემთვის,
მსურს გაგიხსენო გარდასული, აქ მოგიხმობდი,
ნახონ დობილი მშვენიერი უძლევი კვნესის.

მყის გაარინდა მოცეკვავემ ტანი რხეული,
ბრინჯაოდ იქცა თითქოს მისი ყმანვილქალობა;
უსმენდა ურვით –. მაშინ, ჰანგი ზეცისეული,
გარდაქმნილ მის გულს მიემადლა, როგორც წყალობა.

სულ ახლოს იყო სნეულება. ჩრდილით ძლეული,
იძვროდა სისხლი, ეჭვნეული, მრუმედ ქცეული,
თუმც ბუნებრივი გაზაფხულის თანამდევარი.

ისევ და ისევ, დათრგუნული სითალხით, ლექით,
კვლავ მიწიერად ღვიოდა, სანამ სასტიკი რეხით
არ გადალახა უნუგემოდ ღია ბჭეკარი.

XXVI

Du aber, Göttlicher, du, bis zuletzt noch Ertöner,
da ihn der Schwarm der verschmähten Mänaden befießt,
hast ihr Geschrei übertönt mit Ordnung, du Schöner,
aus den Zerstörenden stieg dein erbauendes Spiel.

Keine war da, daß sie Haupt dir und Leier zerstör.
Wie sie auch rangen und rasten, und alle die scharfen
Steine, die sie nach deinem Herzen warfen,
wurden zu Sanftem an dir und begabt mit Gehör.

Schließlich zerschlugen sie dich, von der Rache gehetzt,
während dein Klang noch in Löwen und Felsen verweilte
und in den Bäumen und Vögeln. Dort singst du noch jetzt.

O du verlorener Gott! Du unendliche Spur!
Nur weil dich reißend zuletzt die Feindschaft verteilte,
sind wir die Hörenden jetzt und ein Mund der Natur.

XXVI

შენ, ღვთაებრივო, ხმიანებდი აღსასრულამდეც,
უარყოფილი მენადების გუნდი აშარი,
როს თავს დაგესხა, შენ სიმწყობრით მყის გადაფარე
დამანგრეველი კიუინი და, აღმართე ქნარი.

ვერავინ შესძლო დაემსხვრია შენთვის თუმც ლირა,
ბრმა გაშმაგებით მორკინალნი ვერას ხდებოდნენ,
პირბასრი ქვები, შენ გულს, მათი, არ ეხებოდა,
იხვეჭდნენ სმენას გარდაქმნილნი შენ გვერდით ცვილად.

შურისძიებამ ნაფლეთ-ნაფლეთ გაგცია მაინც,
როს შენი ჰანგი შეეხიზნა კლდესა და ლომებს,
ფრინველთ და ხეებს. იქ შენი ხმა დღესაც გაისმის.

ღმერთო გამქრალ! უსასრულო კვალო სადაგო!
დასასრულ მტრობამ რომ დაგთლითა, იმადლა მხოლოდ,
ვართ მსმენელები ახლა ჩვენ და ბუნების ბაგე.

ZWEITER TEIL

I

Atmen, du unsichtbares Gedicht!
Immerfort um das eigne
Sein rein eingetauschter Weltraum. Gegengewicht,
in dem ich mich rhythmisch ereigne.

Einige Welle, deren
allmähliches Meer ich bin;
sparsamstes du von allen möglichen Meeren, –
Raumgewinn.

Wieviele von diesen Stellen der Räume waren schon
innen in mir. Manche Winde
sind wie mein Sohn.

Erkennst du mich, Luft, du, voll noch einst meiniger Orte?
Du, einmal glatte Rinde,
Rundung und Blatt meiner Worte.

II ნაშილი

I

სუნთქვავ, უხილავ ლექსად მიცვნიხარ!
ნიადაგ ჩემი არსობის ირგვლივ
სამყაროს სივრცის წმინდა მიმოცვლავ, საპირნონე ხარ,
სადაც ვარსებობ ჩვეული რიტმით.

ხარ ერთადერთი ტალღა, რომელის
თანდათან მზარდი ზღვა მე ვარ თავად;
შენ, ზღვათა შორის ზღვარმოზომილი,—
სივრცეხალვათად.

ამ სივრცეების რამდენი არე, ზეცათა ბჭენი
დავანებულა უკვე ჩემს წიაღ. მავან-მავანი
ქარები თითქოს ძე იყოს ჩემი.

ჰაერო მიცან, ჩემეულით აღსავსევ ოდით?
შენ, პირველქმნილო გლუვო ლაფანო,
ჩემი სიტყვების სიმრგვალე ხარ, ფოთოლი მხმობი.

II

So wie dem Meister manchmal das eilig
näherte Blatt den *wirklichen* Strich
abnimmt: so nehmen oft Spiegel das heilig
einige Lächeln der Mädchen in sich,

wenn sie den Morgen erproben, allein, –
oder im Glanze der dienenden Lichter.
Und in das Atmen der echten Gesichter,
später, fällt nur ein Widerschein.

Was haben Augen einst ins umrußte
lange Verglühn der Kamine geschaut:
Blicke des Lebens, für immer verlorne.

Ach, der Erde, wer kennt die Verluste?
Nur, wer mit dennoch preisendem Laut
sänge das Herz, das ins Ganze geborne.

II

ისე ვით ოსტატს ჩანახატი დასტყუებს უმალ,
ნაჩქარევს, თუმცა ჭეშმარიტ შტრიხს, დამაჯერებელს,
ხშირად სარკეთა გლუვი სიღრმეც იწოვს ქალწულთა
უბინო ღიმილს, იმ ერთადერთს, მოუხელთებელს,

თუ დილის ჭაშნიკს იგემებენ მარტონი, ბროლით,—
ან მოელვარე კელაპტრების ციმციმ-ციალში.
თუმც ჭეშმარიტი სახეების სუთქვის რიალში,
მოგვიანებით ანარეკლი იღვრება მხოლოდ.

ოდესლაც ბუხრის თაღებს მიღმა, ცეცხლს ჩანავლებულს,
როცა ჩასცერდნენ, რას ხედავდნენ ნეტავ თვალები:
სიცოცხლის ციალს, სამუდამოდ უკვე დაკარგულს.

ჰოი, მიწაო, ვინდა მოთვლის გამქრალ-გარდასულს?
მხოლოდ და მხოლოდ ის, ვინც მაინც დაივალებდა,
უთხრას გალობა სრულყოფილში დაბადებულ გულს.

III

Spiegel: noch nie hat man wissend beschrieben,
was ihr in euerem Wesen seid.
Ihr, wie mit lauter Löchern von Sieben
erfüllten Zwischenräume der Zeit.

Ihr, noch des leeren Saales Verschwender –,
wenn es dämmert, wie Wälder weit ...
Und der Lüster geht wie ein Sechzehn-Ender
durch eure Unbetretbarkeit.

Manchmal seid ihr voll Malerei.
Einige scheinen *in* euch gegangen
andere schicktet ihr scheu vorbei.

Aber die Schönste wird bleiben –, bis
drüben in ihre enthaltenen Wangen
eindrang der klare gelöste Narziß.

III

სარკენო: ჯერაც ვერვინ ჩასწვდა და ვერ აღწერა,
იდუმალება თქვენეული უცხო არსისა.
თქვენ აკი დროის უჯრედული ხართ არეები,
აღვსილნი თითქოს ნასვრეტებით წმინდა საცრისა.

უკაცრიელი სრადარბაზის ხართ მთლანგველები –,
და თუ ბინდდება, იხვეჭთ თითქოს სივრცეს ტყეების...
და თქვენს შეუვალ უჯერ წიაღს ვეღარ ელევა
თექვსმეტფრთიანი ჭალის ბრწყინვა, სხივთა მზეები.

ხან ემსგავსებით ფერსავსენი ფერწერულ ტილოს.
შეაღწევს თქვენში ზოგი თითქოს დაუბრკოლებლად,
სხვებს კი ისტუმრებთ შიშნეულად და უგერგილოდ.

თუმცა თქვენს წიაღს ეხიზნება ულამაზესი,
ვიდრე მიღმიერ ფერნამკრთალევ დაწვებს არეკლილთ
არ შეერწყმება, გახსნილი და ცხადი ნარცისი.

IV

O dieses ist das Tier, das es nicht giebt.
Sie wußtens nicht und habens jeden Falls
- sein Wandeln, seine Haltung, seinen Hals,
bis in des stillen Blickes Licht – geliebt.

Zwar war es nicht. Doch weil sie's liebten, ward
ein reines Tier. Sie ließen immer Raum.
Und in dem Raume, klar und ausgespart,
erhob es leicht sein Haupt und brauchte kaum

zu sein. Sie nährten es mit keinem Korn,
nur immer mit der Möglichkeit, es sei.
Und die gab solche Stärke an das Tier,

daß es aus sich ein Stirnhorn trieb. Ein Horn.
Zu einer Jungfrau kam es weiß herbei –
und war im Silber-Spiegel und in ihr.

IV

ო, არ არსებობს მისი მსგავსი ქვეყნად ცხოველი,
თუმც არ უწყოდნენ მის შესახებ მათ არაფერი,
უყვარდათ მაინც სვლა, მიმოხვრა ყელმონალერი
და უწყინარი მისი მზერის სხივი ყოველი.

არ იყო მართლაც, თუმც უყვარდათ უზომოდ რადგან,
წმინდა ცხოველად დაიგულვეს. უთმობდნენ სივრცეს.
და იმ სივრცეში, ხალვათად და სავსებით ნათლად,
თავი თამამად ასწია და აღარც კი ირჩევს

მიწიერ ყოფნას. განა ხორბლით ასაზრდოებდნენ,
თავად შესაძლო არსებობა კვებავდა მხოლოდ,
რამაც შესძინა, მას იმგვარი ძალ-ლონე ფრიად,

რომ რქა ცხოველმა შუბლზე თავად ამოიზარდა.
ეახლა ქალწულს თეთრადქმნილი, სპეტაკი ბოლოს
და ჩაიბუდა ვერცხლ-სარკეში და ქალის წიაღ.

V

Blumenmuskel, der der Anemone
Wiesenmorgen nach und nach erschließt,
bis in ihren Schooß das polyphone
Licht der lauten Himmel sich ergießt,

in den stillen Blütenstern gespannter
Muskel des unendlichen Empfangs,
manchmal so von Fülle übermannter,
daß der Ruhewink des Untergangs

kaum vermag die weitzurückgeschnellten
Blätterränder dir zurückzugeben:
du, Entschluß und Kraft von *wieviel* Welten!

Wir, Gewaltsamen, wir währen länger.
Aber *wann*, in welchem aller Leben,
sind wir endlich offen und Empfänger?

V

ყვავილის კუნთი, ნება-ნება რომ გადაუხსნის
ფრინტას, მდელოთა სურნელოვან, ნამიან დილას,
ვიდრე ბუტკოში ელვარება ცათა გუგუნის
ჩაედინება თანხმიერი, ხმაშენყობილად,

მდუმარ ვარსკვლავად გაშლილ ყვავილს, სულ დაძაბული,
მუდამ მზადმყოფი მისაღებად კუნთი მღუარი,
ხან კი სისავსით ისე არის წრეგადასული,
რომ სიკვდილისაც, უძლეველი თვლემა მდუმარი

ვერ შეიძლებდა, აეკინძა სწრაფგანძარცული
ფოთოლთა კიდე, რათა ისევ შენ დაგიბრუნოს:
შენ, უსაზომო სამყაროთა ძალავ, სასრულო!

მოძალადენი ვართ და ამად მეტხანსაც ვცხოვრობთ.
სახელდობრ რომელ ცხოვრებაში, ო, მაინც როდის,
ვიქნებით ღია და მიმღებნი, ბოლოს და ბოლოს?

VI

Rose, du thronende, denen im Altertume
warst du ein Kelch mit einfachem Rand.
Uns aber bist du die volle zahllose Blume,
der unerschöpfliche Gegenstand.

In deinem Reichtum scheinst du wie Kleidung um Kleidung
um einen Leib aus nichts als Glanz;
aber dein einzelnes Blatt ist zugleich die Vermeidung
und die Verleugnung jedes Gewands.

Seit Jahrhunderten ruft uns dein Duft
seine süßesten Namen herüber;
plötzlich liegt er wie Ruhm in der Luft.

Dennoch, wir wissen ihn nicht zu nennen, wir raten ...
Und Erinnerung geht zu ihm über,
die wir von rufbaren Stunden erbaten.

VI

ვარდო, უზადო დედოფალო, შენ ამშვენებდი
წარჩინებულთა ტრაპეზს უწინ, როგორც ფიალა.
ჩვენთვის - ფერსავსე ყვავილი ხარ, არც ინებებდი
რიცხვს შეხიზნოდი, ან ნივთივით იქმნე იავარ.

დიდებულებას შენსას უხვად მოსავს სამოსი,
შემოვლებია ბრნყინვალებას შენი სხეულის,
თუმცა თუნდ ერთი ვარდფურცელი, აკი იმავდროს
უარყოფაა, განრიდება თვით ძონეულის.

საუკუნეთა მიღმიდან ხმობს სურნელი შენი,
მისი უტკბესი სახელები აღწევს ჩვენამდე;
შერნყმია ჰაერს ანაზდად და დიდებად შვენის.

არ ვუწყით მაინც, რა ვუწოდოთ, ვეძიებთ დღემდე...
და მოგონება აღწევს მასთან მიღმიერამდე,
მოსახმობ დრო-ჟამს მუდარით რომ ვთხოვეთ და ვენდეთ.

VII

Blumen, ihr schließlich den ordnenden Händen verwandte,
(Händen der Mädchen von einst und jetzt),
die auf dem Gartentisch oft von Kante zu Kante
lagen, ermattet und sanft verletzt,

wartend des Wassers, das sie noch einmal erhole
aus dem begonnenen Tod –, und nun
wieder erhobene zwischen die strömenden Pole
fühlender Finger, die wohlzutun

mehr noch vermögen, als ihr ahntet, ihr leichten,
wenn ihr euch wiederfandet im Krug,
langsam erkühlend und Warmes der Mädchen, wie Beichten,

von euch gebend, wie trübe ermüdende Sünden,
die das Gepflücktsein beginn, als Bezug
wieder zu ihnen, die sich euch blühend verbünden.

VII

ყვავილნო, მაინც მახლობელნო მუყაით ხელთა,
(ძველ და ახლანდელ გოგონათა ნაზი ხელების),
ხშირად გვერდიგვერდ მაგიდაზე ელაგეთ ერთად,
ფერნამკრთალევნი და სულ ოდნავ შელახულები,

მაცოცხლებელი წყლის იმედად მომლოდინენი,
დაწყებულ სიკვდილს ერთხელაც რომ განგარიდებდათ –,
აღმდგარნი ისევ მგრძნობიარე ხელების ნებით,
და თითებშუა მძაფრი მუხტის მიმოდინებით,

ვიდრე გეგონათ, უფრო მეტად გშველით ხანდახან,
თითები მსუბუქთ, ლარნაკში კი გონს მოხვალთ ოდეს,
ასულთა სითბო, გაგრილებულთ, გტოვებთ თანდათან,

ვით აღსარება, გამთანგველი, მრუმე ცოდვების,
რაიც მოწყვეტით მოწყვლას მოჰყვა, როგორც დასტური
თქვენთან კვლავშერწყმის, მოყვავილედ შენაკონები.

VIII

Wenige ihr, der einstigen Kindheit Gespielen
in den zerstreuten Gärten der Stadt:
wie wir uns fanden und uns zögernd gefielen
und, wie das Lamm mit dem redenden Blatt,

sprachen als Schweigende. Wenn wir uns einmal freuten,
keinem gehörte es. Wessen wars?

Und wie zergings unter allen den gehenden Leuten
und im Bangen des langen Jahrs.

Wagen umrollten uns fremd, vorübergezogen,
Häuser umstanden uns stark, aber unwahr, – und keines
kannte uns je. Was war wirklich im All?

Nichts. Nur die Bälle. Ihre herrlichen Bogen.
Auch nicht die Kinder ... Aber manchmal trat eines,
ach ein vergehendes, unter den fallenden Ball.

(In memoriam Egon von Rilke)

VIII

ცოტანი-ლა ხართ მეგობრებო, წარსულ ბავშვობის,
ქალაქის უხვად მიმოფანტულ მყუდრო ბალებში:
ვაგნებდით მაინც ერთმანეთს და უხმო გართობას
ძლივს-ლა ვძედავდით, ბატკანივით სიტყვის გარეშე

მეტყველი ბაფთით ვსაუბრობდით. სიხარულს
დათვლილს,
თუ შევიგრძნობდით, ეკუთვნოდა განა კი ვინმეს?
და გაილია სიხარულიც, მიჰყვა ხალხს ჩავლილს
და უსაშველოდ განელილ წლის ძრწოლის სიმძიმეს.

ეტლებმა გვერდი აგვიარეს უცხოდ, გრიალით,
სახლები მკვიდრად, თუმცა მცდარად,
მოგვადგნენ ალყად,
თუმც არც გვიცნობდნენ. ჭეშმარიტი იყო რამ ქვეყნად?

არც არაფერი. მხოლოდ ბურთის ფრენა-ტრიალი.
და არც ბავშვები... თუმც კი ერთი ხანდახან ალბათ,
ოპ, განწირული, კვლავ ვარდნილ ბურთს ელოდა კენტად.

(ეძღვნება ეგონ ფონ რილკეს ხსოვნას)

IX

Rühmt euch, ihr Richtenden, nicht der entbehrlischen Folter
und daß das Eisen nicht länger an Hälsen sperrt.
Keins ist gesteigert, kein Herz –, weil ein gewollter
Krampf der Milde euch zarter verzerrt.

Was es durch Zeiten bekam, das schenkt das Schafott
wieder zurück, wie Kinder ihr Spielzeug vom vorig
alten Geburtstag. Ins reine, ins hohe, ins thorig
offene Herz träte er anders, der Gott

wirklicher Milde. Er käme gewaltig und griffe
strahlender um sich, wie Göttliche sind.

Mehr als ein Wind für die großen gesicherten Schiffe.

Weniger nicht, als die heimliche leise Gewahrung,
die uns im Innern schweigend gewinnt
wie ein still spielendes Kind aus unendlicher Paarung.

IX

თავს ნუ შეიქებთ, მსაჯულებო, გაუქმდა რადგან
ადამიანის უქმი ტანჯვა, და რკინის ყულფით
ყელი არასდროს მოიმწყვდევა. არც ერთ გულს მათგან,
არ აღამაღლებს, გულჩვილობის ნებსითი კრუნჩხვით

მოლბებით თუკი. ეშაფოტი დროის ნაბოძვარს
უკანვე უძლვნის, ვით ბავშვები ძველ სათამაშოს,
ნარსულ, შარშანდელ დაბადების დღეზე ნაჩუქარს.
უწმინდეს, მაღალ, გადახსნილ გულს, ლიად რომ არსობს,

სულ სხვანაირად შეხსნის ღმერთი, ნამდვილად სათნო.
მძლავრად, ელვარედ, ღვთაებრივად მოიხვეჭს არეს.
იმ ქარზე მეტი, დიდ დაზღვეულ გემებს რომ ათნევს.

ფრთხილ და იდუმალ მიკვლევაზე, არცთუ ნაკლები,
შინაგანად რომ გვინადირებს, უმალ, მდუმარედ,
ვით ყრმა, უწყვეტი შეწყვილების მზარდი ნაყოფი.

X

Alles Erworbne bedroht die Maschine, solange
sie sich erdreistet, im Geist, statt im Gehorchen, zu sein.
Daß nicht der herrlichen Hand schöneres Zögern mehr prange,
zu dem entschlossenern Bau schneidet sie steifer den Stein.

Nirgends bleibt sie zurück, daß wir ihr ein Mal entrönnen
und sie in stiller Fabrik ölend sich selber gehört.
Sie ist das Leben, – sie meint es am besten zu können,
die mit dem gleichen Entschluß ordnet und schafft und zerstört.

Aber noch ist uns das Dasein verzaubert; an hundert
Stellen ist es noch Ursprung. Ein Spielen von reinen
Kräften, die keiner berührt, der nicht kniet und bewundert.

Worte gehen noch zart am Unsäglichen aus ...
Und die Musik, immer neu, aus den bebendsten Steinen,
baut im unbrauchbaren Raum ihr vergöttlichtes Haus.

X

მთელს მონაპოვარს ემუქრება მანქანა, ვიდრე
თავნებობს გონით, მორჩილების ვერშემგუები.
დიდებულ ხელთა ნარნარ ყოვნას არ ეპუება,
ნაგებობისთვის ულაზათოდ ჭრის ქვებს და ირგებს.

არ იხევს უკან, არსად რათა, მყის არ დავუსხლტეთ
და გაპოხილი, ეუფლება ქარხნის შენობას.
ის ცხოვრებაა. – ალღოს სხვებზე უკეთ აუღებს,
მარჯვედ იურვებს როგორც ნგრევას, ისე შენებას.

ყოფიერება ჩვენთვის ჯერაც იდუმალია;
ის საწყისია მაინც ისევ, მრავალგან ქვეყნად.
ზეძალთა თამაშს იგრძნობს ის ვინც თავმდაბალია.

გამოუთქმელთან უფრო ფრთხილად ცვდება სიტყვები...
ახალ-ახალი მუსიკის ჰანგი, მერხევი ქვებით,
აგებს თავის სახლს გაღმერთებულს, ურგებ სივრცეში.

XI

Manche, des Todes, entstand ruhig geordnete Regel,
weiterbezwinger Mensch, seit du im Jagen beharrst,
mehr doch als Falle und Netz, weiß ich dich, Streifen von Segel,
den man hinuntergehängt in den höhligen Karst.

Leise ließ man dich ein, als wärst du ein Zeichen,
Frieden zu feiern. Doch dann: rang dich am Rande der Knecht,
– und, aus den Höhlen, die Nacht warf eine Handvoll von bleichen
taumelnden Tauben ins Licht ... Aber auch das ist im Recht.

Fern von dem Schauenden sei jeglicher Hauch des Bedauerns,
nicht nur vom Jäger allein, der, was sich zeitig erweist,
wachsam und handelnd vollzieht.

Töten ist eine Gestalt unseres wandernden Trauerns ...
Rein ist im heiteren Geist,
was an uns selber geschieht.

XI

სიკვდილის მრავალ წესს იყენებ, ძალადობ ისევ, ვეღარ ელევი ნადირობას, ადამიანო; ფაცერკორდსა და ბადეზე მეტად, აკი შენ გიცნობ, კარსტულ ქვაბულში ჩაკიდულო აფრავ, ფრთიანო.

სიღრმეში ჩუმად ჩაგიშვებდნენ ვით სამშვიდობო აღლუმის ალამს. ყმა კი, კიდეს მიგანარცხებდა და მღვიმეებით ღამე ფერმკრთალ და შეშინებულ, მტრედთა ეულ გუნდს სამზეოზე ამოანთხევდა...

თვალს ვინც ადევნებს, ოდნავადაც ნუ დაინანებს, ნურც მონადირე, ვინც იმწამსვე მზერს თვალსაწიერს, მიზანსაც ფხიზლად და უზადოდ უმალ ახვედრებს.

მკვლელობა, ჩვენი მომთაბარე კაეშანია...
ნმიდაა ლალი სულის წიალ,
ბედისწერა – ჩვენი წილხვედრი.

XII

Wolle die Wandlung. O sei für die Flamme begeistert,
drin sich ein Ding dir entzieht, das mit Verwandlungen prunkt;
jener entwerfende Geist, welcher das Irdische meistert,
liebt in dem Schwung der Figur nichts wie den wendenden Punkt.

Was sich ins Bleiben verschließt, schon ists das Erstarre;
wähnt es sich sicher im Schutz des unscheinbaren Grau's?
Warte, ein Härtestes warnt aus der Ferne das Harte.
Wehe -: abwesender Hammer holt aus!

Wer sich als Quelle ergießt, den erkennt die Erkennung;
und sie führt ihn entzückt durch das heiter Geschaffne,
das mit Anfang oft schließt und mit Ende beginnt.

Jeder glückliche Raum ist Kind oder Enkel von Trennung,
den sie staunend durchgehn. Und die verwandelte Daphne
will, seit sie lorbeern fühlt, daß du dich wandelst in Wind.

XII

გწადდეს გარდაქმნა, ო, ელტვოდე ცეცხლის მძლე
გზნებას,
მასში ცვლილებით მპრწყინავ საგანს ვერ მოიხელთებ;
დიადი სული მიწიერთა სხეულს რომ ძერნავს,
მათ ჩამოქნისას, ეჭრფის მხოლოდ გარდამტეს წერტილს.

უმოძრაობა გაქვავებას შობს იმთავითვე,
შეიფარავს კი უსახური წიდა მას თუნდაც?
მყარი მყარითვე დაიცდება, ასეა ისევ,
ვაი, რომ ურო არყოფილი, მზადაა მუდამ!...

ვინც წყაროსავით მედინია, შეცნობაც იცნობს;
და უშფოთველად ქმნილის წიაღ, მიუძღვის გზნებით,
რასაც საწყისით ასრულებს და ბოლოდან იწყებს.

ნაშიერია განშორების, სვიანი სივრცე,
გზად რომ გაივლის განცვიფრებით. დაფნას კი გრძნებით,
ხედ გარდასახულს, სწადია, რომ შენ ქარად იქცე.

XIII

Sei allem Abschied voran, als wäre er hinter
dir, wie der Winter, der eben geht.

Denn unter Wintern ist einer so endlos Winter,
daß, überwinternd, dein Herz überhaupt übersteht.

Sei immer tot in Eurydike –, singender steige,
preisender steige zurück in den reinen Bezug.
Hier, unter Schwindenden, sei, im Reiche der Neige,
sei ein klingendes Glas, das sich im Klang schon zerschlug.

Sei – und wisse zugleich des Nicht-Seins Bedingung,
den unendlichen Grund deiner innigen Schwingung,
daß du sie völlig vollziehest dieses einzige Mal.

Zu dem gebrauchten sowohl, wie zum dumpfen und stummen
Vorrat der vollen Natur, den unsäglichen Summen,
zähle dich jubelnd hinzu und vernichte die Zahl.

XIII

დამშვიდობებას ყოველნაირს, დაასწარ, თითქოს
ზამთარი უკან მოიტოვე, უკვე ძლეული,
რადგან ზამთართა შორის ერთმა, იქნება გიმტროს,
თუ სძლიე ზამთარს, გული გრჩება დაუძლეველი.

ევრიდიკეში მკვდარი –, მაინც ლალად მღეროდე,
აღზევდი ხოტბით, დაუბრუნდი კავშირს უწმინდეს.
აქ, წარმავალთა საუფლოში დაისს ელოდე,
იყავ ბროლივით, წკრიალშიც რომ იმსხვრევა მყისვე.

იყავ, თუმცადა არ-ყოფნისაც იცოდე გეზი,
ღრმა, სულიერი შენი რხევის მიზეზთმიზეზი,
რომ აღასრულო სრულყოფილად, ამჯერად ერთგზის.

გამოყენებულს, დაბინდულს და ასევე უსიტყვს,
სავსე ბუნების უზღვავ მარაგს, ულევს და ურიცხვს,
შენც მიეკუთვნე აღტკინებით და მოსრე რიცხვი.

XIV

Siehe die Blumen, diese dem Irdischen treuen,
denen wir Schicksal vom Rande des Schicksals leihn, –
aber wer weiß es! Wenn sie ihr Welken bereuen,
ist es an uns, ihre Reue zu sein.

Alles will schweben. Da gehn wir umher wie Beschwerer,
legen auf alles uns selbst, vom Gewichte entzückt;
o was sind wir den Dingen für zehrende Lehrer,
weil ihnen ewige Kindheit glückt.

Nähme sie einer ins innige Schlafen und schliefe
tief mit den Dingen –: o wie käme er leicht,
anders zum anderen Tag, aus der gemeinsamen Tiefe.

Oder er bliebe vielleicht; und sie blühten und priesen
ihn, den Bekehrten, der nun den Ihrigen gleicht,
allen den stillen Geschwistern im Winde der Wiesen.

XIV

დახე ყვავილებს, ერთგულ შვილებს დედამიწისა,
რომელთაც სვე-ბედს ბედისწერის ზღვრიდან მივაგებთ,
მაგრამ ვინ იცის! თუ მჭკნარობას ნანობენ თვისას,
ეს სინანული ჩვენ ვართ ეგების.

ფრენა-ლივლივი სურს ყველაფერს, ჩვენ ირგვლივ დავალთ,
ვამძიმებთ ყველას, ჩვენივ წონით აღტაცებულნი;
ო, საგნებისთვის აბეზარი აღმზრდელები ვართ,
რადგან მათ ყრმობა დაებედათ მარადიული.

საკუთარ ძილს რომ აზიაროს ისინი ვინმემ,
და ღრმად ეძინოს იმ საგნებთან, ო, რა იოლად
გამოაღწევდა გარდაქმნილი, საერთო სიღრმეს.

ან დარჩებოდა კიდეც ალბათ; ისინი მაშინ,
განადიდებდნენ კვლავ მოქცეულს, გვირგვინგაშლილნი,
ახლა უტყვ და-ძმებს რომ ჩამოჰვავს, მდელოთა ქარში.

XV

O Brunnen-Mund, du gebender, du Mund,
der unerschöpflich Eines, Reines, spricht, –
du, vor des Wassers fließendem Gesicht,
marmorne Maske. Und im Hintergrund

der Aquäduke Herkunft. Weither an
Gräbern vorbei, vom Hang des Apennins
tragen sie dir dein Sagen zu, das dann
am schwarzen Altern deines Kinns

vorüberfällt in das Gefäß davor.
Dies ist das schlafend hingelegte Ohr,
das Marmorohr, in das du immer sprichst.

Ein Ohr der Erde. Nur mit sich allein
redet sie also. Schiebt ein Krug sich ein,
so scheint es ihr, daß du sie unterbrichst.

XV

ო, წყაროს-პირო, ხვავრიელო, დაუღალავო,
ოდენ სიწმინდით გვესიტყვები შენ დღენიადაგ,
მოლივლივე წყლის პირ-სახეზე შეუბლალავი
მარმარილოსი ხარ ნიღაბი. ან მატიანე,

ოდინდელ, ნაკვეთ აკვედუკთა, ძლივს ილანდება.
აპენინების კალთებიდან, სამაროვანთა
გავლით, მათ შენი თქმულებანი და ლეგენდები
მოაქვთ შენამდე და შემდეგ კი, ჩქერი რომელთა

ჩაშავებულ და ან გალეულ ნიკაპზე ჩავლით,
ეშვება იქვე, ქვის ჭურჭელში, შეუჩერებლივ.
მარმარის ყური, ძილბურანით ქანცგანყვეტილი,

ყურია მიწის, შენ რომ მუდამ ეჩურჩულები.
მარტოდმარტოა, თავის თავსვე ესაუბრება.
თუნგშედგმული კი, ჰერნებს სიტყვა გააწყვეტინე!

XVI

Immer wieder von uns aufgerissen,
ist der Gott die Stelle, welche heilt.
Wir sind Scharfe, denn wir wollen wissen,
aber er ist heiter und verteilt.

Selbst die reine, die geweihte Spende
nimmt er anders nicht in seine Welt,
als indem er sich dem freien Ende
unbewegt entgegenstellt.

Nur der Tote trinkt
aus der hier von uns *gehörten* Quelle,
wenn der Gott ihm schweigend winkt, dem Toten.

Uns wird nur das Lärmnen angeboten.
Und das Lamm erbittet seine Schelle
aus dem stilleren Instinkt.

XVI

ისევ და ისევ ჩვენგან ვნებულ-განაწამები,
ღმერთი – სავანე, სალმობათა მწე და მკურნალი.
ჩვენ ვართ პირბასრნი, რადგან ცოდნის წვდომა გვწადია,
ის კი, – ნათელი და მერნყული ყველა მწყურვალის.

არ შეიწირავს იგი წმიდა და ნაკურთხ ზვარაკს,
არ აზიარებს მის სამყაროს, თუკი ცდუნებას
აღსასრულისა, თვითნებურის, თავადვე მარად,
ნინ ურყევ ზღუდედ არ აღუდგება.

მხოლოდ გარდაცვლილს ძალუძს და იხმევს,
ამ ქვეყნად ჩვენგან ყურმოკრული იმ წყაროს წყლიდან,
ღმერთი მდუმარედ კეთილ ნებას თუ მიანიშნებს.

ჩვენ კი, ხმაური გვებოძა ნიშნად.
უბინო კრავი ევედრება ყველას მორჩილად
და თვინიერი გეშით თავის ზანზალაკს ირჩევს.

XVII

Wo, in welchen immer selig bewässerten Gärten, an welchen Bäumen, aus welchen zärtlich entblätterten Blüten-Kelchen reifen die fremdartigen Früchte der Tröstung? Diese köstlichen, deren du eine vielleicht in der zertretenen Wiese

deiner Armut findest. Von einem zum anderen Male wunderst du dich über die Größe der Frucht, über ihr Heilsein, über die Sanftheit der Schale, und daß sie der Leichtsinn des Vogels dir nicht vorwegnahm und nicht die Eifersucht

unten des Wurms. Giebt es denn Bäume, von Engeln beflogen, und von verborgenen langsamem Gärtnern so seltsam gezogen, daß sie uns tragen, ohne uns zu gehören?

Haben wir niemals vermocht, wir Schatten und Schemen, durch unser voreilig reifes und wieder welkes Benehmen jener gelassenen Sommer Gleichmut zu stören?

XVII

სად, ანდა რომელ ნეტარებით ნარწყავ ბალებში,
რომელ ხეებზე, ან ყვავილთა რომელ გაღელილ
ფიალებიდან მწიფს ნუგეშის უცხო რამ ხილი?
ასე ნუგბარი, შენ კი ალბათ ერთს თუ იხილავ

იმ შენეული უპოვრობის თელილ მდელოზე.
გიკვირს ნაყოფის სიდიდე და ფერადოვნება,
სიმრთელე მისი, გარეკანის ხავერდოვნება
და რომ დაასწარ ცეტ ჩიტსა და მატლის მცდელობას.

ანგელოსთაგან ფრთადაკრულნი, ხომ დგანან ხენი,
გაზრდილნი მაღლულ ზანტ მეზვრეთა მზრუნველი ხელით,
ჩვენ რომ გვიტვირთეს, თუმც აროდეს არიან ჩვენი?

სქემა-ჩრდილებად ქცეულებმა ვერ შევიძელით,
ჩვენი სულსწრაფად მწიფე და კვლავ დამჭვნარი ქცევით,
მდორე ზაფხულის გულგრილობის გარღვევა ძნელი?

XVIII

Tänzerin: o du Verlegung
alles Vergehens in Gang: wie brachtest du's dar.
Und der Wirbel am Schluß, dieser Baum aus Bewegung,
nahm er nicht ganz in Besitz das erschwungene Jahr?

Blühte nicht, daß ihn dein Schwingen von vorhin
umschwärme,
plötzlich sein Wipfel von Stille? Und über ihr,
war sie nicht Sonne, war sie nicht Sommer, die Wärme,
diese unzählige Wärme aus dir?

Aber er trug auch, er trug, dein Baum der Ekstase.
Sind sie nicht seine ruhigen Früchte: der Krug,
reifend gestreift, und die gereiftere Vase?

Und in den Bildern: ist nicht die Zeichnung geblieben,
die deiner Braue dunkler Zug
rasch an die Wandung der eigenen Wendung geschrieben?

XVIII

ო, მოცეკვავევ: შენ, გარდასახვავ
წარმავლობისა მიმოხვრაში: როკვად ენთები.
დასასრულ ბრუნვამ, მიმოხვრის ხეს რომ ასახავდი,
არ დაიუფლა ნლის ყველა დრო მოუხელთები?

მისი დუმილის ქიმი განა მყის არ აყვავდა,
მას შენი რხევა, მაღლით თავს რომ შემოვლებოდა?
და შენს ზეგარდმო მზედ არ იქცა, არ იცვლებოდა,
ზაფხულად, ხვატად, შენი სითბოს უზღვავ ნაკადად?

ნაყოფს ელოდა, აღტკინების ხე შენეული.
მისი არ არის დახუნძღული წყნარი ეს ხილი:
ქოთანი მწიფე და ლარნაკი ჭარბმოწეული?

და სურათებს კი: ჩანახატი არ შერჩა კიდევ,
შენეულ წარბთა მუქი გრეხილი,
მყის მიხატული შენი ბრუნვის და ცეკვის ძგიდეს?

XIX

Irgendwo wohnt das Gold in der verwöhnenden Bank
und mit Tausenden tut es vertraulich. Doch jener
Blinde, der Bettler, ist selbst dem kupfernen Zehner
wie ein verlorener Ort, wie das staubige Eck unterm Schrank.

In den Geschäften entlang ist das Geld wie zuhause
und verkleidet sich scheinbar in Seide, Nelken und Pelz.
Er, der Schweigende, steht in der Atempause
alles des wach oder schlafend atmenden Gelds.

O wie mag sie sich schließen bei Nacht, diese immer offene Hand.
Morgen holt sie das Schicksal wieder, und täglich
hält es sie hin: hell, elend, unendlich zerstörbar.

Daß doch einer, ein Schauender, endlich ihren langen Bestand
staunend begriffe und rühmte. Nur dem Aufsingenden säglich.
Nur dem Göttlichen hörbar.

XIX

სადღაც ნებიერ ბანკში ოქრო ნეტარად სუფევს
და მრავალ ათასს ითავისებს შინაურულად.
თუმც თვით სპილენძის უფასური უზალთუნისთვის
ბრმა მათხოვარიც წარმოადგენს დაკარგულ კუთხეს.

მაღაზიებში, კი შინაა ფული, მორთული
და მოკაზმული ბეწვეულით, მიხაკით, ფარჩით.
ის კი მდუმარი, ძილ-ღვიძილშიც, ფშვინვიერ ფულის
წამით სულმოთქმულ მონაკვეთში დარჩენას არჩევს.

ო, ვით ეწადა, სამოწყალოდ გაწვდილ ხელს ღამით,
დაშვება, თუმცა დილიდანვე ბედი ნიადაგ
გაუწვდის ისევ: უსასრულოდ მსახვრალი ბოლოს.

დაე, მჭვრეტელმა მედეგობა ეს თუნდაც წამით,
განცვიფრებულმა შეიმეცნოს და განადიდოს.
მეხოტბის სათქმელს, ხამს ღვთიური გამგონე მხოლოდ.

XX

Zwischen den Sternen, wie weit; und doch, um wievieles
noch weiter,
was man am Hiesigen lernt.
Einer, zum Beispiel, ein Kind ... und ein Nächster, ein Zweiter –,
o wie unfaßlich entfernt.

Schicksal, es mißt uns vielleicht mit des Seienden Spanne,
daß es uns fremd erscheint;
denk, wieviel Spannen allein vom Mädchen zum Manne,
wenn es ihn meidet und meint.

Alles ist weit –, und nirgends schließt sich der Kreis.
Sieh in der Schüssel, auf heiter bereitetem Tische,
seltsam der Fische Gesicht.

Fische sind stumm ..., meinte man einmal. Wer weiß?
Aber ist nicht am Ende ein Ort, wo man das, was der Fische
Sprache wäre, *ohne* sie spricht?

XX

რარიგ შორია ცთომილთ შორის; უსაზღვროდ მეტად
შორია, რასაც ამქვეყნიურ ცოდნით სწვდებიან,
თუნდ ბავშვი ვინმე... ახლობელი... წყვილი, ან კენტი –,
ო, რა საოცრად განსხვავდებიან.

ჩვენ ბედი, ალბათ, ყოფიერის გვწყავს საწყაულით,
რადგან ესოდენ უცხოდ გვეძლევა;
ქალწულს მამრისგან ამანძილებს ღრმა სასწაული,
თუ გაურბის და თან ვერც ელევა.

ყველა შორია, წრე პირს არც კი შეიკრავს არსად.
დახე, სტუმრისთვის საგანგებოდ შეკმაზულ თევზებს,
იერი მათი უცნაურია.

თევზი სდუმანო... უთქვამთ ოდით. ვინ იცის? ალბათ.
არსებობს კია თევზთა ენა ქვეყნის კიდეზე,
მათ გარეშე რომ მეტყველებენ, საცნაურია?

XXI

Singe die Gärten, mein Herz, die du nicht kennst; wie in Glas
eingegossene Gärten, klar, unerreichbar.
Wasser und Rosen von Ispahan oder Schiras,
singe sie selig, preise sie, keinem vergleichbar.

Zeige, mein Herz, daß du sie niemals entbehrst.
Daß sie dich meinen, ihre reifenden Feigen.
Daß du mit ihnen, zwischen den blühenden Zweigen
wie zum Gesicht gesteigerten Lüften verkehrst.

Meide den Irrtum, daß es Entbehrungen gebe
für den geschehn Entschluß, diesen: zu sein!
Seidener Faden, kamst du hinein ins Gewebe.

Welchem der Bilder du auch im Innern geeint bist
(sei es selbst ein Moment aus dem Leben der Pein),
ühl, daß der ganze, der rühmliche Teppich gemeint ist.

XXI

უმღერე ბალებს, გულო ჩემო, უცხო ბალნარებს;
თითქოს მინისგან ჩამოქნილებს, ვერსაკარებელთ,
შირაზისა და ისპაჰანის წყლებს და ვარდნარებს,
უმღერე ტკბილად, ხოტბა უთხარ, ვერსადარებელთ.

უთხარ, გულო, რომ ვერასოდეს ვერ შეელევი,
რომ შენ ნიადაგ გგულისხმობენ მნიშვე ლელვები,
რომ შენ მათეულ აყვავებულ რტოების სურნელს,
თითქოს სახესთან ამოღნეულს, ეალერსები.

ერიდე მცდარ აზრს, რომ არსებობს დრო-უამი რთული,
აღსრულებული განჩინების: არსებობისთვის!
ოქრომკედი ხარ აბრეშუმის, ქსოვილს შერწყმული.

თუნდ სახოვნებას ნებისმიერს მოერგო სულით
(გინდაც ცხოვრების გერგოს ნამი გაუსაძლისი),
იგრძენ ხალიჩა, სრულყოფილი და დიდებული.

XXII

O trotz Schicksal: die herrlichen Überflüsse
unseres Daseins, in Parken übergeschäumt, –
oder als steinerne Männer neben die Schlüsse
hoher Portale, unter Balkone gebäumt!

O die eherne Glocke, die ihre Keule
täglich wider den stumpfen Alltag hebt.
Oder die *eine*, in Karnak, die Säule, die Säule,
die fast ewige Tempel überlebt.

Heute stürzen die Überschüsse, dieselben,
nur noch als Eile vorbei, aus dem waagrechten gelben
Tag in die blendend mit Licht übertriebene Nacht.

Aber das Rasen zergeht und lässt keine Spuren.
Kurven des Flugs durch die Luft und die, die sie fuhren,
keine vielleicht ist umsonst. Doch nur wie gedacht.

XXII

ო, ბედს ინადი: დიდებული ფუფუნებანი,
ჩვენი ყოფნისა, უსამანო ხვავრიელებით, –
ან ვით მარმარის მამაკაცთა უტყვი ვნებანი,
ბჭეკართა გვერდით შეხიდულთა, აივნებს მხრებით!

ო, რვალის ზარი, დღენიადაგ მისი ენაკი
უფერულ ყოველდღიურობას არ ეპუება.
ან ერთი სვეტი, აზიდული სვეტი კარნაკის,
დაუსაბამო ტაძართ რღვევას ვერ ეგუება.

დღეს კი ელტვიან იგივ ჭარბი ფუფუნებანი,
ვით გაელვება წამიერი, სწორხაზოვანი,
ყვითელი დღიდან, თვალისმომჭრელ ჩახჩახა ღამეს.

მაგრამ სიშმაგე თავგასული ქრება უკვალოდ.
ჰაერში ფრენის რკალები და ცა ვინც გაკვალა,
არ დაშვრნენ უქმად, ქმნა ჩანაფიქრს თუ შეუხამეს.

XXIII

Rufe mich zu jener deiner Stunden,
die dir unaufhörlich widersteht:
flehend nah wie das Gesicht von Hunden,
aber immer wieder weggedreht,

wenn du meinst, sie endlich zu erfassen.
So Entzognes ist am meisten dein.
Wir sind frei. Wir wurden dort entlassen,
wo wir meinten, erst begrüßt zu sein.

Bang verlangen wir nach einem Halte,
wir zu Jungen manchmal für das Alte
und zu alt für das, was niemals war.

Wir, gerecht nur, wo wir dennoch preisen,
weil wir, ach, der Ast sind und das Eisen
und das Süße reifender Gefahr.

XXIII

მიხმე უმალვე, თუ საათი დაუდუმარი,
საათი კერპი, დღენიადაგ რომ გექიშპება:
მზერას ლეკვივით თუ მოგაპყრობს ხვეწნა-მუდარით,
თუმც კვლავ უეცრად შებრუნდება, გაგერიდება,

თუ გაიფიქრებ, რომ მიუხვდი, ალლო გიმტყუნებს.
ასე წაგვრილი, უმეტესად შენვე გემონა.
თავისუფალნი ვართ, თუმცა კი გამოგვისტუმრეს,
თავიდან სალმით მიგვიღებდნენ სადაც, გვეგონა.

კრძალვით ვთხოულობთ სამერმისოდ ჩვენთვის
მყარ საყრდენს,
ხან სიყმაწვილე უმწიფარი გვჭირს ნამყოსათვის
და ხნიერნი კი ვართ იმისთვის, რაც არ ყოფილა.

ვართ ჯეროვანნი, თუკი მაინც აღვავლენთ ხოტბას,
რადგან, ვაი რომ ტოტიცა ვართ და რკინის მოდგმაც,
და მწიფობაში მდგარ ხიფათის სიტკბოც, სოფლისა.

XXIV

O diese Lust, immer neu, aus gelockertem Lehm!
Niemand beinah hat den frühesten Wagern geholfen.
Städte entstanden trotzdem an beseligten Golfen,
Wasser und Öl füllten die Krüge trotzdem.

Götter, wir planen sie erst in erkühlten Entwürfen,
die uns das mürrische Schicksal wieder zerstört.
Aber sie sind die Unsterblichen. Sehet, wir dürfen
jenen erhorchen, der uns am Ende erhört.

Wir, ein Geschlecht durch Jahrtausende: Mütter und Väter,
immer erfüllter von dem künftigen Kind,
daß es uns einst, übersteigend, erschüttete, später.

Wir, wir unendlich Gewagten, was haben wir Zeit!
Und nur der schweigsame Tod, der weiß, was wir sind
und was er immer gewinnt, wenn er uns leiht.

XXIV

ო, ეს წადილი, ლბილ თიხისგან ქმნა მარად ახლის!
იმ გაბედულებს არვინ ჰყავდათ მწე და შემრგები.
თუმც აღმოცენდნენ ქალაქები ყურესთან ახლოს,
და წყლით და ზეთით სავსე ედგათ მაინც დერგები,

მხოლოდ გაბედულ მონახაზში ვიაზრებთ ღმერთებს,
ბედისწერა კი უხიაგი, გვიქარწყლებს ისევ.
მაგრამ უკვდავნი არიან და დახეთ, ჩვენ გვმართებს
მას ვუგდოთ ყური, საბოლოოდ ვინც ჩვენსას ისმენს.

ჩვენა ვართ მოდგმა დედ-მამათა, ათასწლიანი:
ისევ და ისევ ფეხმძიმეთა, შთამომავლობით,
დე, გვაოცებდეს მჯობნის მჯობი, თუნდაც გვიანი.

ჩვენ გამბედავებს, მცირე დროც კი არ გვაბადია!
მხოლოდ მდუმარე სიკვდილი სცნობს რანი ვართ ოდით
და რას მოიხვეჭს, თუ გვასესხებს, მისთვის ცხადია.

XXV

Schon, horch, hörst du der ersten Harken
Arbeit; wieder den menschlichen Takt
in der verhaltenen Stille der starken
Vorfrühlingserde. Unabgeschmackt

scheint dir das Kommende. Jenes so oft
dir schon Gekommene scheint dir zu kommen
wieder wie Neues. Immer erhofft,
nahmst du es niemals. Es hat dich genommen.

Selbst die Blätter durchwinterter Eichen
scheinen im Abend ein künftiges Braun.
Manchmal geben sich Lüfte ein Zeichen.

Schwarz sind die Sträucher. Doch Haufen von Dünger
lagern als satteres Schwarz in den Aun.
Jede Stunde, die hingeht, wird jünger.

XXV

ყური მიუგდე პირველ, გამრჯე ფოცხების შრიალს,
გაზაფხულის წინ, დაურვებულ მდუმარებაში,
მკვიდრ, დამზრალ მინას, ისევ ფრთხილად რომ ეხებიან
ადამიანურ ჩვეულ ტაქტში. უსახურადაც

არ გეჩვენება მომავალი, მოახლებული
კვლავ ხშირად შენთან, გესახება როგორც ახალი.
თუმცა იმედად დღენიადაგ გულს დასახული
ვერ მოიხელთე, შენ კი, მისგან ხარ ხელდებული.

მუხის ფოთლებიც ნაზამთრალი, საღამოს ბინდში
მოსალოდნელი მრეში ფერით აშუქებს თითქოს.
ხან კი ჰაერთა მიმოქცევაც იძლევა ნიშანს.

ჩირგვნარი შავად ილანდება. თუმცა ნაკელის
შავი ნაგოზი, უფრო მსუყე სითალხით ბზინავს.
ყოველი მსრბოლი საათი კი, ასაკით იკლებს.

XXVI

Wie ergreift uns der Vogelschrei ...
Irgendein einmal erschaffenes Schreien.
Aber die Kinder schon, spielend im Freien,
schreien an wirklichen Schreien vorbei.

Schreien den Zufall. In Zwischenräume
dieses, des Weltraums, (in welchen der heile
Vogelschrei eingeht, wie Menschen in Träume –)
treiben sie ihre, des Kreischens, Keile.

Wehe, wo sind wir? Immer noch freier,
wie die losgerissenen Drachen
jagen wir halbhoch, mit Rändern von Lachen,

windig zerfetzten. – Ordne die Schreier,
singender Gott! daß sie rauschend erwachen,
tragend als Strömung das Haupt und die Leier.

XXVI

რარიგ გვიტაცებს ფრინველების უცხო გალობა....
ხმა ოდინდელი, პირველქმნილი, ხმობა, ყვირილი,
თუმც გაშლილ ველზე, როცა ბალლნი რბიან, ლალობენ,
ჭეშმარიტ ყვირილს არ ჰეგავს მათი ჟივილ-ხივილი.

შემთხვევას ხმობენ. ხმა მკივანი მსჯვალავს სოლივით
სამყაროს სივრცის შუალედურ წიაღს, ფხიანი,
(ფრინველთა სრული მოძახილი ერწყმის რომელსაც,
ისე, ვით სიზმრებს სტუმრობს ხოლმე ადამიანი.)

ვაგლახ, სადა ვართ? უფრო მეტად გალალებულნი,
თითქოს ქაღალდის თავაწყვეტილ ფრანივით ვფრინავთ,
არცთუ მაღალზე, ამჩატებულ - ქარნალებულნი,

სიცილით კიდეგაცრეცილნი. – ჰქმენ თანაბარი,
ღმერთო მღერალო, მოძახილი ყველა მყვირალის,
რომ გამოფხიზლდნენ, ზიდონ ზვირთად თავი და ქნარი.

XXVII

Giebt es wirklich die Zeit, die zerstörende?
Wann, auf dem ruhenden Berg, zerbricht sie die Burg?
Dieses Herz, das unendlich den Göttern gehörende,
wann vergewaltigte der Demiurg?

Sind wir wirklich so ängstlich Zerbrechliche,
wie das Schicksal uns wahr machen will?
Ist die Kindheit, die tiefe, versprechliche,
in den Wurzeln – später – still?

Ach, das Gespenst des Vergänglichen,
durch den arglos Empfänglichen
geht es, als wär es ein Rauch.

Als die, die wir sind, als die Treibenden,
gelten wir doch bei bleibenden
Kräften als göttlicher Brauch.

XXVII

მართლა არსებობს დრო და უამი დამანგრეველი?
გარინდულ მთაზე როდის დასცემს ციხე-სიმაგრეს?
გულია ისევ უსასრულოდ ღმერთა მძევალი,
როდის გასწირავს გასათელად მას დემიურგი?

მართლაც ასეთი მსხვრევადნი ვართ, მფრთხალსულიანნი,
ვით ბედისწერას დარწმუნება სწადია ჩვენი?
ნუთუ ბავშვობა, ფესვნაყარი, იმედიანი,
გაილურსება სამერმისოდ, მრავლისალმთქმელი?

ო, წარმავლობის ზმანებული ფერმკრთალი ლანდი,
მორჩილისა და უწყინარი შეცნობის გავლით
გაიფანტება, განქარდება, ისე ვით კვამლი.

და ჩვენ ისეთნი, როგორიც ვართ, სწრაფწარმავალნი,
ვართ აკი მარად მგიებ ძალთა ჩამომავალნი,
ვით ღვთაებრივი ადათ-წესის შთენილი კვალი.

XXVIII

O komm und geh. Du, fast noch Kind, ergänze
für einen Augenblick die Tanzfigur
zum reinen Sternbild einer jener Tänze,
darin wir die dumpf ordnende Natur

vergänglich übertreffen. Denn sie regte
sich völlig hörend nur, da Orpheus sang.
Du warst noch die von damals her Bewegte
und leicht befremdet, wenn ein Baum sich lang

besann, mit dir nach dem Gehör zu gehn.
Du wußtest noch die Stelle, wo die Leier
sich tönend hob –; die unerhörte Mitte.

Für sie versuchtest du die schönen Schritte
und hofftest, einmal zu der heilen Feier
des Freundes Gang und Antlitz hinzudrehn.

XXVIII

ო, მიმოიქცე. შენ ჯერ ისევ ბავშვი ხარ ლამის,
შეასხი ხორცი წამით ცეკვის სრულყოფილებას,
ვარსკვლავიერი წმიდა ქარგის იმ ცეკვისათვის,
რომელის წიაღშიც, ბუნდოვანად გამრიგ ბუნებას

აღვემატებით წარმავლობით. აღიგზნო ჰანგით,
სრულ სმენად იქცა, როს ორფევსი ლალად მღეროდა.
ჯერაც შენ იყავ, ის, ვინც მაშინ ილტვოდა აქეთ,
ოდნავ შემცბარი, ხე როდესაც დიდხანს ელოდა,

რომ შენთან ერთად ხმოვანების კვალს მიჰყოლოდა.
ჯერაც უწყოდი ის ადგილი, ის, სადაც ქნარი
უღერით აღზევდა; შუაგული გაუგონარი.

მისთვის დასცადე მშვენიერი ნაბიჯი, მყარი,
იმედოვნებდი, ერთგზის წმიდა ზეიმის თარიღს,
მოყვასის სვლა და მობრუნება რომ მოჰყოლოდა.

XXIX

Stiller Freund der vielen Fernen, fühle,
wie dein Atem noch den Raum vermehrt.
Im Gebälk der finstern Glockenstühle
laß dich läuten. Das, was an dir zehrt,

wird ein Starkes über dieser Nahrung.
Geh in der Verwandlung aus und ein.
Was ist deine leidendste Erfahrung?
Ist dir Trinken bitter, werde Wein.

Sei in dieser Nacht aus Übermaß
Zauberkraft am Kreuzweg deiner Sinne,
ihrer seltsamen Begegnung Sinn.

Und wenn dich das Irdische vergaß,
zu der stillen Erde sag: Ich rinne.
Zu dem raschen Wasser sprich: Ich bin.

XXIX

ჩუმო მოყვასო თვალშეუდგამ შორეთთა, იგრძენ,
თუ ვით აღავსებს შენი სუნთქვა სამყაროს სივრცეს.
მრუმე სამრეკლოს შეხიზნული კადონთა რიგზე,
შენც რეკლე ზარად. და შენეულს რაც ითავისებს,

იქცევა ძალად, ამ საზრდოზე გამორჩეული.
გარდაისახე, ჰქმენ გარდაქმნის სახე საჩინოდ.
რომელი განცდა არის შენთვის ზემტკიცნეული?
თუკი ჭაშნიკი გემწარება, იდინე ღვინოდ.

ჯადოსნურ ძალთა სიჭარბისგან ნაქსოვ ღამეში,
შენი გრძნობების გზასაყარზე, კეთილ ინებე,
შეიქმენ მათი უცნაური თანხვედრის არსად.

და მიწიერი თუ გივიწყებს დროის თარეშში,
გაენდე მდუმარ დედამიწას: მივედინები.
წყლის შმაგ დინებას კი აუნყე, უთხარ: ვარსებობ.

**პოეტის შენიშვნები
ციკლისათვის
“სონეტები ორფევსისადმი”**

პირველი ნაწილისათვის

X სონეტი: მეორე სტრიქონში იგულისხმება არლის მახლობლად არსებული უძველესი ცნობილი სასაფლაოს Allyscamps (ელისეს მინდვრების. — ლ.დ.) სამარხები, რის შესახებაც „მალტე ლაურიდს ბრიგე“-შიც არის საუბარი.

XVI სონეტი: ეს სონეტი მიმართულია ძალლისადმი. სიტყვები „ჩემი ღმერთის ხელი“ ასახავს ორფევსისადმი დამოკიდებულებას, რომელიც აქ, პოეტისათვის ღმერთს ასახიერებს. ავტორს სურს ეს ხელი ისე მიმართოს, რომ მან, მისი უსაზღვრო თანამონაწილეობისა და თავგანწირვის გამო, დალოცოს ძალლი, რომელიც თითქმის ისავივით (იხ.: იაკობი, 1. მოსე, 27) საკუთარი ბეწვით მხოლოდ იმიტომ შეიმოსა, რომ, გულის სიღრმეში, მისთვის ბედისწერით შეუფერებელი მემკვიდრეობის — მთელი კაცობრიობის ჭირისა თუ ლხინის — თანამონაწილე გამხდარიყო.

XXI სონეტი: გაზაფხულის ეს პატარა სიმღერა, ჩემთვის თითქოს ერთგვარი „განმარტებაა“ უჩვეულოდ მროკავი მუსიკისა, რომელიც რონდას (სამხრეთ ესპანეთში) დედათა პატარა მონასტრის დილის მესაზე მოვისმინე ერთხელ, ეკლესიის ბავშვთა გუნდის შესრულებით. ბავშვები ისევ და ისევ ცეკვის რიტმში მღეროდნენ, ტრიანგელისა და ტამბურინის თანხლებით.

მეორე ნაწილისათვის

IV სონეტი: მარტორქას, შუა საუკუნეებში ქალწულობის საყოველთაოდ მიღებული სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: აქედან გამომდინარე, ამტკიცებდნენ, რომ პროფანებისათვის არ არსებული ცხოველი, მხოლოდ მაშინ აისახებოდა „ვერცხლის სარკეში“, თუ სარკე ქალწულს ეპყრა ხელთ მის წინაშე. (იხ. XV საუკუნის ფარდაგები) და „მის წიაღ“ (ქალწულში-ლ.დ.) ანუ ასევე წმიდა და იდუმალ სარკეში.

V სონეტი: ანტიკური ვარდი, უბრალოდ „ასკილი“ იყო მენამული და ყვითელი ფერისა, სწორედ ისეთი, ალის ბრიალის დროს რომ წარმოიქმნება. აქ, ვალისში, ყვავილობისას ხარობს ასეთი ვარდი.

VII სონეტი: მეოთხე სტრიქონი, ბატყანი (სურათებზე), რომელიც მხოლოდ ბაფთის არშიაზე წარწერილი ტექსტის საშუალებით მეტყველებს.

XI სონეტი: იგულისხმება ნადირობის ძველი წესი, როცა მღვიმის ფერმკრთალ მტრედებზე, შემდეგნაირად ნადირობდნენ: კარსტულ მიდამოებში (სლოვენისასა და ხორვატიაში - ლ.დ.) — ფრთხილად ჩაუშვებდნენ ხოლმე ქვაბულებში ტილოს ნაჭრებს, რომელთაც შემდეგ უეცრად მიმოარხევდნენ, რათა დამფრთხალი, იძულებით გამოდევნილი მტრედები დაქხოცათ.

XXIII სონეტი: ეძღვნება მკითხველს.

XXV სონეტი: პირველ ნაწილში (XXI - ლ.დ.) ბავშვების საგაზაფხულო სიმღერის მსგავსია.

XXVIII სონეტი: ეძღვნება ვერას.

XXIII სონეტი: ეძღვნება ვერას ერთ მეგობარ ყმაწვილს.

„აი, დიდების ხოტბად ქმნილი!..“

რაინერ მარია რილკე და ორფევსი

ჩვენს წინაშეა რაინერ მარია რილკეს ლირიკული შემოქმედების დამაგვირგვინებელი ნანარმოების („სონეტები ორფევსისადმი“) კიდევ ერთი ქართული თარგმანი. ვამბობთ „კიდევ ერთი“ – რადგანაც ქართველი მეითხველი უკვე იცნობს „სონეტების“ ვახუშტი კოტეტიშვილის უკვე თარგმანს¹, რომელიც იმთავითვე ქართული თანამედროვე პოეზიის კლასიკად იქცა. მხოლოდ ბანალურ ჭეშმარიტებას გავიმეორებ, თუკი ვიტყვი, რომ ყოველი ახალი თარგმანი ახალი უნატიფესი წიუანს ებით ამდიდრებს ნანარმოების ჩვენებულ წვდომას, მით უმეტეს, როდესაც საქმე ისეთ რთულ, შეიძლება ითქვას, ფილოსოფიურ ლირიკასთან გვაქვს, როგორიცაა „სონეტები ორფევსისადმი“.

„სონეტებისაკენ“ რილკემ უმძიმესი შემოქმედებითი და ეგზისტენციური გზა განვლო. აზრობრივადაც და ფორმალურადაც ბუმბერაზ ქმნილებასთან, „დუინურ ელეგიებთან“ ათწლიანი, თითქმის გამანადგურებელი ჭიდილის ფასად მოპოვებული, „ულმობელი ცოდნის მინურულს“², უეცრად, თვით პოეტისათვის სრულიად მოულოდნელად, მისი სულის წიაღიდან ყვავილებივით ამოიფრქვა „სონეტთა“ გუნდი.

„დუინურ ელეგიებს“ არ ექნებოდა უდიდესი ესთეტიკური, სულიერი და ეპოქალური მნიშვნელობა, მათი არსი მხოლოდ ტკივილნარევი განსჯა და ჩივილი რომ ყოფილიყო. მაგრამ

1 გამოცემულია უურნალ „აფრა“-ში 1998 წელს, შემდეგ მთარგმნელის საავტორო კრებულში „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“ (2002) და ბოლოს 2007 წელს, რილკეს თხზულებათა ხუთტომეულში (თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტრმი II).

2 თარგმანი ლულუ დადიანისა. რ. მ. რილკე, თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009, ტ. V, გვ. 309.

მათში ასახული კრიზისიდან ადამიანი საბოლოოდ გამარჯვებული გამოდის, ამ წიაღშივე ხდება, მიუხედავად ყველაფრისა, მისი შემობრუნება ამქვეყნიურისაკენ, მიწიერისკენ.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნის მოაზროვნენი და შემოქმედნი უნატიფესად განიცდიდნენ ძველი სამყაროს ნგრევას და წინასწარ გრძნობდნენ ახალი, აპოკალიფსური ხანის მოახლოვებას. რილკე მათ შორის, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარეა. მისი დროის ევროპელ ადამიანს აღარ ეგულება ფეხქვეშ ის საყრდენი, რაც წინა ეპოქებში ჰქონდა ურყყვი ბიბლიურ-ქრისტიანული მსოფლმხედველობის სახით, მან დაკარგა კავშირი იმასთან, რასაც რილკე „სამყაროს შუაგულს“ უნდოდებს და რის განსახიერებადაც „ელეგიების“ „ანგელოზი“ გვევლინება, დაკარგა მარადისობის შეგრძნება და ახლა მარტომ უნდა ეძიოს თვითგადარჩენის გზა ცივსა და უცხო სამყაროში. „...ამ ქვეყნად ვერსად დარჩები,“ – დასტირის ადამიანის მიუსაფრობას პირველი ელეგია³. მაგრამ სწორედ ამ უკიდურესი უსასოობიდან ჩნდება გამოსავალიც და შიშის დაძლევის უნარიც, რწმენა იმისა, რომ კაცობრიობის მთელი ღვანწლი, მისი გრძნობები და მისწრაფებები არ არის ფუჭი, რომ ყოველივე ამქვეყნიური ძვირფასია სწორედ თავისი წარმავალობის, მაშასადამე, განუმეორებლობის გამო. და აი, „ელეგიების“ ავტორთან ერთად უდიდეს შინაგან ფერისცვალებას განვიცდით. „აქაა სწორედ სათქმელის უამი. აქ არის მისი დედა-სამშობლო“, – ნათქვამია მეცხრე ელეგიაში. თავისი შემოქმედებითი უნარის წყალობით ადამიანს სულიერ განზომილებაში გადაჰყავს ამქვეყნიური ფასეულობები, აქცევს ხილულს უხილავად, რაც რილკეს ჩვენს უდიდეს ადამიანურ დავალებად მიაჩნია. „მინაო, განა ეს არ არის ის, რაც შენ გინდა: რომ უჩინარად აღმოცენდე ჩვენსავ სიღრმეში?“⁵ იმქვეყნიურს მხოლოდ და მხოლოდ ამქვეყნიურის მეშვეობით თუ შევწვდებით – ესაა საუკუნეთა მიჯნის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი. რილკეს თანამედროვე რუსი მწერალი, დიმიტრი მერეჟკოვსკი წერს: „ზემინიერს მანამ ვერ მივაღწევთ, ვიდრე

3 იქვე, გვ. 281.

4 იქვე, გვ. 307.

5 იქვე, გვ. 308.

ბოლომდე, უკანასკნელ ზღვრამდე არ ჩავწედებით და არ შევიყვარებთ მინიერს; ნუ შევხედავთ ზიზღითა და ძრწოლით მის უბადრუეკობას.“ ანგელოზს ვერ გააკვირვებს სულის ზეადამიანური, ზეგრძნობადი „მიღწევებით“, – აცხადებს რილკე იმავე მეცხრე ელეგიაში, – ამიტომაც „აჩვენე უბრალო რამე,/ რაც თაობიდან თაობებზე გადმოსვლისას ყალიბდებოდა, / რაც ცოცხლობს, როგორც ჩვენეული“⁶.

სწორედ „ელეგიებში“ დადებული ამ აღთქმის აღსრულებაა 55 სონეტის ეს წყება. 1921-22 წლების ზამთარი, პოეტმა გავლენიანი მეგობრების მზრუნველობის წყალობით, განმარტოვებით გაატარა შევიცარიაში, თოვლით დაბურულ პატარა ძველისძველ ციხე-კოშკ მიუზოში. ამ მისთვის იდეალურმა გარემომ მართლაც სასწაული მოახდინა და ათწლიანი მძიმე კრიზისი დააძლევინა. პოლონელი მთარგმნელის, ვიტოლდ პულევიჩისადმი მიწერილ ცნობილ წერილში, – „ელეგიათა“ კლასიკურ ავტორის სეულ განმარტებად რომ ქცეულა, – რილკე აღიარებს: „ელეგიათა“ წერას შევუდექი „1912 წელს (დუინოში) და ვწერდი ფრაგმენტულად ესპანეთსა და პარიზში 1914 წლამდე. ომშა მთლიანად გამანყვეტინა ეს ჩემი ყველაზე დიდი სამუშაო; ხოლო როდესაც 1922 წელს გავძედე განმეახლებინა იგი, ჯერ კიდევ ახალი ელეგიების დამთავრებამდე, სულ რადმენიმე დღეში, მოულოდნელად ამოვარდნილი ქარიშხალივით დამატყდა თავს „სონეტები ორფევსისადმი“ (რაც გათვალისწინებული არ მქონია)⁷.

„ელეგიები“ სავსეა წუხილით თანამედროვე ადამიანის სულიერებისაგან დაცლილი ყოფის გამო, მარტოსულობის შიშით, მარადიული, ზეგრძნობადი და ზესულიერი განზომილებისაგან დაშორების ტრაგიკული განცდით. „ელეგიათა“ რიტმი ზღვის მიმოქცევასავით მძიმე, მოუხეშავი და პირქუშია, მის საპირისპიროდ „სონეტების“ მელოდიურობა აღტაცებული ჩურჩულია იმ წყაროებისა, რომელთა პირით, ერთ-ერთი სონეტის მიხედვით, სამყარო გამუდმებით ესაუბრება საკუთარ თავს. თუმცა ფორმის ამგვარი ჰარმონიული სრულყოფილება

6 იქვე, გვ. 308.

7 რ. მ. რილკე, თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009, ტ. V, გვ. 122-123.

სრულებით არ ნიშნავს სიმსუბუქეს, როგორც, ეს ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩენოს. მკვლევართა უმრავლესობამ იმთავითვე მიიჩნია „სონეტები“ „ელეგიათა“ თანმხლებ და შემავსებელ, მაგრამ, მათთან შედარებით, მაინც ნაკლებმნიშვნელოვან ტექსტად. არადა, თავად რილკე ჩემს მიერ უკვე ნახსენებ წერილში არა მხოლოდ ამბობს, „სონეტები“, „სულ ცოტა, ისეთივე „ძნელია“ და იმავე ემოციითაა აღსავსე⁸, რაც „ელეგიებიო“, არამედ იმასაც გულისხმობს, რომ ისინი „ელეგიათა“ შიფრის ერთგვარ გასაღებს ნარმოადგენს. „სონეტები“ „იმავე ნარმომავლობისა არიან, რაც „ელეგიები“ – და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო⁹, – დასძენს პოეტი.

თუკი „ელეგიებში“ ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა მაქსიმუმად და, ამავე დროს, მარად მიუწვდომელ იდეალად ანგელოზის ფიგურა წარმოგვიდგება, „სონეტებში“ ამგვარ სრულყოფილ სახედ ღვთაებრივი მგოსანი ორფევსი გვევლინება. ანგელოზი ადამიანური შემოქმედების უზენაესი შემთასებელია: სწორედ მისენაა მიმართული სამყაროს რილკესეული ხოტბა. „სონეტები“, როგორც მათი სათაურიდანვე ჩანს, ეძღვნება ორფევსს, როგორც შესანირი, თითქმის ნარმართული საღვთო მსხვერპლი – „ექს-ვოტო“¹⁰, როგორც თავად ავტორი ამბობს ციკლის I ნაწილის XX სონეტში ასახული შორი მოგონების თაობაზე: ის დიდ ხანს გულში ატარებდა ახალგაზრდობაში რუსეთის ტრამალზე ნანახი ცხენის სახებას, თავისი სილალითა და სიხალისით მისთვის ამქვეყნიური სიცოცხლის ხატად რომ ქცეულა და, აი, ცხოვრების მიწურულს რილკე ამ სურათს ორფევსს უძღვნის, „ვით ტარიგს“ და ამით უკვდავებას აზიარებს. ამიერიდან ის ერთხელ, ოდესლაც ნანახი ცხენი მარად იქროლებს სულის უხილავ ტრამალზე. ზუსტად ასევე, „ელეგიებში“ პოეტს სურს „განაცვიფროს“ ანგელოზი მებაგირისა თუ მექოთნის მოკრძალებული, საუკუნეობით ნაცადი ოსტატობით. ხოტბისა და გაუკვდავების ღირსი მხოლოდ ნატიფი და ამაღლებული როდია: ყოველივე არქაული, ტრადიცი-

8 იქვე, გვ. 122.

9 იქვე.

10 რ. მ. რილკე, თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009, ტ. V, გვ. 94.

ული, „თაობიდან თაობებზე გადმოსული“ ხელობა, ადათი თუ ნივთი ცოცხალი ბუნების ქმნილებებთან ერთად იმსახურებს პოეტის ქებას.

ორფევსის სახე ანგელოზისაზე უფრო კონკრეტული და ხელშესახებია, ის უშუალო მიმართებაშია „სონეტების“ უმ-თავრეს იმპულსა და მიზანთან – **ხოტბასთან ანუ შემოქმედებასთან**. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შემოქმედების ცნება არ უნდა გავიგოთ ვიწრო პროფესიული თვალსაზრისით, წინააღმდეგ შემთხვევაში „სონეტებს“ მხოლოდ ლიტერატორთათვის განკუთვნილი ერთგვარი პოეტური პროგრამის მნიშვნელობა ექნებოდა, თუმცა ზოგიერთი დასავლელი მკვლევარი სწორედ ამ აზრს ემხრობა. არადა თვით რილკე ციკლის დასაწყისშივე ლაკონური ფრაზით მაქსიმალურად ფართო მნიშვნელობას ანიჭებს შემოქმედებას: „სიმღერა არის არსებობა“ (I ნაწ., III ს.), ჩვენი სიცოცხლის არსში იმთავითვე ძევს შემოქმედებითი მუხტი. მართალია, რილკე იქვე დასძენს, რომ „სიმღერა“ მხოლოდ ლვთისთვისაა ოლი, ადამიანისთვის კი – თითქმის შეუძლებელი, მაგრამ საბოლოოდ სწორედ სიმღერა გვაკავშირებს ლვთაებრივთან, თუკი ამ იდეალისკენ სწრაფვას მთელ სულიერ ძალებს ვწირავთ.

ჩემის აზრით, რილკეს ამ გვიანი პერიოდის მსოფლმხედველობაში, შემოქმედების ცნება უნდა გავიგოთ ისევე ფართოდ, როგორც ეს ესმის რუს ფილოსოფოსს ნიკოლაი ბერდიაევს, ვისთვისაც შემოქმედება ადამიანის მთელი დანარჩენი ქმნილებისაგან განმასხვავებელი არსებითი ნიშანია, რადგანაც ის უზენაესი შემოქმედის ხატად და მსგავსებადაა ჩაფიქრებული და რადგანაც თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს ნაბოძები. აქედან გამომდინარე, არა მხოლოდ ხელოვნება, არამედ ნებისმიერი ადამიანური ქმედება – აზროვნება, შემეცნება, სამყაროს სრულყოფილი აღქმა – თავისი არსით შემოქმედებითია. თუკი სრულად შევიგრძნობთ ბუნების მოვლენის თუ სხვა ადამიანის არსს, თვით ეს შეგრძნება უკვე შემოქმედებაა და აუცილებელი არა მისი გადმოცემა ლექსითა თუ ნახატით.

საუკუნეთა მიჯნის აზროვნება იმთავითვე ცდილობდა იმ საერთო პირველყაროსთან დაბრუნებას, საიდანაც პოეზია, ფილოსოფია და რელიგია აღმოცენდა. ეს პირველყაროა

ღვთაების კულტი, ღვთაების ადამიანთან მაკავშირებელი რგოლი კი – მითოსია. რილკეს ეპოქაში, ახალ ფასეულობათა შექმნისა და ახალი გზების ძიების ხანაში, პოეტურმა შემოქმედებამ, რამდენადმე მაინც იტვირთა მიღმიერთან შუამავლის მითოსური როლი.

რილკე მუდამ ეპაექრებოდა ქრისტიანულ დოგმატიკას, სიცოცხლის ბოლოს კი სულ უფრო დაეინებით იმეორებდა, ქრისტიანობას სრულებით გავემიჯნე, ის ჩემთვის აღარაფრის მთქმელიაო. ამაშიც თავისი დროის შვილი იყო, – ნიცშესეული ამბოხისა და „ღმერთის სიკედილის“ ხანისა. თუმცა, აუცილებელია ისიც შევნიშნოთ, რომ იგი მაინც ბოლომდე ვერ განთავისუფლდა ბიბლიურ-ქრისტიანული მსოფლმხედველობისააგან, ყოველ ახალ სულიერ-შემოქმედებით მიღწევას პოეტი, თავისდაუნებურად, კვლავაც ქრისტიანობასთან მიჰყავდა და ჩვენც მის ნანარმოებებზე მსჯელობისას არ შეიძლება მხედველობაში არ ვიქონიოთ ეს მსოფლმხედველობა. თუკი „ელეგიათა“ ანგელოზს ქრისტიანობასთან წმინდა სიტყვიერი კავშირი მაინც შერჩა (რილკემ ისიც კი შენიშნა, ჩემი ანგელოზი ბიბლიურს კი არა, უფრო ისლამის ანგელოზს ჰგავსო), „სონეტების“ მთავარი პოეტური სახე და ციკლის მთელი მხატვრული სამყარო უკვე აბსოლუტურად სხვა მითოსით საზრდოობს. რილკე უბრუნდება ანტიკურობას, როგორც ადამიანის შემოქმედებითი უნარის გამოღვიძების, დასავლური ხელოვნებისა და აზროვნების დაბადების ოქროს ხანას. ცხადია, ეს სრულიად გარდასახული, არსებითად რილკესეული ანტიკურობაა.

„ელეგიების“ დასრულების პერიოდი რილკესთვის დიდნილად გამსჭვალული იყო ანტიკური ესთეტიზმით. მეგობარმა ქალმა, მხატვარმა ბალადინე კლოსოვგსკამ (ვისაც რილკემ კელტური ეპოსის პერსონაჟი ჯადოქრის სახელი, მერლინი შეარქვა) აჩუქა მას სტიქიათა და ცხოველთა წინაშე მომღერალი ორფევსის სურათი, პოეტს „სონეტებზე“ მუშაობისას კაბინეტის კედელს რომ უმშვენებდა. ამ პერიოდშივე რილკე ასევე მერლინის ნაჩუქარ ოვოდიუსის „მეტამორფოზებს“ კითხულობს. ამ ნანარმოების ნარმართული ანიმიზმი გარკვეულნილად განაგებს „სონეტების“ მხატვრულ სივრცესაც: სიცოცხლის ნაირსახეობათა ერთურთში განზავების, ურიცხვი გარდასახ-

ვისა და ურთიერთგაჭოლვის მფეთქავი, მოფუთფუთე რიტმი რილკესთანაც შეიგრძნობა. სწორედ მატერიალურ არსთა ერთურთში გადაღვრაა სიცოცხლის საზრისი: „უმოძრაობა გაქვავებას შობს იმთავითვე“, გვეუბნება ციკლის მეორე ნაწილის XII სონეტი, სამყაროს სრულად მხოლოდ ის შეიცნობს, „ვინც წყაროსავით მედინია“. **მეტამორფოზის** იდეა, ერთ-ერთი წამყვანი მთელ ციკლში, უშუალოდ უკავშირდება შემოქმედების რილკესულ გაგებას: შემოქმედებაც გარდასახვაა წარმავალიდან მარადიული, ასე რომ, პოეტი-შემოქმედი თავისი სიმღერით, სამყაროს წრებრუნვაშია ჩაბმული.

„მეტამორფოზების“ – და ზოგადად ანტიკური მითების – სახეები (დაფნა, ნარცისი, ბიბლიიდა) წამიერად გაიელვებენ სონეტების სტრიქონებში და კვლავაც ცოცხალი ტყის ტევრებში ჩაიკარგებიან, გარდაისახებიან ბუჩქად, ყვავილად, წყაროდ. ამასთან, მათი გამოჩენა რილკეს შემოქმედებითი გზის ბუნებრივ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ: ისინი, კარგა ხანია, ამ გზის თანამდევნი გამხდარან. ჯერ კიდევ „სურათთა წიგნსა“ და „ახალ ლექსებში“ ანტიკური მითოსური სახეები თუ ხელოვნების ნიმუშები არაერთი ლექსის თემას წარმოადგენს. ეს თითქოს შემზადება იყო საიმისოდ, რომ ახლა ეს ყოველივე, განახლებული სახით, რილკეს გვიანდელი მსოფლმხედველობის ფარგლებში მოქცეულიყო და ერთ პოეტურ ციკლში თავმოყრილიყო.

„სონეტების“ მთავარი სახე, ღვთაებრივი პოეტი, მისანი და მისტერიათა ხელდასხმული ორფევსი, რილკეს მრნამსის იდეალურ პერსონიფიკაციად გვევლინება. ლექსების გულდასმით შესწავლისას ვხედავთ, რომ რილკე იცნობდა ორფევსის შესახებ მითს მის მთელ ვარიაციებში, ოღონდაც ამ მითოსის მხოლოდ ის მომენტები წამოსწია წინ, მის მსოფლმედეველობასა და სათქმელს რომ ესადაგებოდა.

პირველ რიგში, ეს ეხება ამ მითოსის ცენტრალურ დრამას – ორფევსის მიერ სატრფოს დაკარგვისა და აჩრდილთა საუფლოდან მისი გამოხსნის ამაო მცდელობას. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ახალ ლექსებში“ შესული ვრცელი ლექსი „ორფევსი. ევრიდიკე. ჰერმესი“ ამ დრამატულ ეპიზოდს სრულიად სხვაგვარად მოგვითხრობს. ორფევსი აქ ღმერთკაცი კია არა,

– ჩვეულებრივი ადამიანია, სატრფოს დაბრუნების სწრაფვით ატაცებული მამაკაცი, რომელიც ფრიად ადამიანურ მოუთმენლობასა და ვნებას ამჟღავნებს. მის მკლავებს „უკვე დაევინებათ მსუბუქი ქნარი, / მარცხენა მკლავთან თანშეზრდილი...“¹¹ ხოლო ევრიდიკე თითქოს განახლებული ქალწულებრივი უმანკოებითაა შებურული, ვერც კი სცნობს სატრფოს და აღარ ესწრაფის ცოცხალთა სამყაროში დაბრუნებას. სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის უფსკრული გადაულახავი რჩება.

„სონეტებში“ ევრიდიკეს სიკვდილი, მისი გარდა-ცვალება, საბოლოო და უდიდესი მეტაპორფოზა, ცენტრალურ მოტივად გვევლინება, მაგრამ აქ მას სხვა მნიშვნელობა ენიჭება. ის უშუალო კავშირშია ციკლის შექმნის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს იმპულსთან. სწორედ იმ ზამთარს შეიტყო რილკემ ნიჭიერი ახალგაზრდა მოცეკვავის, ვერა უკამა-კნოპის გარდაცვალების ამბავი. ქალიშვილის დედამ გაუგზავნა რილკეს მისი ავადმყოფობისა და უკანასკნელი დღეების შესახებ თავისი ჩანაწერები. პასუხად ჩნდება „სონეტები ორფევსისადმი“ – როგორც ციკლისათვის ნამძღვარებული მიძღვნა გვამცნობს, „ვერა უკამა-კნოპის სამარის ძეგლად“. ვერა პოეტს „ახალ ევრიდიკედ“ გამოეცხადა. ამით რილკეს შემოქმედებითი გზის ამ წევერვალისათვის ასე დამახასიათებელი პარადოქსული აქტის მომსწრენი ვხდებით: სიცოცხლის ქება იმავდროულად ეპიტაფიაცაა, მამასადამე, სიკვდილის საგალობელიც. ორივე ერთი სამყაროს ნაწილია და მათ შორის არსებული ზღვარი იშლება.

ზოგადად სიკვდილის თემა არსებითად რილკეს ეულია. მას მუდამ აღლვებდა ნაადრევად გარდაცვლილთა ხევდრი – მათი სახეები გამუდმებით შემოდიან მის შემოქმედებით სამყაროში. შეუძლებელია, რილკეზე ასე ძლიერად ემოქმედა მისთვის უცნობი ქალიშვილის გარდაცვალებას, მანამდე წლების მანძილზე რომ არ ჩაღრმავებოდა ნაადრევი სიკვდილის საიდუმლოს, როდესაც ადამიანის სიცოცხლის ძაფი უცრად გადაიჭრება და მისი შინაგანი პოტენციალი აუთვისებელი რჩება. ამ კუთხით „სონეტები“ უშუალოდ ეხმიანება უფრო

11 თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა. რ. მ. რილკე, თბზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009, ტ. II, გვ. 36.

ადრე დაწერილ „რეკვიემებს“ – ორ ვრცელ ლექსასა თუ პოემას. ერთი ეძღვნება მეგობარს, არაჩვეულებრივ მხატვარს, პაულა მოდერზონ-ბეკერს, ვისთანაც რილკეს დიდი სულიერი სიახლოვე აკავშირებდა და ვინც მისი შემოქმედებითი გზის ზენიტში მოცელა სიკვდილმა. მეორე რეკვიემის ადრესატია ასევე სრულიად ახალგაზრდა პოეტი და მთარგმნელი გრაფ ვოლფ ფონ კალკროითი, რომელსაც რილკე პირადად არ იცნობდა.

სიკვდილის ტრაგიზმი რილკესთვის უეჭველია, და მაინც „დუინური ელეგიების“ უდიდესი მონაპოვარი სწორედ ისაა, რომ, როგორც ჰულევიჩისადმი წერილში ვკითხულობთ, „სიკვდილი ჩვენგან ზურგშექცეული, ჩვენს მიერ გაუნათებელი მხარეა სიცოცხლისა“, მაშასადამე, **სიცოცხლე და სიკვდილი ერთურთისგან განუყოფელია.** სამყაროს ჭეშმარიტად სრულყოფილი ხედვა „ელეგიების“ ავტორისათვის იმგვარი ღია სივრცის შეგრძნებაა, სადაც სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ზღვარი გაუქმებულია. „მძიმეა გარდაცვლილთა ყოფიერება...“, – გვეუბნება პირველი ელეგია, – „მაგრამ ცოცხალნი სცდებიან, /როს მეტისმეტად ასხვავებენ ამ ორ საუფლოს../ (ამბობენ) არც კი იციანო ანგელოზებმა/ სად მიმოდიან, გარდაცვლილთა თუ ცოცხალთ შორის...“¹². თუმცა ჯერ კიდევ „მაღატე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერებში“ ამგვარ ღია სივრცედ წარმოგვიდგება ურნეკლოსტერის სასახლე: ეს უკიდურესად განატიფებული არისტოკრატიზმით გაჯერებული ის ზეგრძნობადი ველია, სადაც გარდაცვლილ წინაპართა აჩრდილები ცოცხალთა გვერდით თავისუფლად მიმოდიან. და აი, საბოლოოდ ჩვენს წინაშეა ორფევსი, რომლის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს: „ორთავ საუფლოს წილიდან ამოიზარდა/ ბუნება მისი უსამანო“, – ესაა პირველი ნაწილის VI სონეტის წამყვანი აზრი, მთელ ციკლს ლაიტმოტივად რომ გასდევს. ორფევსი სიკვდილთანაა წილნაყარი. მართალია, მან ვერ მოახერხა სიკვდილის კლანჭებიდან სატრფოს დახსნა, მაგრამ სხვაგვარად ვერც მოხდებოდაო, გვეუბნება რილკე-ევრიდიკე უნდა დარჩეს გარდაცვლილთა შორის, ორფევსი კი თავისი დანაკარგის ბოლომდე განცდითა და შემდეგ მისი და-

12 თარგმანი ლულუ დადიანისა. რ. მ. რილკე, თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009, ტ. V, გვ. 281-282.

ძლევით, სამყაროს გამთლიანებულ ხედვასა და შემოქმედების სრულყოფილ უნარს შეიძენს.

„და მხოლოდ ლირა ვინც ააჟღერა
აჩრდილთ სავანეს
ბედავს გუმანით ხოტბის სიმღერას
და ჰკვეთს სამანებს“,

— გვასწავლის თავისი მელოდიურობით ერთ-ერთი უმშვენიერესი სონეტი (I, IX ს.). ორფევსმა სიკვდილი დასძლია, უკან მოიტოვა და რილკეც მეორე ნაწილის XIII სონეტში ამგვარ შემოქმედებით „პროგრამას“ გვისახავს: „დამშვიდობებას ყველანაირს, დაასწარ, თითქოს/ ზამთარი უკან მოიტოვე, უკვე ძლეული“. მერვე დუინური ელეგია ადამიანის ნაკლულოვან არსებობას უპირისპირებს ცხოველის გუმანს: ცხოველი არ უფრთხის სიკვდილს, რადგან ის უკან აქვს მოტოვებული, მაშინ, როცა ჩვენ სიკვდილი მუდამ თვალწინ გვაქვს და მისი მუდმივი საფრთხე გვინამლავს არსებობას. ორფევსი არა მხოლოდ აღარ უფრთხის სიკვდილსა და დანაკარგით გამოწვეულ ტკივილს, არამედ უფრო მეტიც: სიკვდილ-სიცოცხლის მაერთებელ ღია სამყაროში, ის სამუდამოდ განუყრელად შეულლდა გარდაცვლილ სატრფოსთან: „ევრიდიკეში მკვდარი —, მაინც ლალად მღეროდე, „ნათქვამია იმავე სონეტში.

„ელეგიებითა“ და „სონეტებით“ პოეტმა დაძლია თანამედროვე სულიერი კრიზისის უმძიმესი „სიმპტომები“: სიკილის, საყვარელი ადამიანის დაკარგვისა და მარტობის შიში, ამ განცდებით გამოწვეული გაფანტულობა და შემოქმედებითი უძლეურება. მხოლოდ პირველი დუინური ელეგის პირველ პნკარში გაჟღერებული სასონარკვეთილი „ყვირილის“ შემდგომ იყო შესაძლებელი კრიზისიდან გამოსვლა. მხოლოდ ტარტარის უფსკრულში ჩასვლის შემდეგ შეიძლება სრულყოფილად დაგფასო მზის სინათლე და სითბო, სიცოცხლის სილალე და მშვენიერება. „ელეგიების“ დასასრულს, რილკე გვიჩვენებს „განძარცულ თხილის გვირგვინთა/ კიდულ კუნწულებს“ და ამით დაღმავალი ბეჭნიერების მეტაფორას გვთავაზობს: „ჩვენ კი, რომელნიც აღმამფრენი ბედნიერების შესახებ ვფიქრობთ, / თავბრუდამხვევი გულაჩუყება დაგვიპყრობს თითქ-

მის/ როცა რაიმე ბედნიერი მინად ჩამოვა“¹³. სწორედ ამგვარი ბედნიერების ნაყოფია „სონეტები ორფევსისადმი“: მათი ავტორისთვის შემოქმედება პარადოქსული აქტია და პარადოქსულობა კიდევ ერთი არსებითი ნიშანია „გვიანი“ რილკესი. სიცოცხლის მხოლოდ ამგვარი ხოტბაა ფასეული და სრულყოფილი: არა პირველქმნილად უმანკო და უმწიფარი, არამედ სიკვდილგამოვლილი, „ულმობელი ცოდნით“ დაბრძენებული.

ჯოჯოხეთში შთასვლის მისტერიით¹⁴ ხდება არა მხოლოდ სიკვდილის სიცოცხლესთან შერიგება, არამედ სიკვდილთან ერთად ყოველივე უკეთურის, ბეჭლის, დამანგრეველის „შემორიგება“ და შემოქმედების გზით გაკეთილშობილება. „სონეტებში“ ყოველნუსო ვხვდებით მინიერი არსებობის უკლებლივ ყოველი გამოვლინების ხოტბას: რილკე-ორფევსი ითხოვს არა მხოლოდ მშენებირისა და ძირძველის შემოქმედებითად გარდასახვას, არა მხოლოდ იმის ქებას, რაც „ცოცხლობს, როგორც ჩვენეული“, არამედ იმისიც, რაც ჩვენეული არ არის, რაც თავისი არსით ადამიანისა და სამყაროსათვის უცხო, მეტიც, მტრულ მოვლენებად უნდა მივიჩნიოთ. ამით სრულიად არ ხდება კეთილისა და ბოროტის ერთურთში აღრევა, პოეტი არ ცვლის საკუთარ მიმართებას ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა მანქანა და, ზოგადად, თანამედროვე მექანიზირებული სიმანდვილე, მკვლელობა, ჯალათისა თუ მონადირის სისასტკე... მაგრამ, რაკიდა ეს ყოველივე ჩვენი მინიერი ხვედრის ნაწილია, პოეტს მასზე თვალის დახუჭვის უფლება არ აქვს.

პარადოქსი და პოლარულ სანებისთა დიალექტიკური ურთიერთშერიგება სონეტის კლასიკური პოეტური ფორმის არსიდან გამომდინარეობს. მაგრამ ყველა მკვლევარი ერთხმად

13 თარგმანი ლულუ დადიანისა. რ. მ. რილკე, თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009, ტ. V, გვ. 314.

14 ჩემის აზრით, აქ გამართლებულია გარკვეული პარალელი ქრისტიანულ მითოსთან. რილკე ცალსახად უარყოფდა ქრისტეს, როგორც შუამავალსა და მხსნელს და, ამავე დროს, პარადოქსულად არაერთ ლექსში ისევ და ისევ უბრუნდებოდა სახარებისეულ მოტივებს. მათგან ერთ-ერთი, „ქრისტეს შთასვლა ჯოჯოხეთში“ (ლულუ დადიანის თარგმანი, დაიბეჭდა უურნალ „საუნჯეში“, 2004, 5-6, გვ. 293-294) მაცხოვრის მიერ ცოდვილთა სულების ხსინის შესახებ მოვითხოვობს.

ამტკიცებს, რომ რილკე თავის ციკლში სონეტის ტრადიციას კი არ განაგრძობს, არამედ, პირიქით, არღვევს. ციკლის არც ერთი ლექსი არ ეფუძნება კლასიკურ სქემას „თეზა – ანტითეზა – სინთეზი“, ყოველი მათგანი დასაწყისში წარმოდგენილი აზრის თუ იდეის გაღრმავება-განვითარებას ახდენს. სონეტისგან ამ ლექსებს მხოლოდ სტროფების ორ კატრენად და ერთ სექსტეტად დანაწევრებალა შერჩა. თუმცა, რილკეს ამ ნაწარმოებისადმი მიძღვნილ ერთ თავის წერილში გურამ ლებანიძე ძალზე შთამბეჭდავად აცხადებს, რომ „სონეტები ორფევსისადმი“ „ის შემთხვევაა, როდესაც ნგრევა შენებას ნიშნავს და მისით არის გამართლებული“, რომ ციკლის „შინაგანი პარადოქსი“ მდგომარეობს იმაში, რომ „სინამდვილეში საქმე სონეტის განადგურებასთან კი არა, სონეტის იდეის იმგვარ განხორციელებასთან გვაქვს, თანამედროვეობის ულრმეს სულიერ მოთხოვნილებებს რომ პასუხობს... „სონეტები ორფევსისადმი“ სინამდვილეში ერთი სონეტია – ის ერთადერთი და განუმეორებელი სონეტი, რომლის შექმნაც სურს (და მართებს კიდეც!) ჩვენს ეპოქას¹⁵.

„სონეტების“ არსი მართლაც ესაა: თეზა – სიკვდილი, ანტითეზა – სიცოცხლე, სინთეზი – ლია, განხმული სამყარო, სადაც ყოველნუთს ყოველგვარი საზღვრების გადალახვა ხდება; სადაც დრო უქმდება და გარდაისახება სივრცედ, რომელშიც ცოცხალნი, გარდაცვლილნი და დასაბადებელნი ერთად მყოფობენ; სადაც იშლება ზღვარი არა მხოლოდ სიკვდილ-სიცოცხლეს, არამედ სულიერსა და ფიზიკურს შორისაც კი, იმდენად გასულიერებულია მთელი ორგანული სამყარო, იმდენად ღრმა და ნატიფ განცდად იქცევა თუნდაც ჩვენი ხუთი გრძნობით აღქმული ნაყოფის გემო, ყვავილის ფერი, თუ სურნელი. ეს სულიერი განცდა კი კვლავაც ხილულ, ფიზიკურ ფორმად გარდაისახება: სიმღერად, ბერად, ან, არანაკლებ ხშირად, ჟესტად და ცეკვად – „სონეტები“ ხომ მოცეკვავე ქალიშვილს ეძღვნება, აქრომ ცეკვა ვერ დაასრულა, სამაგიეროდ

15 Лебанидзе В. Ш., «Сонеты к Орфею» Рильке и проблема полноты теории сонета. Единство противоположностей: аспекты теории и истории сонета. Тбилиси, 1985, стр. 52-59.

რილკესეულ ღია სივრცეში იმ მარადიულ ფერხულში ეპმება, რომელშიც მდელოზე მონავარდე ნიმფებსაც დავლანდავთ და, იმავდროულად, სულეთში მწუხარედ მოფართატე აჩრდილებსაც. აქ ვერასთან ერთად ცეკვავენ ევრიდიკეც, პაულა მოდერზონ-ბეკერიც და სხვა უდროოდ გარდაცვლილნიც.

* * *

მთარგმნელმა და მხატვარმა ლულუ დადიანმა „ორფეევსი-სადმი სონქტების“ გადმოქართულებისაკენ გარკვეულწილად ისევე რთული და გრძელი გზა განვლო, როგორც რილკემ მათი შექმნისაკენ. ჯერ კიდევ 1998 წელს გამოიცა პირველად მის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი „დუინური ელეგიები“, რომელსაც თან ახლდა ამ ნანარმოების თემებზე შექმნილ ფერწერულ ვარიაციათა რეპროდუქციები. მოგვიანებით, 2007 წელს, „ელეგიები“ ხელმეორედ გამოიცა მთარგმნელის მიერ შესრულებული, ამჯერად გრაფიკული ილუსტრაციებით. ამას თან ერთვოდა უურნალ „საუნჯეში“ დაბეჭდილი უამრავი ძალზე მნიშვნელოვანი ლექსის თარგმანი. სულ ახლახანს დღის სინათლე იხილა ლულუ დადიანის მიერ თარგმნილმა მოგონებების წიგნმა „გზები რილკესთან ერთად“, რომლის ავტორიც პოეტის მეგობარი ქალი, მხატვარი ლულუ ალბერტ-ლაზარ-დია. და ამ მრავალწლიანი შრომის მართლაცდა გვირგვინად ქართულად აულერებული „სონქტები“ გვევლინება. ამგვარი ნანარმოები რომ „ასე, უპრალოდ“ არ (და ვერ) ითარგმნება, ცხადზე ცხადია. მთარგმნელი იმდენად ღრმად შევიდა რილკეს შემოქმედებით სამყაროში, რომ გვეჩვენება, თითქოს, თავისი მოსახელე ხელოვანი ქალის მსგავსად, მანაც რილკესთან ერთად განვლო სიყვარულის, ძიების, უსასოობისა და სიხარულის ეს გზები.

თარგმანი იმთავითვე იპყრობს ყურადღებას პოეტური ფორმის განსაკუთრებული დახვენილობით. ის ვერც ჩაითვლებოდა წარმატებულად, მასში რომ არ ამოიცნობოდეს ორიგინალის მრავალფეროვანი მელოდიურობა. თარგმანის ენა უმდიდრესი, ფერსავსე და მოქნილია და, ამავე დროს, არქაულიც, რაც, შესაძლოა, მოულოდნელ მომენტადაც გვეჩვენოს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რილკე ძალზე ნატიფი, მაგრამ,

ამავე დროს, სადა თანამედროვე გერმანულით წერდა. მაგრამ აუცილებელია ისიც გავითვალისწინოთ, რომ დღევანდელი გერმანულენოვანი ლიტერატურის გადასახედიდან რილკეს ენა, მისი პოეტური ესთეტიკა უკვე ვეღარ აღიქმება თანამედროვედ, ის თითქმის ისეთივე არქაულია, როგორც ჩვენთვის – ძველქართული გამოთქმებით მოკაზმული ის ენა, რომელსაც შესაშური ოსტატობით ფლობს ლულუ დადიანი.

საქმის სირთულეს მას, ალბათ, ისიც უათმაგებდა, რომ, როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ, რილკეს უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები უკვე იყო ქართულად ნათარგმნი და მართლაც უფსკრულის თავზე ბეწვის ხიდის გავლის ტოლფასი უნდა ყოფილიყო ამავე ტექსტებზე მუშაობისას სიზუსტესთან ერთად თვითმყოფადობის შენარჩუნება, რაც მთარგმნელის ოსტატობის გარდა ზოგადად ლიტერატურული ენის მოქნილობასა და მრავალფეროვნებაზეა დამოკიდებული.

დედნისადმი ერთგულების აუცილებელი მოთხოვნის მიუხედავად, ყოველი თარგმანი მაინც ნაწარმოების საკმარისად პირადული ინტერპრეტაციაა. ამიტომაც რილკეს „ელეგიებისა“ და „სონეტების“ ორი ქართული თარგმანიდან ამათუ იმ მკითხველისათვის რომელიმე ერთი შეიძლება უფრო ახლობელი და მისაღები იყოს. ეს კი მაინც უეჭველ ამოსავალ წერტილად მიმაჩნია: ორივე თარგმანი, რა თქმა უნდა, მცირე აზრობრივი ნიუანსების მეტნაკლები შენარჩუნებით, მაინც სრულად გადმოგვცემს რილკეს სათქმელსა და სულისკვეთებას და, ამავე დროს, ქართული პოეზიის მშვენიერ ნიმუშად გვევლინება. ეს კი იმას ნიმნავს, რომ რილკეს საქართველოში უფრო მეტად გაუმართლა, ვიდრე, თუნდაც, გაცილებით უფრო დიდი მთარგმნელობითი პოტენციალისა და ტრადიციების მქონე რუსეთში. გასაკვირიც კია, მაგრამ რილკეს ამ ნაწარმოებთა თუნდაც ოდნავ დამაკმაყოფილებელი რუსული თარგმანი არ მეგულება.

თავისთავად ისიც საინტერესო ფაქტად უნდა ჩავთვალოთ, რომ „სონეტების“ ვახუშტი კოტეტიშვილისეული თარგმანი გერმანული ენის სპეციალისტთა მიერ მომზადებული პწყარედის მიხედვითაა შესრულებული, ხოლო ლულუ დადიანისა – უშუალოდ დედნიდან. რამდენად გადამწყვეტია ეს გარემოება

თარგმანის შინაარსობრივი და ფორმალური სიზუსტისათვის? ქართული თარგმანების შედარებითი ანალიზის ადგილი აქ ნამდვილად არ გვაქვს, და მაინც გული არ მითმენს, რამდენიმე მაგალითი რომ არ მოვიყვანო.

ციკლის პირველივე სონეტის პირველ სტროფში ვკითხულობთ: „O Orpheus singt! O hoher Baum im Ohr!“ „ორფეუსი მღერის! ხე მაღალი ყურში იმლება!“¹⁶ – ასეა კოტეტიშვილთან. დადიანის თარგმანში კი ეს პწყარი ასეა წარმოდგენილი: „ორფეუსი მღერის! ო, მაღალი ხე ერწყმის სმენას!“ პირველი თარგმანი ზედმინევნით ახლოა ორიგინალთან, მეორეში კი ოდნავ გადახვევას აქვს ადგილი, მაგრამ, ჩემის აზრით, მთარგმნელის შემოქმედებითი თავისუფლება გარკვეულ დონემდე დასაშვებია, ცხადია, თუკი ის ავტორისეულ საზრისს არ ამახინჯებს. ორფეუსის სიმღერა ჩვენს ყურში აღმართავს ხეს, შემოქმედების ძალით ხის ვიზუალურ ხატებას სიმღერად, ანუ სმენით აღსაქმელ მოვლენად აქცევს. სათქმელი ორივე თარგმანში სრულადაა გადმოტანილი.

არის შემთხვევები, როდესაც შეიძლება იმის თაობაზე ვიმსჯელოთ, თუ სად უფრო მოხდენილადაა გადმოქართულებული ორიგინალი. ციკლის III სონეტი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები, ასეთ წმინდა რილკესეულ აფორიზმს შეიცავს: „An der Kreuzung zweier/ Herzwege steht kein Tempel für Apoll.“ ლაპარაკია ადამიანის შინაგან გახლეჩილობასა და იმაზე, რომ შემოქმედება ჩვენს მთლიან არსებას მოითხოვს მსხვერპლად: „გულის გზათა გადაკვეთაზე/ არ აიგება აპოლონის წმინდა ტაძარი“¹⁷, – ასე სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს ამ აზრს ვასუშტი კოტეტიშვილი. ხოლო ლულუ დადიანთან ვხვდებით მის იდეალურად სხარტ და მოქნილ გარიანტს, მშვენიერ მიგნებად რომ უნდა ჩავთვალოთ: „გულთშესაყარზე აპოლონის არ დგას ტაძარი“.

მეორე ნაწილის XVII სონეტში, ედემის მსგავსი საოცნებო ბალების აღნერისას, ასეთი შეკითხა ისმის: „Giebt es denn Bäume, von Engeln beflogen...?“ – „არსებობს სადმე, ანგელოზთ რომ უყ-

16 რ. მ. რილკე, თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009, ტ. II, გვ. 129.

17 იქვე, გვ. 130.

ვართ, ხეები...“ (ვ. კოტეტიშვილი); „ანგელოზთაგან ფრთადა-კრულნი ხომ დგანან ხენი...“ (ლ. დადიანი). უიშვიათესი ზმან „befliegen“ იმას გულისხმობს, რომ შემოქმედებით ძალთა გან-მასახიერებელი ანგელოზები ფუტკრებივით დაჰყარფატებენ და ანაყოფიერებენ სიცოცხლის ხეებს. პირველი ვარიანტი ამ აზრს ძალზე მიახლოვებითად თუ გამოხატავს.

პირველი ნაწილის XI სონეგჭი საუბარია მხედრის სინამდ-ვილეში არარსებულ თანავარსკვლავედზე, რომელიც რილ-კესთვის ადამიანური არსის მარადიული გაორების სიმბოლოდ ქცეულა: „Denn dies ist uns seltsam eingeprägt:/ dieser Stolz aus Erde. Und ein Zweiter,/ der ihn treibt und hält und den er trägt.“ შევეცადოთ ამ ფრაზის სიტყვასიყვით გადმოცემა: „რადგან ეს უცნაურად ჩაგვებეჭდა: ეს მინისგან [შექმნილი] სიამაყე. და მეორე, რომე-ლიც მას მიაქროლებს და აჩერებს და რომელიც მას მიჰყავს“. მხედრის სიმბოლური სახე ორი არსისგან შედგება: მინისაგან გამოძერნილი სიამაყე გულისხმობს ცხენს და, ამავე დროს, ჩვენს სხეულსაც, რომელსაც მხედარი ანუ სული მართავს, თუმცა ამქვეყნიურ სინამდვილეში მასზეა დამოკიდებული, მის გარეშე ვერ იარსებებს დროით-სივრცობრივ განზომილე-ბაში. კოტეტიშვილისეულ თარგმანში გვაქვს: „რად ვიმსჭვალ-ვით გამალებულნი/ მინისგან სწრაფვით. და მეორეც: ასეთი ხვედრი /- ვიყოთ მყოვნებელ-მტარებელნი და ტარებულნი“¹⁸ მგონი, ცხადია, რომ საკმარისად შორს გავცილდით ავტორის სათქმელს. მხედრის ორმაგი ბუნება აქ საერთოდ არ არის გამოკვეთილი, სიტყვები „და მეორეც“ გულისხმობს მეორე თვალსაზრისს თუ იდეას, მაშინ, როდესაც გერმანული „ein Zweiter“ მამრობითი ფორმაა, მაშასადამე, ამა თუ იმ სუბიე-ქტზე თუ პიროვნულ არსზე მიგვანიშნებს. ლულუ დადიანი ამ პასაჟს ასე გადმოგვცემს: „ჩვენ უცნაურ დამლად გვაჩნია/ ეს მინიერი ქედმალლობა. და სხვაც, ვინც ხედნის/ და თან იურ-ვებს რაშს, რომელიც იტვირთავს მხედარს“.

დასასრულისათვის კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილად არ მსურს რომელიმე თარგმანისათვის უპირატე-სობის მინიჭება. როგორც ნანარმოების შექმნა, ისევე თარგმა-ნიც და კითხვაც ერთთავად შემოქმედებითი პროცესის განუ-

ყოფელი ჯაჭვის რგოლებია და თითოეული მკითხველისაგან სწორედაც შემოქმედებით ძალისხმევას ითხოვს. ამ ურთულე-
სი ტექსტის წაკითხვა-ინტერპრეტაცია შეიძლება მრავალმხ-
რივი იყოს, მაგრამ უმთავრესი მაინც უცვლელია: სიყვარუ-
ლითა და ხოტბით აღბეჭდილი დასტური ყოფიერების ნათელი
და ბნელი მხარეებისა.

თამარ კოტრიკაძე
28. 06. 2009

კომენტარები

ნაწილი I

I მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.

„ხე აღიმართა... ო, მაღალი ხე ერწყმის სმენას!“ – ძველ-ბერძნული მითოსის თანახმად, მდინარის ღმერთის, ეაგროსის (სხვა ვარიანტის მიხედვით, თვით აპოლონის) და ნიმფა კალიოპეს ვაჟის, ორფევსის სიმღერა იმდენად მომაჯადოებელი იყო, რომ მის მოსასმენად არა მხოლოდ ტყის ნადირ-ფრინველები, არამედ ლოდები და ხეებიც მოდიოდნენ. ამ მითოსური სცენის ამსახველი სურათი რილკეს მეგობარმა ქალმა, მხატვარმა ბალადინე კლოსოვსკამ აჩუქა. „სონეტებზე“ მუშაობის პერიოდში ეს სურათი პოეტს საწერი მაგიდის პირისპირ კედელზე ეკიდა (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. გამოცემაში: ნინო ბაქანიძე, რ. მ. რილკეს პოეტური სამყარო, თსუ, 2002, გვ. 30). ღვთაებრივი პოეტი, ორფევსი, რილკეს ფილოსოფიისათვის უმთავრეს შემოქმედებით აქტს ახორციელებს: აქცევს ხილულ საგანს უხილავად, ამ შემთხვევაში, სმენითად, რაკიდა ჩვენს სმენაში აღმართავს ხეს. მსგავსი მოტივი რილკესთან გვხვდება დიდი ხნით ადრე (1902) შექმნილი კრებულის, „სურათთა წიგნის“, შესავალ ლექსში: „...შავ ხეს აღმართავ თანდათან ზევით/ ცისკენ აღმავალს და ტანაშოლტილს...“ (თარგმანი გივი ალხაზიშვილისა. იხ. რ. მ. რილკე, თხზულებები ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2007, ტომი I, გვ. 119).

II მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.

„გოგონა იყო იყი ლამის...“ – მკვლევარნი ცალსახად

არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ „გოგონას“ სახით შეიძლება იგულისხმებოდეს ვერა ოუკამა ქნოპი, ვისაც მთლიანი ციკლი ეძღვნება; არც ორფევსის ნაადრევად გარდაცვლილ სატრფოს, ევრიდიკეს უნდა ეხებოდეს ეს სიტყვები. გოგონას სახე უფრო მეტაფორულად უნდა გავიგოთ, როგორც ხელოვნების მოწოდებისადმი ქალწულებრივი მორჩილების განსახიერება. XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ევროპელ ანთროპოლოგთა მსოფლმხედველობაში „შინაგანი ქალწულის“ ცნებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. საკუთხით შესაძლებელია, პოეტს ის ალფრედ შულერის ნააზრევის საშუალებით გაეთავისებინა, ვისი მოხსენებებიც 1915 წელს მოისმინა და ვისაც პირადადაც გაესაუბრა (რილკეს შემოქმედებაზე შულერის მოძღვრების გავლენის შესახებ იხ. ნინო ბაქანიძე, რაინერ მარია რილკეს პოეტური სამყარო, მონოგრაფია. თსუ, 2002. გვ. 70-105).

„...ძილით შეიცნო მან სამყარო“ – ლირიკული „მე“-ს სულის სიღრმეში მძინარე გოგონა თითქოს ქმნის და აცოცხლებს პოეტის შინაგან სამყაროს თავისი ძილით, რომელიც, ამავე დროს, სიკვდილსაც ნიშნავს. ორიგინალში გამოყენებულია რილკესთვის დამახასიათებელი აგრამატრიკული მეტაფორა (“Sie schließt die Welt...”), რომელიც სიტყვასიტყვით შეიძლება ითარგმნოს, როგორც: „მას ეძინა სამყარო“. ეს მეტაფორა გულისხმობს მთელი ციკლისათვის უმთავრეს ორფიკულ იდეას პოლარულ საწყისთა ერთიანობის შესახებ: ჩვენი შინაგანი სამყარო და ფიზიკური, ანუ გარე სამყარო, ისევე, როგორც სიკვდილ-სიცოცხლე, სინამდვილეში ერთია, მათ შერის მუდმივი წრებრუნვა ხდება.

III

მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.

„...გულთშესაყარზე აპოლონის არ დგას ტაძარი“ – აპოლონი ძველბერძნულ მითოლოგიაში ხელოვნების მფარველი ღმერთია. ამ სონეტში გამოთქმულია რილკეს ერთ-ერთი მთავარი თეზა შემოქმედებისა და სიყვარულის ურთიერთშეუთავსებლობის შესახებ. ხელოვანმა

ყოველგვარ ადამიანურ კავშირზე უარი უნდა თქვას და ეულად ემსახუროს შემოქმედებას. ამით რიღვე ქრისტიანული ასკეტური იდეალის ერთგვარ ალტერნატიულ ხატს ქმნის. ორფევსის მითოსური სახე და მის მიერ ევრიდიკეს დაკარგვის მოტივი რიღვესთან დაცლილია დრამატიზმისაგან: სატრფოსთან ერთად ყოფნისას ორფევსი ვერ გახდებოდა სრულყოფილი პოეტი, მათი განშორება გარდუვალი და აუცილებელი იყო. იგივე აზრი გვხვდება მის ლექსში „საფო ალკეოსს (ფრაგმენტი)“ („ახალი ლექსები“, 1907), რომელსაც ძველბერძენი პოეტის, ალკეოსის სასიყვარულო ლექსზე პოეტი ქალის მიერ ასევე ლექსად გამოთქმული ულმობელი პასუხი უდევს საფუძვლად. ლექსის დასასრულს, ანტიკური ფრაგმენტის მსგავსი დაუსრულებელი ფრაზით რიღვე გვაუწყებს: „Dieser Gott ist nicht der Beistand zweier, aber wenn er durch den Einen geht...“ („ეს ღმერთი ორთა შემწე არ არის, მაგრამ ორდესაც მარტოსულს მსჯვალავს...“). ლექსი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ვინ არის ეს ღმერთი, მაგრამ აშკარაა, რომ ისევე, როგორც მოცემულ სონეტში, აქაც ხელოვნების მფარველი აპოლონია ნაგულისხმევი (ან, იქნებ, თვით ორფევსიც, ვისი თავი და ქნარიც ტალღებმა საფოს მშობლიური ლესბოსის ნაპირთან გამორიყა. თუმცა ამ ლექსის შექმნის პერიოდში ორფევსის სახე რიღვეს შემოქმედებაში ჯერ არ ყოფილა ისე გამოკვეთილი, როგორც ეს „სონეტებშია“).

IV

მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.

ლექსი მიმართავს ქალწულებს და აზრობრივად ძალზე ახლოს დგას წინა სონეტთან. მეორე სტროფის სიტყვები „სამიზნეცა ხართ, მშვილდისარიც, დაუნდობელი...“ შეიძლება დავუკავშიროთ ოგიურსტ როდენის ერთერთ წახატს, სახელწოდებით „სუნთქვა“, რომელზედაც უკან გადახრილი ადამიანის ფიგურაა გამოსახული. როდენმა მას შემდეგი შენიშვნა წაანერა: „ადამიანის უკან გადახრილი ფიგურა მშვენიერ მშვილდსა ჰგავს, რომლითაც ეროსი თავის უხილავ ისრებს სტყორცნის“.

სუნთქვა, როგორც ადამიანური გრძნობის მეტაფორა სონეტის დასაწყისშიც მოიხსენიება. ამ კონტექსტიდან გამომდინარე ქალწულები შეიძლება დავუკავშიროთ მამაკაცისაგან მიტოვებული მეტრუე ქალის სახეს, გამჭვილად რომ ფიგურირებს რილკეს მთელ შემოქმედებაში, და მაშინ, შესაბამისად უნდა გავიგოთ ქალწულებისადმი მიმართვა: „...შეაღწიეთ უამისამ სუნთქვას, / თქვენ რომ არასდროს გვულისხმობდათ თანამენილედ“.

- V მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
ლექსი წარმოგვიდგენს ორფევსს, როგორც ამქვეყნიური, წარმავალი სამყაროს მეხოტბე ღვთაებრივ პოეტს, რომელსაც არ სჭირდება ძეგლის აღმართვა, რადგან მისი არსი მთელ სამყაროშია მიმოფანტული, მის თითოეულ არსთან განზავებული. მისი სიმღერა იმდენად ცოცხალია და იმდენად უშუალოდ ერწყმის სამყაროს, რომ „ქნარის გისოსები ვერ [უ]ბოჭავს ხელებს“, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თვით შემოქმედებით პროცესსაც კი გადალახავს და აღემატება.
- VI მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
აქ ორფევსი კვლავაც გამთლიანებული არსებობის, სიკვდილ-სიცოცხლის „ორთავ საუფლოს“ მკვიდრად და მეხოტბედ წარმოგვიდგება. მითოსის თანახმად, გველის ნაკენისაგან გარდაცვლილი ევრიდიკეს დასაბრუნებლად ორფევსი სულეთში ჩავიდა, სადაც ისე მოხიბლა ქვესკნელის ღმერთები, რომ მათ დაუბრუნეს სატრფო იმ პირობით, რომ ორფევსი მას არ შეხედავდა, ვიდრე ქვესკნელიდან დღის სინათლეზე არ გამოვიდოდნენ. გზაში ორფევსმა დაარღვია პირობა, რითაც სამუდამოდ დაკარგა ევრიდიკე, მაგრამ „სონეტების“ ფილოსოფიის კონტექსტში ეს ფაქტი ნაკლებმნიშვნელოვანია. რილკესთვის მთავარი ისაა, რომ ორფევსი ნამყოფია სიკვდილის საუფლოში, მაშასადამე, მას სამყაროს გამთლიანებული ხედვა გააჩნია, რაც რილკესთვის შემოქმედების აუცილებელ ნინაპირობას წარმოადგენს.

ერთ-ერთი მკვლევარი მიუთითებს პირველ სტროფში „ტირიფის“ მოხსენიების მითოლოგიურ ძირებზე (G. Höhler, S. 378): გადმოცემის თანახმად, მას შემდეგ, რაც მრისხანე მენადებმა (დიონისეს მხლებელმა ქალებმა) ნიფლეთ-ნაფლეთ აქციეს ორფევსი (რადგანაც ის ევრი-დიკეს სიკვდილის შემდეგ არც ერთ ქალს არ უყურებდა, ხოლო მეორე ვარიანტის თანახმად, რადგან ის აპო-ლონს ადიდებდა, ხოლო დიონისეს არ სცემდა თაყვანს), მათ ხელებიდან სისხლი მდინარე ჰელიკონში დიბანეს, რომლის დასახელებაც ბერძნულ სიტყვა „ტირიფიდან“ გამომდინარეობს. მდინარის პირას მდგომი ტირიფების ფესვებმა შეისრუტეს ორფევსის სისხლი, ამგვარად იგი მთელი თავისი არსებით ცოცხალ ბუნებაში განზავდა. სისხლი აქ მისტერიულ მსხვერპლშეწირვაზეც მეტყვე-ლებს: „ორთავ საუფლოს“ შეცნობა მხოლოდ თავგან-ნირვის ფასად მოიპოვება. დელფოს ტაძარში ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახული ყოფილა ტირიფის ხეს მიყრდ-ნობილი ორფევსი, რომელიც ხელით ეხება ტირიფის ტოტებს.

„ტეგანი და კვამლა“ მცენარეებია, რომელთა სურნელ-საც გარდაცვლილთა სულების მოსახმობად იყენებდნენ მაგიურ რიტუალებში.

„ბეჭედი, ბალთა და სურა“ ის საყოფაცხოვრებო ნივთე-ბია, რომელთაც არქაულ კულტურებში ყველაზე ხშირ-ად ატანდნენ სამარეში გარდაცვლილებს. ეს საგნები რილკესთვის სიკვდილ-სიცოცხლის ერთიანობის სიმ-ბოლოებია. აქვე უნდა შევიზნოთ, რომ სამივე ნივთი მრგვალი ფორმისაა, მაშასადამე, მათში დასრულებუ-ლობის, თვითკმარობის, სამყაროსეული წრებრუნვის მეტაფორა უნდა დავინახოთ.

VII

მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.

„აი, დიდების ხოტბად ქმნილი!“ – „სონეტების“ აქ გა-მოთქმული მთავრი იმპულსი, ამქვეყნიური არსებო-ბისათვის ხოტბის შესხმა, ეხმიანება ამავე პერიოდში დაწერილ „ახალგაზრდა მუშის წერილს“, რომელიც

მიღმიერისაკენ მისწრაფულ ქრისტიანულ დოგმებთან მწვავე პოლემიკას შეიცავს. იქ ნათქვამია: „ისეთი მოძღვარნი გვჭირდება, ამქვეყნიურს რომ შეგვიქებენ!“ ორფევსის რილკესული ხატი გარკვეულნილად სწორედ ამ მოთხოვნას პასუხობს.

VIII მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.

პერსონიფიცირებული „გოდების“ (“Klage”) სახე მეათე დუინურ ელეგიაშიც გვხვდება, სადაც გოდებათა მთელ მოდგმას ვხვდებით. მოცემული სონეტის ფარგლებში მკვლევარნი შენიშნავენ ამ მხატვრული სახის მსგავსებას ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“ ნახსენებ მითიურ ბიბლიდასთან, რომელიც საკუთარი ძმისადმი უიმედო სიყვარულით იტანჯებოდა. შის მიერ დაღვრილი ცრემლების გუბე უშრეტ წყაროდ იქცა. აქ ისევე, როგორც I ნაწილის IV სონეტში, უნდა გავითვალისწინოთ მეტრფე ქალის განზოგადებული სახე, რომელიც თემატიზირებულია რომანში „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანანერები“, სადაც ბიბლიდა საფოს, ელოიზას, ბეტინა ფონ არნიმისა და სხვა მითიურ თუ ისტორიულ მეტრფე ქალთა გვერდითა დასახელებული.

გოდებისა და ხოტბის განუყოფლობის იდეა იმ მითოსურ მომენტს უკავშირდება, რომ ორფევსის ნახევარძმა ნაადრევად გარდაცვლილი პოეტი ლინოსი იყო, რომლის შესახებაც რილკე წერს პორველი დუინური ელეგიის ფინალში: „ლინოსის გლოვა-დატირებისას პირველშიბილმა, / გაძედულმა მუსიკის ტალღამ მაშინ პირველად / გახევებული გარინდება გაარღვია...“ (თარგმანი ლ. დადიანისა. რ. მ. რილკე, თხზულებები ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009, ტომი V, გვ. 282), მაშასადამე მუსიკა (პოეზია) გოდებიდან დაიბადა.

IX მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.

X მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.

სონეტი თემატურად შეესაბამება კრებულში „ახალი

ლექსები“ (1907) შესულ ლექსს „რომაული სარკოფაგები“. ორივე ტექსტი, როგორც ჩანს, ერთსა და იმავე მოგონებას ეფუძნება. 1903 წლის სექტემბრიდან 1904 წლის ივნისამდე რილკე რომში იმყოფებოდა, საიდანაც ის 1903 წლის 29 ოქტომბერს სწერს ფრანც ქსავერ კაპუს: „(ცხოველმყოფელი წყლები ძველთაძველი აკვედუკებით მოედინებიან და მოედნებზე, ქვის ოეთრი ფიალების თავზე, თავბრუდამხვევად ცეკვავენ...“ (იხ. რ. მ. რილკეს თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2007, ტ. IV, გვ. 216). ფაქტი, რომელმაც რომში ყოფნისას გააოცა რილკე, „სონეტების“ მთავარ სათქმელთან ზუსტ თანხვედრაში მოექცა: რომში წყალსადენი მილების როლს ხშირად უძველესი სამარხებისგან შემორჩენილი ქვის სარკოფაგები ასრულებდა, რაც რილკესთვის იმის იდეალურ მეტაფორად იქცა, რომ სიცოცხლეს სიკვდილი ასაზრდოებს და რომ მათ შორის უწყვეტი წრებრუნვა და გაცვლა-გამოცვლა ხდება.

XI

მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.

მხედრის თანავარსკვლავედი რეალურად არ არსებობს. ამა თუ იმ არსის თუ სახის თანავარსკვლავედის დონეზე აყვანა რილკესთვის მისი სიმბოლოდ ქცევის ტოლფასია. პოეტი მასში შემდეგ აზრს დებს: „მიწიერი ქედმაღლობა“, როგორც ის ცხენს მოიხსენიებს, ჩვენს სხეულს განასახიერებს, ხოლო მხედარი, ვინც მას „იურვებს და ხედნის“ და, იმავდროულად, სივრცის გადალახვისას მასზეა დამოკიდებული, – ჩვენი სულია; მხოლოდ წუთიერი ზმანების სახით შეგვიძლია ორივე ერთ არსად შერწყმულნი დავინახოთ, რადგან ისინი განსხვავებული წიაღიდან საზრდოობენ, მათ „მიჯნავს იალალი, სუფრატრაპეზი“, მაგრამ პოეტი „სონეტების“ მთელი ცილკი-სათვის დამახასიათებელი დასტურის კილოთი მაინც ასკვნის, რომ მისთვის ეს ამქვეყნიური, თუნდაც წუთიერი სიხარულიც კი „საკმარია“.

- XII მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
სონეტი ნარმოგვიდგება ერთგვარ შესავლად მომდევნო
ლექსებისათვის, რომლებიც ორგანული ბუნების, „მი-
ნის ნაშობი ჭირნახულის“ ჩვენთვის ნაბოძებ სიუხვეს
ეძღვნება.
- XIII მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
ამ და ორ მომდევნო სონეტში სხვადასხვა ხილის აღწერ-
ით ამქვეყნიურობის აბსტრაქტული ქების აქტი რილკეს
კონკრეტულ-გრძნობით პროცესში გადაჰყავს. სწორედ
ამიტომ ის ხაზს უსვამს ნაყოფთა სურნელითა და გე-
მოთი მოგვრილ ფიზიკურ შეგრძნებებს. ზოგიერთი მკვ-
ლევარი იმ შესაძლო გავლენაზე მიანიშნებს, რომელიც
რილკეზე იქონია სეზანის ნატიურმორტებმა (სეზანის
შემოქმედებას რილკესთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონ-
და, იხ. მისი „ნერილები სეზანზე“, რ. მ. რილკეს თხ-
ზულებანი ხუთ ტომად, „კავკასიური სახლი“, 2007, ტ. IV)
და, აგრეთვე, რილკეს ადრე გარდაცვლილი მეგობრის,
ნიჭიერი მხატვრის, პაულა მოდერზონ-ბეკერის შემო-
ქმედებამ. რილკემ 1908 წელს მიუძღვნა მას „რეკვიემი
მეგობარი ქალისათვის“, სადაც ნათქვამია: „სავსე ნაყ-
ოფი. ფრთხილად აწყობდი მათ ლარნაკებზე/ და მათ
სიმძიმეს ფერით წონიდი“ (რ. მ. რილკეს თხზულებანი
ხუთ ტომად, „კავკასიური სახლი“, 2007, ტ. II, გვ. 58. იხ.
აგრეთვე ტექსტის ნაირა გელაშვილისეული განმარტე-
ბა გვ. 252-253-ზე). რაკილა „სონეტები“ აგრეთვე ნაად-
რევად გარდაცვლილ ხელოვან ქალიშვილს ეძღვნება,
მათში კვლავაც, წლების შემდგომ, განახლებულად ულ-
ერს პაულასთან შინაგანი დიალოგი.
- XIV მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
ისევე, როგორც „ანტიკური სარკოფაგებისადმი“ მიძ-
ღნილი I ნაწილის X სონეტი, ეს ლექსიც უბრუნდება
რილკესეულ თეზას იმის შესახებ, რომ სიცოცხლეს
სიკვდილი ასაზრდოებს.

- XV მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
 ერთ-ერთი მკვლევრის კომენტარი ამ ლექსისათვის:
 „ნაყოფის სურნელი, მისი აღმექმელისათვის რიტმად
 და ბეგრად („ზუზუნი... როკვა...“) რომ გარდასახა, თა-
 ვისმხრივ მოცეკვავე გოგონათა ხატად გადაიქცევა.
 სიტყვით აღუნერელი ამ შთაბეჭდილების გადმოცემა
 მდუმარე, ვნებიანი მოძრაობითაა შესაძლებელი“ (Hermann Mörchen, Rilkes Sonette an Orpheus. Stuttgart, 1958, S. 144). ცეკვის თემა ხშირად გვხვდება „სონეტებში“ და ეს
 არცაა გასაკვირი: ციკლი ხომ ნიტიერ მოცეკვავეს, ვერა
 უოკამა-კნოპს მიეძღვნა. მეორე მხრივ, რაკიდა მთელ
 ციკლს ანტიკური მოტივები მსჯალავს, ამ სონეტში
 ნახსენები ქალიშვილები შეიძლება მოცეკვავე ნიმუშების
 სახითაც წარმოვიდგინოთ.
- XVI მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
 ლექსი მიმართულია ძალლისადმი. იხ. ავტორისეული
 შენიშვნა. ძალლის სახე განსაკუთრებულ დატვირთ-
 ვას იღებს „სონეტების“ მთავარი იდეის, სიკვდილ-სი-
 ცოცხლის განუყრელობის კონტექსტში. რილკესთვის
 ცხოველი, პირველ რიგში, ძალლი, მიღმიერთან უშუალო
 კავშირშია იმ ბუნებრივი ალლოს წყალობით, რომელიც
 დაკარგული აქვს ადამიანის რაციონალურ გონიერას.
 „მიცვალებულთა არსიც იცი, სიკვდილის კევრიც...“ –
 მიმართავს სონეტი ძალლს. რომანში „მალტე ლაურიდს
 ბრიგეს ჩანაწერები“ რილკე მოგვითხრობს ეპიზოდს,
 რომელშიც ძალლი, ადამიანებისაგან განსხვავებით, ხე-
 დავს გარდაცვლილის აჩრდილს და ეგებება მას.
- XVII მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
 აქ ასახვა პჰოვა რილკეს იდეამ იმის შესახებ, რომ ის
 კეთილშობილი გვარის უკანასკნელი შთამომავალია.
 მის ბიოგრაფთა აზრით, ეს იდეა უფრო შემოქმედებით
 სინამდვილეს ეკუთვნის, მისი რეალური მტკიცებულება
 არ არსებობს. ლექსში წარმოდგენილი ხე გენეალოგიურ
 ხედ გვევლინება, ხოლო უკანასკნელი რტოს ქარად

მორკალვა მეტაფორულად გადმოგვცემს XIX–XX საუკუნეთა მიჯნის დეკადენტური ესთეტიზმისათვის დამახასიათებელ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ არის ტოკრატული გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი მონოდებულია ემსახუროს ხელოვნებას (შდრ. თომას მანის რომანი „ბუდენბროკები“ და თავად რილკეს რომანი „მალტე ლაურიდს პრიგეს ჩანაწერები“).

XVIII მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.

„დაზგისადმი“, „მანქანისადმი“ ხოტბის შესხმა რილკესთვის თვით სიკედილისათვის ხოტბის შესხმის ტოლფასია, მაგრამ, რაკიღა მან შემოქმედებით და ადამიანურ მოვალეობად დაისახა, დასტურით შეგებებოდა ყოველივე ამქევენიურს, ის ამ პარადოქსულ ნაბიჯსაც დგამს. თუმცა ხოტბა მისთვის არ ნიშნავს მანქანის შესახებ აზრის შეცვლას: ლექსში მკაფიოდ გამოსჭვივის თანამედროვე დასავლური ცხოვრების გადამეტებული მექანიზაციის უმოწყალო კრიტიკა, რაც რილკეს მრავალ მის თანამედროვე მოაზროვნესა და ლიტერატორთან აერთიანებს (მაგალითისათვის დავასახელებთ ოსვალდ შპენგლერს, გოტფრიდ ბენს, შტეფან გეორგეს, ფრანც კაფკას). 1915 წლის 2 ოქტომბერს მეგობარი კატარინა კიპენბეგრი სწერს რილკეს: „მანქანის უდიდესი შეცოდება იმაში მდგომარეობს, რომ ის უკვე უბრალო ხელსაწყოზე გაცილებით მეტი გამხდარა...“, რაზედაც რილკე 7 ოქტომბერს პასუხობს: „რა ზუსტად ემთხვევა ჩემს თვალსაზრისს ის, რასაც მანქანის თაობაზე წერთ და იმ საბედისწერო სასჯელზე, რადაც ის მოგვევლინა!..“ სულიერებისაგან და პიროვნულობისაგან დაცლილ თანამედროვე მექანიკურ არსებობას რილკე აკრიტიკებს ჯერ კიდევ რომანში „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“. „ელეგიებსა“ და „სონეტებში“ იგი მას პირველქმნილი, ინდუსტრიამდელი საგნების „ლარულ“ ფასეულობებს უპირისპირებს (ლარები ფუძისა და კერის მფარველი ღვთაებებია რომაულ მითოლოგიაში).

- XIX მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
- XX მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
- „რუსეთი –, ძინდი გაზაფხულის და ერთი ცხენი...“ ეს სურათი რილკეს ლუ ანდრეას-სალომესთან ერთად რუსეთში მეორე მოგზაურობის (1900), როგორც ჩანს, ძალზე ძლიერ შთაბეჭდილებას შეესაბამება, რომელიც ლუს მაშინდელ დღიურში ასეა აღნერილი: „ვოლგის პირას ვიდექით, როდესაც საღამოს სრული მდუმარება უეცრად ჭიხვინმა დაარღვია და ერთი ნორჩი ცხენი მთელი დღის ჯაფის შემდეგ ყოჩაღად გაექანა თავისი რემისაკენ, რომელიც სადღაც შორს, ტრამალზე ათევდა ღამეს, ...რამდენიმე ხნის შემდეგ მას სხვა მიმართულებიდან მიჰყვა მეორე ცხენი, უფრო მძიმედ რომ მოძრაობდა: რათა ყანა არ გადაეთელა, მისთვის ცალ ფეხზე ხის ნაჭერი მიებათ“. მეათე ელეგიის დასრულებისთანავე 1922 წლის 11 თებერვალს ლუსადმი მიწერილ წერილში რილკე წერს: „მე დავნერე, გავაკეთე ცხენი, იცი? ის ლალი, ბედნიერი კვიცი, ფეხზე პალო რომ მისთრევდა, საღამოს ხანს რომ შემოგვეფეთა ვოლგისპირა ველზე: მე ის გავაკეთე როგორც „ექს-ვოტო“ – ორფევსისადმი! რა არის დრო? როდისაა ანმყო? ამდენი წლის შემდეგ შემომეჭრა ის – აღვსილი ბედნიერებით – ფართოდ განხმულ გულში“ (რ. მ. რილკე, თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტ. V, გვ. 94).
- XXI მიუზო, 1922 წლის 9 თებერვალი.
- თავდაპირველად ციკლში ამ ლექსის ადგილას იყო სონეტი “O das Neue, Freunde, ist nicht dies...“, რომელიც შემდგომში ცალკე დაიბეჭდა უურნალში „პრაგერ პრესე“. ეს ცვლილება პოეტმა გარდაცვლილი ვერას დედის, ქალბატონი კნოვის თხოვნით შეიტანა, ვისი აზრითაც, მოცემული ლექსი უკეთ შეესაბამებოდა მთელი ციკლის ტონალობასა და ცხენთან დაკავშირებულ ლექსს, რომელსაც ის უშუალოდ მოსდევს.

- XXII** მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
ლექსში კვლავაც უდერს თანამედროვე დაჩქარებული, მექანიზირებული ცხოვრების რილკესეული კრიტიკა. ამავე პერიოდში შექმნილ „ახალგაზრდა მუშის წერიში“ პოეტი წერს: „მართალია, ამგვარი განგრძობილი და ზანტი ხდომილება სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენი დროის უცნაურ ქროლვას, მაგრამ თვით უსწრაფეს მოძრაობათა გვერდით მუდამ იარსებებს უკიდურესად ნელი ხდომილება, იმდენად აუჩქარებელი, რომ მას ვერც კი შევიგრძნობთ“. „ნათლიერება და უკუნეთი, / დუმილი წიგნის და ყვავილისა“, – ეს ცნებები გამოხატავს სამყაროს პოლარულ მხარეებს მათ ერთიანობაში: სინათლის აპოლონურ და წყვდიადის დიონისურ საწყისებს, რაციონალურს (წიგნი) და ინსტინქტურს (ყვავილი).
- XXIII** მიუზო, 1922 წლის 12 ან 13 თებერვალი.
ლექსი განაგრძობს წინა სონეტში ასახულ ავტორისეულ მიმართებას ტექნიკისადმი. შდრ. ასევე I ნაწილის XVIII სონეტი.
- XXIV** მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
- XXV** მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
თავად რილკეს თქმით, ლექსი მიმართავს გარდაცვლილ მოცეკვავე გოგონას, ვერა ოუკამა-კნოოპს, რომელსაც „სონეტების“ მთლიანი ციკლი ეძღვნება. ლექსი დისონანსი შემოაქვს სიკვდილის იმ მშვიდ და ნათელ ხედვაში, „სონეტებში“ რომ სუფევს. როგორც ჩანს, ის ვერას დედის წერილის უშუალო შთაბეჭდილებით უნდა დაწერილიყო, რომელმაც პოეტს ქალიშვილის ავადმყოფობისა და გარდაცვალების დეტალები უამბო. „უნუგემოდ ღია ბჭეკარი“, რომელიც ლექსის ფინალში გვხვდება, მოგვაგონებს დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ერთგვარ ილუსტრაციად შექმნილ როდენის ცნობილ ნამუშევარს „ჯოჯოხეთის კარიბჭე“.

XXVI მიუზო, 1922 წლის 2-5 თებერვალი.
თქმულების თანახმად, მენადებმა, ბაკემა ქალებმა, მითიური პოეტი ნაკუნებად დაგლიჯეს, მაგრამ ვერაფერი ავნეს მის თავსა და ქნარს. დიონისეს ტაძარში დასვენებულმა ორფევსის თავმა სიმღერა და სასწაულებრივი წინასწარმეტყველება დაიწყო. ბაგის, პირის ხსენება ხშირია „სონეტებში“. შდრ. II ნაწ. XV სონეტი, სადაც სამყარო „წყაროს-პირით“ საკუთარ თავს ესაუბრება. ბუნებაში გაფანტული ორფევსის წყალობით, „ჩვენ“, ანუ პოეტები, „ბუნების ბაგედ“ ვიქეცით.

ნაწილი II

- I მიუზო, დაახლ. 1922 წლის 23 თებერვალი.
ეს სონეტი ქრონოლოგიურად ყველაზე უფრო გვიანდელია. აქ იგულისხმება ის, რომ პოეზიას, თუნდაც მხატვრობისაგან განსხვავებით, თვითგამოხატვისათვის რაიმე საგანგებო მედიუმი არ გააჩნია: ის შემოქმედებითად გარდასახავს ისეთ „მდაბალ“, ყოველდღიურ პროცესს, როგორიცაა სუნთქვა და სალაპარაკო ენა. ამავე დროს, სუნთქვისაგან განუყოფელი სიმღერა პოეტისათვის სასიცოცხლო აუცილებლობადაა ქცეული, რაც ემიანება I ნაწილის III სონეტის სიტყვებს „სიმღერა არის არსებობა“.
- II მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.
- III მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.
სარკის ხატს რილკეს გვიანი პერიოდის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იხ. ლექსები: „ქალი სარკესთან“ („ახალი ლექსები“; რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტ. II, გვ. 52), სამი ლექსი ციკლიდან „სარკის ანარეკლები“ (კრებულებში არშესული ლექსებიდან; რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტ. II, გვ. 196-197), „ნარცისი“ (ჟურნალი „საუნჯე“, 2004,

5-6, გვ. 293-294). მეორე დუინურ ელეგიაში ანგელოზები მოხსენიებულნი არიან როგორც „სარკეები“, „თქვენ, ვინც საკუთარ გამოსხივებულ მშვენიერებას/ კვლავ ჩაიბრუნებთ საკუთარი ხატის წიაღში“ (თარგმანი ლ. დადიანისა, რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტ. V, გვ. 283). ანგელოზები საკუთარ თავში ჩაბრუნებულ თვითკმარ სარკეებს ნარმოადგენენ, ისინი არ ფანტავენ საკუთარ მშვენებას სამყაროში და მათ არ სჭირდებათ მარადისობის განზომილებაში მისი ტრანსპონირება, რაც, რილეკს თანახმად, სარკის (ისევე, როგორც შემოქმედებისა და, ზოგადად ძლიერი გრძნობის) ფუნქციად გვევლინება. მკვლევარი ოტო ბოლნოვი ასე განმარტავს მოცემულ სონეტს: „ისევე, როგორც საცერითავისი არსით ხვრელებისაგან, მაშასადამე, არარსებული მატერიალური სუბსტანციისაგან, შედგება, თხიერ ნივთიერებას ატარებს, მკვრივ საგნებს კი – არა, სარკეებიც ხვრელებად, გარკვეულნილად, ნაპრალებად გვევლინება, რომელთა სამუალებითაც რეალური ყოველდღიური სივრციდან მიღმიერში ვიყურებით...“ (Otto Friedrich Bollnow, Rilke. Stuttgart, 1956, S. 250). სარკე ყოველივე უღირსს ისხლეტს, ხოლო ფასეულს, მშვენიერი ქალწულის სახებას, თავის წიაღში იღებს, სადაც მას საკუთარი მშვენებით მოხიბლული და ამის გამო სარკის სივრცეში მომწყვდეული მითიური ნარცისი შეეგებება. ეს შემოქმედებითი აქტი თვით ნარცისაც ათავისუფლებს, ამიტომაა ის „გახსნილი და ცხადი“.

IV მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.

აქ ნახსენები მითიური ცხოველის, ცალეშვას შესახებ რილეკ სწრეს ერთ-ერთ წერილში გრაფინია ზიცოს: „ცალეშვას ხატი ქრისტეს როდი გულისხმობა: მასში განსხეულდა მთელი ჩვენი სწრაფვა მოუხელთებლისაკენ, ის, შესაძლოა, ხოტბას ასხამს მთელ ჩვენს რწმენას იმისა, რომ რასაც ჩვენი სულის სიღრმიდან საუკუნობით ვზრდიდით და ვკვებავდით, მართლაც ფასეული

და ნამდვილია... ცალეშვას შუა საუკუნეებში მუდამ ქალწულებრივ უბინოებას უკავშირებდნენ: ამიტომაც ამბობდნენ, რომ იგი, პროფანთათვის არარსებული, მაშინვე გამოჩნდებოდა ვერცხლის სარკეში, თუკი მას ქალწული გაუწვდიდა (იხილე XV გობელენები) და გამოჩნდებოდა თვით „მასშიც“, ქალწულშიც, როგორც განუზომლად უფრო წმინდა სარკეში.“ XV საუკუნის გობელენები მათზე გამოსახული ქალწულითა და ცალეშვათი რილკეს ნახსენები აქვს თავის რომანში (რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2007, ტ. III, გვ. 177-179). ციკლის მთელ კონტექსტში ცალეშვას მხატვრულ სახეს, უპირველეს ყოვლისა, ის მნიშვნელობა ენიჭება, რომ ესაა მშვენიერი არსება, რომელსაც აღარ სჭირდება შემოქმედებითი გარდასახვა, რადგან ის იმთავითვე ზესივრცულ და ზედროულ განზომილებას ეკუთვნის; „სონეტების“ სხვა მითიურ სახეთაგან (თვით ორფეესი, ევრიდიკე, ნარცისი თუ დაფნა) ის იმით განსხვავდება, რომ მას არასოდეს უარსებია ჩვენს სინამდვილეში და „აღარც კი ირჩევს/ მიწიერ ყოფნას“. სწორედ ესაა ზოგადად მითოსის არსი: ნეოპლატონიკოს სალუციუსის თქმით, „მითოსი ისაა, რაც არასოდეს ყოფილა, მაგრამ მუდამუამს მყოფობს“. 20-იანი წლების ერთ წერილში რილკე უამბობს მეგობარს, რომ შვეიცარიის სანატორიუმში ყოფნისას ერთმა „უმშვენიერესმა პატარა გოგონამ“ უთხრა, „ცალეშვას ჰგავხარო“.

V

მიუზო, 1922 წლის 15 თებერვალი.

ეს ლექსი, მომდევნო ორ ლექსთან ერთად, ყვავილებს ეთმობა. „ყვავილის კუნთის“ მოტივი უკავშირდება რილკეს მიერ ლუ ანდრეას-სალომესადმი 1914 წლის 26 ივნისის წერილში აღნერილ განცდას: „იმ ციცქნა ანემონს (ფრინტას) ვგავარ, ერთხელ რომში, ერთ ბაღში რომ ვნახე: „იგი დღისით ისე ფართოდ გადახსნილიყო, რომ ღამით ფურცლების მოკუმვა გაუჭირდა. სულის-შემძვრელი სანახავი იყო ის ჩაბნელებულ მდელოზე,

შმაგად განხმული ფურცლების თასით კვლავაც რომ ისრუტავდა ღამის უსაზღვროებას, რომელიც არა და არ ილეოდა.“

VI მიუზო, 1922 წლის 15 თებერვალი.

1922 წლის 15 ივლისს რილკე სწერს გრაფინია ზიცოს: „მარტივი, მყიფე ფიალა... აი, ეს იყო ანტიკური ხანის ვარდიც და სპარსეთის ვარდიც; სადაც კი ძველბერძნული ან, უფრო ზოგადად, ალმოსავლური პოეზია ვარდს უძღერს, ყველგან სწორედ ეს ვარდი უნდა ნარმოვ-იდგინოთ, ლალად მოგიზგიზე, სუფთა ალის შეფერილ-ობის ეს სადა ფიალა.“ რილკე გამუდმებით უბრუნდება ვარდის სიმბოლოს, მისთვის ეს ყვავილი თავის ფურცლებს მიღმა პარადოქსულად იტევს იდუმალებრივი სისავსის შემცველ ცარიელ სივრცეს (შდრ. 1908 წელს „ახალი ლექსების მეორე ნაწილში“ შესული ლექსი „Das Rosen-Innere“ – „ვარდისშიდა სივრცე“). ის თითქოს გარდამავალ საფეხურზე დგას ხილულსა და უხილავს, აქაურსა და მიღმიერს შორის. ეს პარადოქსი მკაფიოდ უძერს სონეტშიც: „ჩვენეულ“, „ფერსავსე“ ვარდს „უხ-ვად ჰმოსავს სამოსი“, მაგრამ, იმავდროულად, „თუნდ ერთი ვარდფურცელი... უარყოფაა, განრიდება თვით ძონეულის“. იგივე მომენტს ვხვდებით რილკეს მიერ თავის გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე შექმნილ პწკარებში, რომლებიც, მისი სურვილისამებრ, მისი საფლავის ქვაზე იქნა ამოტვიფრული: „Rose, du reiner Widerspruch, Lust/ niemandes Schlaf zu sein unter so viel/ Lider“ – „ვარდო, წმინდაო პარადოქსო, ვნებავ, წყურვილო, / უხვად დაფენილ ქუთუთოებქვეშ არ გერქვას ძილი/ შენ არავისი“ (ლ. დადიანის თარგმანი). მოცემული სონეტი შეიძლება ამ ავტოეპიტაფიისაკენ გარდამავალ საფეხურად ჩავთვალოთ.

VII მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.

ლექსში მოხსენიებული გოგონებით, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გარკვეულწილად იგულისხმებიან

ის ახალგაზრდა ხელოვანი ქალები (ადრე გარდაცვლილი პაულა მოდერზონ-ბეკერი და რილკეს მომავალი მეუღლე კლარა ვესტჰოფი), ვისთანაც პოეტი 1901-1902 წლებში მხატვართა დასახლება ვორპსვედეში ურთიერთობდა. სონეტის ნატიფი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დეკორატიული მხატვრული სივრცე, ყვავილების შედარება გოგონათა ხელებთან, მართლაც ახლოსაა იუგენდშტილის იმ ესთეტიკურ ატმოსფეროსთან, ვორპსვედეში რომ სუფევდა. ერთ-ერთ იმდროინდელ წერილში პოეტი წერს: „ისინი, გარკვეულნილად, მცოდნენი არიან ანუ ხელოვანნი, გარკვეულნილად კი დაუფიქრებელნი ანუ გოგონები... კლარას ამპირის სტილის თეთრი კაბა აცვია, პაულას ფიგურა ნაზი, ქათქათა და ქალწულებრივია, თმა ფლორენციული ოქროსი აქვს, ხმა ხავერდოვან ტალღებად ელვრება...“

VIII მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.

ეგონ ფონ რილკე (1873-1880), რილკეს ადრე გარდაცვლილი ბიძაშვილია, მისი ბიძის, იაროსლავ რილკეს უმცროსი ვაჟი. აი, რას სწერს პოეტი მის შესახებ დედას: „მასზე ხშირად ვფიქრობ და მის სახებას გამუდმებით ვუბრუნდები, ვერ აგინერ, თუ რა ამაღლელვებლად მაქვს გულში ჩაბეჭდილი. რასაც „ბავშვობა“ ჰქვია, ბავშვად ყოფნის სევდა და უსასოობა, ჩემთვის სწორედ მასშია ხორცებს ხმული, მისი მაღალი საყელოდან ამონცდილ გამხდარ კისერსა და, სიელმის მიუხედავად, მაინც ლამაზ თვალებში. ამიტომაც კიდევ ერთხელ გამოვიხმე იგი იმ VIII სონეტის დასასრულს, ნარმავალობას რომ გამოხატავს, მას შემდეგ, რაც ის, როგორც მოგეხსენება, თავის დროზე, ჯერ კიდევ მაღლტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერებში ადრე გარდაცვლილ პატარა ერიკ ბრაეს პროტოტიპად გამომეცხადა“.

IX მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.

სონეტი მომდევნო ორთან ერთად ქმნის ტრიადას, რომელიც ამქვეყნიური ყოფიერების ბნელ მხარეებს ეძ-

ღვნება. ამ სონეტის თემა კვლავაც თანამედროვეობის კრიტიკაა, ამჯერად – თანამედროვე საზოგადოების ჰუმანიზმირებისადმი პოეტის სკეპტიკური დამოკიდებულება. მისი აზრით, მართლმსაჯულების მოჩვენებითი ლმობიერების მიღმა კვლავაც შუა საუკუნეების სისასტიკე იმაღლება.

X მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.

თემატურად წინა სონეტის გამაგრძელებელი ეს ლექსი ტექნიკისა და თანამედროვე დესაკრალიზებული არსებობის წინააღმდეგაა მომართული, რასაც რილკე უპირისპირებს სამყაროსადმი ძველებურ მონიწებულ, „თავმდაბალ“ მიმართებასა და მუსიკას, როგორც ზოგადად შემოქმედების ხატს. ბოლო პწკარში წახსენები „ურგები სივრცე“ ის შემოქმედებითი, მარადისობასთან წაზიარები განზომილებაა, რომელიც სარკის, თუ ვარდის შიდა სივრცეს უახლოვდება და რომლის თანამედროვე ყოფაში პრაგმატული გამოყენება შეუძლებელია.

XI მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.

ლექსი წარმოადგენს კიდევ ერთ პარადოქსულ დასტურსა და განდიდებას ყოველივე უარყოფითისა, – ამ შემთხვევაში, წადირობის და, მაშასადამე, მკვლელობისა, – რაც განუყოფელია ამქვეყნიური არსებობისა და ჩვენი ბედისწერისაგან.

XII მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.

სონეტის ოთხი სტროფი ანტიკური წატურფილოსოფის ოთხი ძირითად ელემენტს (ცეცხლს, მიწას, წყალსა და ჰაერს) ასახავს. პოეტი მიესალმება არსთა „გარდაქმნას“, მათ გადასვლას ერთი ელემენტიდან მეორეში, როგორც უწყვეტ შემოქმედებით პროცესს, რომლის დროსაც „დიადი სული მინიერთა სხეულს ძერწავს“. თუნდაც ეს გარდასახვანი კვდომასთან, განადგურებასთან იყოს დაკავშირებული, ისინი, ამავე დროს, ახალ ფორმას,

ახალ სიცოცხლესაც გულისხმობს. ამგვარი მეტამორფოზების მითოსურ მაგალითად პოეტი ბოლო სტროფში მოიხსენიებს ქალწულ დაფნას, რომელიც, რათა აპოლონის სასიყვარულო უინისათვის დაელნია თავი, დაფნის ბუჩქად გადაიქცა.

- XIII მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.
- XIV მიუზო, 1922 წლის 15-17 თებერვალი.
ლექსში კვლავ ისმის თანამედროვე ცივილიზაციის კრიტიკა. სიტყვებს „ო, საგნებისთვის აბეზარი აღმზრდელები ვართ...“ პოეტის მეგობარი, მკვლევარი კატარინა კიპენბერგი ასე ხსნის: „ჩვენ საერთოდ ყველან უხეშად ვერევით დედემინის ბედისწერასა და მის ქმედებებში, თავი ბუნებაზე ჭკვიანი გვგონია, მუდამ მის მორჯულებას ვცდილობთ...“ (Katharina Kippenberg, R. M. Rilkes Duineser Elegien und Sonette an Orpheus. Wiesbaden, 1948, S. 176).
- XV მიუზო, 1922 წლის 17 თებერვალი.
ლექსი ამქვეყნიური ყოფიერების ორფიკული წრებრუნვის მეტაფორაა: სამყარო უწყვეტად ესაუბრება საკუთარ თავს „წყაროს-პირისა“ და „მინის ყურის“ სახით, ადამიანი კი უხეშად ერევა ბუნების ჰარმონიულ არსებობაში, რაზედაც წყაროს ჭავლის ქვეშ შედგმული თუნგის სახე გვიჩვენებს.
- XVI მიუზო, 1922 წლის 17-19 თებერვალი.
აქაც, როვორც XIV სონეტში, ადამიანის მოუსვენარ, ცნობისმოყვარე უინს სამყაროს თვითემარი სიმმვიდე უპირისპირდება. ლექსი კვლავ გვხვდება XV სონეტში ნარმოდგენილი წყაროს მეტაფორა: გარდაცვლილი სვამს წყაროს წყალს, მაშასადამე, ის ჩაბმულია სამყაროს ჰარმონიაში, მაშინ, როდესაც ჩვენ, ამქვეყნიურთ, ჩვენი ხმაურიანი არსებობის გამო, არც კი გვესმის წყაროს ჩხრიალი, ანუ სამყაროს ხმა.

ბოლო სტრიქონებში ამ კონფლიქტის მანონასწორებლად წარმოგვიდგება კრავი, რომლის თვინიერებაც შეარიგებს მშვიდ „გეშს“, ინსტინქტს მომაბეზრებლად ხმაურიან ზანზალაკთან. რილკე არაერთგზის გამოხატავს ქრისტიანობისადმი საკუთარ დისტანცირებულ დამოკიდებულებას, მაგრამ აქ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელია, არ ამოვიკითხოთ კრავის სიმბოლოს ქრისტიანული შინაარსი.

XVII მიუზო, 1922 წლის 17-19 თებერვალი.

სონეტი ასახავს თანამედროვე ადამიანის არსებობასა და ხის ხატით გადმოცემულ ბუნების ფერსავსე სიცოცხლეს შორის იმ ტრაგიკულ დისონანსს, ხშირად რომ გვხვდება „გვიან“ რილკესთან. შდრ. მეოთხე დუინური ელეგიის დასაწყისი, მიმართვა „სიცოცხლის ხეებისადმი“ და, კონტრასტის სახით, თანამედროვე ადამიანთა შემდეგნაირი მოხსენიება: „ჩვენ არ გვჩვევია ერთსულოვნება და ვერც მძლევარ ფრინველებივით/ ვართ თანხმიერნი“ (თარგმანი ლ. დადიანისა. რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009, ტ. V, გვ. 289).

XVIII მიუზო, 1922 წლის 17-19 თებერვალი.

„მოცეკვავის“ სახით კვლავაც ვერა უოკამა კნოოპი იგულისხმება.

XIX მიუზო, 1922 წლის 17-23 თებერვალი.

ფულის, როგორც სულიერებისაგან დაცლილი თანამედროვე არსებობის მთავარი წარმმართველი ძალის თითქმის პერსონიფიცირებული ხატი ეხმიანება მეათე ფუინური ელეგიის იმ პნეარებს, სადაც ნათქვამია, რომ ფული, ცოცხალი არსების მსგავსად, სქესობრივი გზით მრავლდება (რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტ. V, გვ. 310).

ამ ხატის საპირისპიროდ სიღარიბის განდიდებას რილკეს შემოქმედებაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ

თემას, უპირველეს ყოვლისა, პარიზის ქუჩებში შეძენილი შთაბეჭდილებები კვებავდა. ჯერ კიდევ 1905 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „უამნი“ ამ თემას დიდი ადგილი უკავია (იხ. რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტ. I, გვ. 101-116). საგულისხმოა, აგრეთვე, „სურათთა წიგნში“ (1906) შესული ციკლი „ხმები“ (რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2007, ტ. I, გვ. 163-173) და ღარიბთა სახეები რომანში „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“. სონეტის პირველი სტრიქონის დასასრულს ნახსენები „პრა მათხოვარი“ აღნერილია აგრეთვე რილკეს ლექსში „Pont du Carrousel“ („კარუსელის ხიდი“, „სურათთა წიგნი“). სიღარიბე რილკესთვის არა იმდენად სოციალური პრობლემაა, არამედ უფრო სულიერ-ესთეტიკური მდგომარეობა.

- XX** მიუზო, 1922 წლის 17-23 თებერვალი.
 სონეტი თემატურად ეხმიანება მერვე დუინურ ელეგიას. ადამიანსა და სამყაროს შორის დისტანციის დაძლევა, სიყვარულისა და შემოქმედების გზით მათი უშუალო შეხვედრა რილკეს მსოფლმხედველობის კონტექსტში, ადამიანის უდიდეს მიზანს ნარმოადგენს.
 ბოლო სტროფში ნახსენები თევზების, მათი მეტყველი დუმილის პოეტური სახე გვხვდება, 1907 წელს შექმნილ რილკეს პროზაულ ლექსში „თევზით მოვაჭრის ავლა-დიდება“ (რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009, ტ. V, გვ. 73-74).

- XXI** მიუზო, 1922 წლის 17-23 თებერვალი.
 „შირაზი და ისპაპანი“ ძველი ორანის ორი პროვინციის დედაქალაქებია, პირველი განთქმული იყო ნაყოფიერი მიწებითა და სარწყავი სისტემებით, მეორე – ვარდებით. რილკეს ეს ქალაქები არასოდეს უნახავს და სწორედ რაღაც უცხოსა და შორეულის ხატად შემოჰყავს ისინი ლექსში (აღმოსავლეთის ეგზოტიკური ესთეტიზმი საერთოდ უცხოა რილკეს მხატვრული სამყაროსათვის).

- XXII** მიუზო, 1922 წლის 17-23 თებერვალი.
თანამედროვე ტექნიზირებული არსებობის კონტრასტად რილკე აქ ძველი დროის ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ნიმუშებს, (სასახლეებს, პარკებს, ქანდაკებებს) ასახელებს. „აზიდული სვეტი კარნავის“ რილკეს ეგვიპტეში მოგზაურობის (1911) ერთ-ერთ შთაბეჭდილებას შეესაბამება. კარნავი ძველეგვიპტური ლუქსორის (თებეს) მახლობლად მდებარე ქალაქია. სავარაუდოდ, იქ ნანახი ამონის ტაძრის სვეტის გახსენებად უნდა ჩავთვალოთ, მეშვიდე დუინურ ელეგიაში ადამიანური შემოქმედების უდიდეს მიღწევათა შორის „სვეტების“ მოხსენიება (რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტ. V, 2009, გვ. 301, 302). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოეტზე ამაღლვებლად იმოქმედა ოდესლაც დიდებული ნაგებობის ნანგრევებს შორის ეულად ზეაღმართული სვეტის ნახვამ, როგორც დასტურმა იმისა, რომ დროს მაინც არ ძალუდს ყოველივეს დაწერევა. ამავე ელეგიაში ვხვდებით ძველი, ფასეული საგნების წარმავალობის ისეთსავე ტრაგიკულ განცდას, მოცემულ სონეტში რომაა გამოთქმული: „სადაც ოდესლაც მარადიული სახლი იდგა, / გადაიშლება გამოგონილი სახება მისი, პირუკუ მდგარი...“ (თარგმანი ლ. დადიანისა, რ. მ. რ., თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, ტ. V, გვ. 301).
- XXIII** მიუზო, 1922 წლის 17-23 თებერვალი.
- XXIV** მიუზო, 1922 წლის 19-23 თებერვალი.
- XXV** მიუზო, 1922 წლის 19-23 თებერვალი.
ლექსი ერთგვარად სიმეტრიულად შეესაბამება ციკლის I ნაწილის XXI სონეტს, რომელსაც თავად პოეტი „ბავშვების საგაზაფხულო სიმღერად“ ახასიათებს. ეს ლექსი, როგორც ჩანს, ადრეული გაზაფხულის ბუნების სურათის შთაბეჭდილებით დაიწერა.

XXVI მიუზო, 1922 წლის 19-23 თებერვალი.

ნინა სონეტის განცყობისა და ამ ლექსების შექმნის პერიოდის საპირისპიროდ მოცემული სონეტი შემოდგომის განცდითა და იმ ფორიაქის შეგრძნებითაა გამსჭვალული, რასაც პოეტს ბავშვების ჟივილ-ხივილი ანიჭებს. ავადმყოფურად მგრძნობიარე რილკე მძიმედ იტანდა ყოველგვარ ხმაურს. მისთვის ბავშვების ხმები ფრინველთა სუფთა, ბუნებრივ, „ჭეშმარიტ ყვირილს არ ჰვავს“: ბავშვები იმთავითვე თანამედროვე ცივილიზაციის ნაწილს შეადგენენ, სამყაროს შუაგულისაგან დაშორებული, არაშემოქმედებითი და სულიერებისაგან დაცლილი რომაა. სონეტის დასასრულს პოეტი შესთხოვს „მღერალ ღმერთს“, ანუ ორფევსს, გამოაფხიზლოს მყირალნი, ესე იგი, აქციოს ისინი სამყაროს განუყოფელ ნაწილად, რათა მათ, მდინარის მსგავსად, „ზიდონ ზეირთად თავი და ქნარი“. ორფევსის თავისა და ქნარის მითოსური მოტივის შესახებ იხ. I ნაწილის XXVI სონეტის კომენტარი.

XXVII მიუზო, 1922 წლის 19-23 თებერვალი.

„დემიურვი“ – (ბერძნ.) სამყაროს შემოქმედი პლატონისეული მსოფლმხედველობის თანახმად. რილკე შეგნებულად არ ახსენებს სიტყვა „ღმერთს“, რითაც ხაზს უსვამს ქრისტიანობასთან თავის დისტანცირებულ დამოკიდებულებას.

XXVIII მიუზო, 1922 წლის 19-23 თებერვალი.

მიმართულია ვერა ოუკამა კნოოპისადმი.

XXIX მიუზო, 1922 წლის 19-23 თებერვალი.

თავად რილკეს კომენტარის თანახმად, ეძღვნება ვერა ოუკამა კნოოპის ერთ-ერთ მეგობარ ყმანვილს.

ნერილსა და კომენტარებზე მუშაობისას გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა:

- რაინერ მარია რილკე, თხზულებანი ხუთ ტომად, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2009.
- August Stahl, Rilke-Kommentar zum lyrischen Werk. München 1978.
- Käte Hamburger, Rilke. Eine Einführung. Stuttgart 1976.
- Gertrud Höhler, Rainer Maria Rilkes „Orpheus“. In: Mythos und Mythologie in der Literatur des 19. Jahrhunderts. Hg. Helmut Koopmann, Frankfurt am Main, 1979.
- Лебанидзе В. Ш., «Сонеты к Орфею» Рильке и проблема полноты теории сонета. Единство противоположностей: аспекты теории и истории сонета. Тбилиси, 1985, стр. 52-59.
- Райнер Мария Рильке, Сонеты к Орфею. Санкт-Петербург, «Азбука-классика», 2002. Предисловье и комментарии В. Ахтынской.

შინაარსი

**პირველი ნაწილი
6-7**

**მეორე ნაწილი
58-59**

**პოეტის შენიშვნები ციკლისათვის
„სონეტები ორფევსისადმი“
116**

**რაინერ მარია რილკე და ორფევსი
თამარ კოტრიკაძე
118**

**კომენტარები
თამარ კოტრიკაძე
135**

რაინერ მარია რილკე
სონეტები ორფევსისადმი



RAINER MARIA RILKE

Die Sonette an Orpheus

რედაქტორი,
ყდის დიზაინი
ლულუ დადიანი

Umschlaggestaltung
Lulu Dadiani

კომპიუტერული დიზაინი
გიორგი ასატუროვი

Computer designer
George Asaturow

გამომცემლობა
წიგნის სახელოსნო

Verlag
Tsignis Sakhelosno

თბილისი
2009
Tbilissi